# სარბიელი

სპორტული გაზეთი
სამშაბათი 20 ივლისი 1999 №135 (908)
ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 2 ჯერ იჩხუბეს, მერე დაზავდნენ

„დინამომ“ შოტლანდიურ „კილმარნოკთან“ ბრაზილიელი დე სოუზას და მიხეილ აშვეთიას გოლებით 2:2 ითამაშა

## 5 ზედიზედ!






ბრაზილიამ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი ზედიზედ მეორედ პირველად მოიგო

## 6 მიუნხენელთა რევანში

ჩემპიონმა „ბაიერნმა“ ლიგის თასის ფინალში, თასის მომგები „ვერდერი“ დაამარცხა

## 11 ბათუმის საქმე თბილისში გაკეთდა

„ყოჩები“: „ლოკომოტივის“ პირველი გაჩერება

## EXCLUSIVE

### ლენარტ იუჰანსონი: თბილისის „დინამოს“ ტრადიციებზე აღზრდილ ფეხბურთელებს ცუდად თამაშის უფლება არა აქვთ

შვედეთში ჩვენი საგანგებო კორესპონდენტის, ემზარ ზენაიშვილის ინტერვიუ უეფას პრეზიდენტთან იხილეთ ხვალინდელ „სარბიელში“

Under 18

# 0:2 იტალიასთან

## ქართველები შეუთამაშებლობამ დაალალატა

ემზარ ზენაიშვილი
მუტალადან



მუტალა
19 ივლისი
21.15 საათი
იდროსტპარკი

**იტალია 2:0 საქართველო**

1:0 რინალდინი (20), 2:0 სემიოლი (90)
**იტალია:** ბაგეაკანი, ბლასი, კასელი, კოლუჩი, ფიზორე, ლაცარო, რინალდინი, როზეტი, სემიოლი, სგრინა, ტური
**საქართველო:** ბათიაშვილი, ხიზანეიშვილი, ზ. ხიზანიშვილი, ე. საჯაია, დევიძე (ჯ. მუჯირი 46), მენთეშაშვილი, დილმელაშვილი, ო. გველესიანი, ლ. ნოზაძე (ბურდული 55), კორლალიძე (გ. მიქაძე 75)
**გაფრთხილება:** დევიძე (40)
**მსაჯები:** ტ. მიკულსკი (პოლონეთი); ფ. შარპი (ინგლისი), ა. ბერზინში (ლატვია); კ. კაპიტანისი (კვიპროსი)
**უეფას დელეგატი:** დ. კოლინზი (უელსი)

გუშინ სქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატი მარცხით დაიწყო...

პირველი ტაიმი იტალიელებისა იყო. ჩვენების თამაშს არავითარი სიხალისე არ ახლდა: თამაშობდნენ მძიმედ, ხშირად ცდებოდნენ დაცვაში და პასებიც უზუსტო იყო.

მე-20 წუთზე იტალიელები საჯარიმო დარტყმით დაემუქრნენ ქართველთა კარს. ჩვენმა მცველებმა რამდენჯერმე უხეიროდ მოიგერიეს ბურთი, ბოლოს კი ორი იტალიელი თავდამსხმელი ზურაბ ბათიაშვილის პირისპირ დარჩა და მატია რინალდინიმ ანგარიში გახსნა.

პირველ ნახევარში თანამსაჯმა ორი ნაღდი თამაშგარე არ დააფიქსირა ჩვენს კართან.

მეორე ნახევარში ჩვენებმა თამაში შედარებით უკეთ დაიწყეს და პირველისგან განსხვავებით უკეთაც გამოიყურებოდნენ, მაგრამ არა ისე, მატჩის გადარჩენა შეძლებოდათ. ის კი არა, ბოლო წუთზე მეორე ბურთიც გაუშვეს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ლევან კორლალიძემ მეორე ტაიმში, 0:1-ზე, ანგარიშის გათანაბრების ჩინებული შანსი ვერ გამოიყენა, რის შემდეგაც კოპალეიშვილმა უმალ შეცვალა.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე კოპალეიშვილის თანაშემწე თენგიზ კაცია გამოცხადდა, მაგრამ ნაკრების მთავარი მწვრთნელის კომენტარი, ცხადია, უფრო დაგაინტერესებთ:

*ვახტანგ კოპალეიშვილი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:*

— ჩვენი გუნდი შეუთამაშებელია. ფიზიკურად ძალიან სუსტად გამოვიყურებით და აქედან გამომდინარე იტალიელებთან ძალიან სუსტად ვითამაშეთ. ნახევარდაცვა და დაცვა სათანადო დონეზე ვერ იყო, რასაც კარგი გამთამაშებლის პრობლემაც დაერთო. ამას გარდა, გუნდს აშკარად დაეტყო ლაშა ჯაკობიას არყოფნა. ვფიქრობ, იტალიისდარი სუსტი გუნდი აღარ შეგვხვდება...

*როსარიო რამპანტი, იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:*

— ძალიან გაგვიმართლა: ქართველებს ჯაკობია არ ჰყავდათ. მოსალოცი არაფერი გვაქვს — ამდენი მომენტის გამოუყენებლობით შორს ვერ წავალთ. საქართველოს ნაკრები კარგი და პერსპექტიული გუნდია, მაგრამ შეთამაშება აშკარად აკლია.

**ესპანეთი 0:1 ირლანდია**

0:1 გროსლი (59პ)



ვახტანგ კოპალეიშვილი



# ნუ წააგებთ 46 ქულას!

**საბერძნეთი 79:55 საქართველო**

**საბერძნეთი:** კალაიცაკისი (2), ზისისი (33), კუმბურასი (5), სპიროსი (2), გალისი, თეოსი (2), გეორგალისი (26), გოცისი, პაპადოპულოსი (4), მიცოპულოსი, ცანეტაკოსი (1), გიზოიანისი (4)
**საქართველო:** ვაშაკიძე, მარხვაშვილი, ხეცურიანი, ტუღუში (15), სულაძე, ბერიშვილი (5), მარკოიშვილი (5), ჩავლეიშვილი, ფაჩულია (18), უგრეხელიძე (4), ცქიტიშვილი (8)

დღევანდელი ბერძნული კალათბურთი ჩვენსას რომ სჯობს, ისევეა, როგორც ორჯერ ორი ოთხი, მაგრამ ჩვენი ყმაწვილები თუ ასე ჩამორჩებოდნენ ბერძენ თანატოლებს, ამას აღარ მოველოდით.

სამწუხაროდ, ამაში სლოვენიიდან მოსული ეს ცნობაც გვარწმუნებს: იქ მიმდინარე კადეტ კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატზე გუშინ ქართველებმა გვარიანი სირცხვილი ჭამეს — 55:79 წააგეს საბერძნეთის ნაკრებთან.

ჩვენებს ან წინა დღის დასვენება არ მოუხდათ, ანაც ნუგზარ ჭეიშვილის ბიჭები ამ უქმეებზე თურქთა 99:69 დაჩაგვრამ გაადიდგულა. რაც უნდა ყოფილიყო, საფიქრალი უფრო ესაა: ბერძნები ალბათ ბევრად სჯობდნენ ჩვენებს.

გუშინ გამართულ ჩვენი ჯგუფის შეხვედრებში იუგოსლავიამ 81:66 მოუგო რუსეთს, თურქეთმა 69:54 დაამარცხა სლოვენია. სატურნირო მდგომარეობა ბოლო ტურის წინ ამგვარია:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **საბერძნეთი** | 4 | 4 | 0 | 304:251 | 8 |
| **იუგოსლავია** | 4 | 4 | 0 | 298:255 | 8 |
| **საქართველო** | 4 | 2 | 2 | 318:317 | 6 |
| **სლოვენია** | 4 | 1 | 3 | 255:266 | 5 |
| **თურქეთი** | 4 | 1 | 3 | 259:283 | 5 |
| **რუსეთი** | 4 | 0 | 4 | 257:319 | 4 |

მაშ ასე. საქართველოს კადეტთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალის ზღურბლზეა. იმის შესაძლებლობა, ჩვენებმა ვერ დაძლიონ ჯგუფური ეტაპი, მართალია, არსებობს, მაგრამ ეს უფრო ფანტაზიის სფეროდანაა: ამისთვის დღეს თურქეთმა უნდა მოუგოს რუსეთს, ხოლო საქართველო 46 ქულით უნდა დამარცხდეს სლოვენიასთან. ასეთ შემთხვევაში საქართველოს, თურქეთს და სლოვენიას 7-7 ქულა ექნებათ, ხოლო ერთმანეთთან ნათამაშევ შეხვედრებში ბურთების უკეთესი სხვაობით მეოთხედფინალში გავლენ სლოვენია (+31) და თურქეთი (-15). საქართველო კი (-16) ჯგუფში ჩარჩება.

ეს ისე, არითმეტიკაში გასავარჯიშებლად. არადა, გვჯერა, საქმე აქამდე არ მივა და დღეს საღამოს უკვე საქართველოს ნაკრების სამეოთხედფინალო მეტოქე გვეცოდინება.



დავით ყიფიანი და ჯანი კარნევალე

# კარნევალე: ბათუმს კარნავალი უნდა!

ინტერვიუ ჯანი კარნევალესთან იხილეთ მეორე გვერდზე

# ჯანი კარნევალე: დრო და თამაში გვიჩვენებს



მამუკა დარჩია ქუთაისიდან

*ჯერ იოჰან ბოსკამპი იყო. პირველი უცხოელი მწვრთნელი დამოუკიდებელ საქართველოში. ჰოლანდიელი „დინამოსთან“ ერთად ეროვნულ ნაკრებსაც ჩაუყენეს სათავეში. ბოსკამპს ერთიც და მეორეც ახალი ჩაბარებული ჰყავდა, რომ ბათუმიდანაც გაისმა: აჭარის უზენაესი საბჭოს თავჯდომარის ასლან აბაშიძის იტალიელ სიძეს მარკო კალისტრალეს, რომელიც ბათუმური კლუბის ვიცე-პრეზიდენტი გახლავთ, თავისი ქვეყნიდან ვინმე მარჩელო მანჩინი ჩამოჰყავს მთავარ მწვრთნელადო. თქმა იყო და... მანჩინი მართლაც სტუმრებია ბათუმს, ოღონდ კლუბის დამფინანსებლებთან მის შეხვედრას შედეგი არ გამოუღია, მხარეები პირობებზე ვერ შეთანხმდნენ და იტალიელიც უკან გაბრუნებულა. მაგრამ ერთი გაბრუნდა და მეორე მოვიდა. მარკო კალისტრალემ მაინც მიიყვანა გუნდში თავისი თანამემამულე, 52 წლის ჯანი კარნევალე.*

*მართალია, კარნევალეს აღიარებულ იტალიელ მწვრთნელთა შორის არავინ მოიხსენიებს, მას დიდ გუნდებში დამოუკიდებლად არ უმუშავია, მაგრამ სამწვრთნელო გამოცდილება ნამდვილად არ აკლია, თანაც 20-წლიანი სათამაშო კარიერაც ხომ ანგარიშგასაწევია.*

*როგორც იცით, შაბათს „ბათუმი“ ქუთაისს სტუმრობდა და „ტორპედოსთან“ საკონტროლო მატჩი გამართა. ჯანი კარნევალე თამაშის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე დავითანხმეთ ინტერვიუზე. თარჯიმნობას ბათუმურ „დიანალენდში“ მარკო კალისტრალეს თანამოსაქმე ლუჩო მესინა გვიწევდა ბათუმელთა ერთ-ერთი მწვრთნელის იური მამინაშვილის დახმარებით.*

**— სინიორ, ჯერ თქვენი საფეხბურთო ბიოგრაფია გაგვაცანით...**

— ყველაფერი რომ მოვყვე, ბევრ დროს წაიღებს.

**— არაუშავს, მოგისმენთ, რომ არ გვაინტერესებდეს, არც შეგაწუხებდით.**

— მაშინ, მოკლედ გეტყვით.

**— ეგრე იყოს.**

— თამაში პატარაობიდან დავიწყე. დედაქალაქელი, რომაელი გახლავართ და პირველად „ლაციოს“ ახალგაზრდულ გუნდში მოვხვდი. იქ საკმაო ხანს, სამი წელი ვიყავი, მერე კი „ვიდერბეზეში“ გადავედი. იქედან მალე ისევ „ლაციოში“ დამაბრუნეს. შემდეგ სერია „C“-ში მოასპარაზე სხვადასხვა რომაულ გუნდებში მომიხდა თამაში. და ისევ სერია „B“, სამი წელი „სამბენედეტეზეში“ დავყავი. არ ამერიოს. მერე ჯერ „ჩეზენას“, ხოლო შემდეგ „ასკოლის“ სერია „A“-ში ალზევებაში დავეხმარე. „რეჯანაში“, „რიმინიში“ მითამაშია. ამ უკანასკნელის შემადგენლობაში ერთ სეზონში 14 ბურთი გავიტანე. სერია „C“-ს „ბანკო დე რომაში“ ვთამაშობდი, როცა ავტოავარიაში მოვყევი და ფეხი მოვიტეხე. მაშინ 31 წლის ვიყავი. ოთხი წლით ჩამოვშორდი ფეხბურთს. მაგრამ, როგორც კი მოვიკეთე, მეორე ავტოავარიის შედეგად მიღებული ფეხის ტრავმაც მოვიშუშე, ისევ გავაგრძელე თამაში, ოღონდ სამოყვარულო დივიზიონში. ერთი სიტყვით, ფეხბურთი 40 წლამდე ვითამაშე.

მწვრთნელობა კი რომის ბავშვთა საფეხბურთო სკოლებში დავიწყე. აქედან სერია „C“-ს „კოლეფეროში“ მიმიწვიეს. ორი წელი ამ გუნდს ვავარჯიშებდი. მერე ამავე სერიის „ტრასტივერი“ და „მაჩერატო“ მებარა. ბოლო ორი წელი „პარმას“ ჭაბუკთა გუნდის მწვრთნელი და ამავე დროს დიდი გუნდის ხელექციონერი გახლდით. პარმადან საქართველოში წამოვედი.

**— გვითხარით, საქართველოში რამ დაგაინტერესათ, ვინ გირჩიათ აქ წამოსვლა?**

— რამდენადაც ვიცი, „ბათუმის“ ვიცე-პრეზიდენტს მარკო კალისტრალეს კარგი ნაცნობობა გააჩნია იტალიურ საფეხბურთო წრეებში. მე პირადად ლუჩანო მოჯიმ და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთან ნამუშევარმა რობერტო ლანდიმ გამიწიეს რეკომენდაცია კალისტრალესთან. წინადადებამ, რა თქმა უნდა, დამაინტერესა, მაგრამ ბათუმში წამოსვლა უცებ მაინც არ გადამიწყვეტია. ჯერ ქალაქი და კლუბი მოვინახულე, პირობებს გავეცანი. ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელს, კლუბის მესვეურებს შევხვდი. იმათ თავიანთი თქვეს, მე ჩემი. ერთი სიტყვით, მოვრიგდით. სინიორმა ასლან აბაშიძემ ბრძანა, თუ კარგად იმუშავებთ, არავითარი პრობლემა არ შეგექმნებათო. ამას რა სჯობს, მეც ხომ სამუშად ვარ ჩამოსული, დიდი სურვილი მაქვს, ბათუმურ კლუბს წარმატებები მოვაპოვებინო.

**— კონტრაქტი თუ გააფორმეთ?**

— რა თქმა უნდა. სამწლიანი ხელშეკრულება დავდეთ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგაც არ მომიწიოს „ბათუმში“ დარჩენა. ვნახოთ, ყველაფერს დრო გვიჩვენებს. დრო და ჩემი ახალი გუნდის თამაში.



მამუკა დარჩია ქუთაისიდან

ჯანი და სიმონე კარნევალეები და ლუჩო მესინა

**— აქამდე ქართულ ფეხბურთზე წარმოდგენა თუ გქონდათ?**

— წარმოდგენა როგორ არ მქონდა?! ბევრჯერ მინახავს ტელევიზიით საქართველოს ნაკრების თამაში, თქვენი ახალგაზრდული გუნდის შესახებაც მსმენია, აი, იმ გუნდის შესახებ ორი წლის წინ რომ გყავდათ. ქართულ ფეხბურთზე ჩემთან რობერტო ლანდისაც ხშირად უსაუბრია. თქვენი გრანდებიდან ყიფიანის და სლავა მეტრეველის თამაში მომწონდა. ახლაც გყავთ ძლიერი მოთამაშეები — ქინქლაძე, შოთა არველაძე, ჩვენთან „რეჯანაში“ მოთამაშე ნემსაძე... ქართული ფეხბურთის ძლიერი და სუსტი მხარეები ვიცი. მონდომება იყოს და საქმე გამოსწორდება.

**— „ბათუმში რა სიტუაცია დაგხვდათ?**

— გუნდში სულ სამი კვირის მოსული ვარ. ჩემს პირველ შთაბეჭდილებებზე, მგონი, გითხარით, ძალიან მომეწონა ქალაქი, საერთოდ იქაურობა. გუნდის შესახებ ჯერჯერობით კონკრეტულად ბევრს ვერაფერს გეტყვით. ინტენსიურად ვმუშაობთ, მოთამაშეებს დიდად ვტვირთავთ და ვნახოთ, რა გამოგვივა. გუნდში მისვლისას 31 ფეხბურთელი დამხვდა. ხომ უნდა გამეცხრილა, ვიღაც ხომ უნდა გამეშვა. ასეც მოვიქეცით. ზოგი წავა, ზოგი მოვა. საბოლოოდ კი 20 ფეხბურთელს შევარჩევთ ძირითადისთვის.

**— კარნევალე აქცენტს ახალგაზრდა ფეხბურთელებზე აკეთებსო...**

— მართალს ამბობენ. მე ძალიან კარგად ვიცი, რომ „ბათუმი“ წამყვან კლუბად ითვლება ქვეყანაში, სისტემატურად მონაწილეობდა ევროტურნირებში. ჩემგანაც ნაკლებ შედეგს არ მოითხოვენ. გუნდის ამოცანა უახლოეს ეროვნულ ჩემპიონატში ლიდერთა შორის მოხვედრა და ერთ-ერთი ევროტურნირის საგზურის მოპოვება იქნება, ოღონდ ჩვენ ამ ამოცანის შესრულებას სწორედ რომ ახალგაზრდული შემადგენლობით შევეცდებით... ბათუმში ბევრი პერსპექტიული მოთამაშეა, უბრალოდ კარგი წვრთნა და სათამაშო პრაქტიკაა საჭირო, რომ ეს ბიჭები მყარად დადგნენ ფეხზე.

**— მაინც, ვინ გყავთ მხედველობაში?**

— ადგილობრივი ახალგაზრდები: აფხაზავა, ბეჟანიძე, დარჩიძე, კობიძე, რომანაძე, თედორაძე, ქაცარავა, სიამაშვილი. გავიმეორებ, ესენი პერსპექტიული ბიჭები არიან, ოღონდ წინ ძალიან ბევრი სამუშაო აქვთ. ამათ გვერდში, რა თქმა უნდა, გამოცდილი ფეხბურთელებიც იქნებიან. ცოტა იღბალიც თუ დაგვყვა, ახალ სეზონში, ესე იგი მეთერთმეტე ეროვნულ ჩემპიონატში დასახულ მიზანს მივაღწევთ.

**— ბათუმელი გულშემატკივრები იმედოვნებდნენ, იტალიელი მწვრთნელი გუნდში იტალიელ მოთამაშეებსაც იახლებსო. თქვენ კი, მგონი, არ აპირებთ გუნდის უცხოელებით გაძლიერებას...**

— „ბათუმში“ უცხოელი მოთამაშ[illegible] მოყვანა, თუ ამის ფინანსური შესაძლებლობა იქნება, პრობლემას არ წარმოადგენს. მაგრამ ჩვენ ასე გადავწყვიტეთ, ადგილობრივი ბიჭები გავზარდოთ და, პირიქით, მათ გავუხსნათ უცხოეთისკენ გზა. ბათუმში კარგი ფეხბურთელების მომზადებისთვის საუცხოო პირობებია. მითხრეს, რომ ცენტრალურ სტადიონთან მოკლე ხანში ახალი სავარჯიშო მოედანიც აშენდება. დამიჯერეთ, სჯობს კარგი ადგილობრივი კადრი გვყავდეს, ვიდრე გარედან მოყვანილი.

**— ალბათ, ესეც ჭორია, კარნევალეს თავისი დამხმარეები იტალიიდან მოჰყავსო...**

— ჭორია, აბა რა. ამირან გოგიტიძე, იური მამინაშვილი, ავთანდილ გორგილაძე მშვენიერად უძღვებიან საქმეს, გუნდს ერთად ვწვრთნით. კლუბის ხელმძღვანელობაც ერთსულოვანია საქმის კეთებაში.

**— ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე არც ისე ბევრი დროა, „ბათუმის“ მზადებაზე რას იტყვით?**

— ალბათ, იცით, ადგილზე ბათუმში გავდივართ წვრთნას. უცხოური შეკრება არ დაგვიგეგმავს. ვფიქრობ, ამ ეტაპზე მას აზრი არა აქვს. დიდი დატვირთვით ვვარჯიშობთ, ჯერჯერობით აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე გვაქვს გადატანილი. ჩემპიონატის დაწყებამდე გუნდის ძირითადი ბირთვი გამოიკვეთება და სათამაშო სქემასაც დავხვეწთ.

**— საკონტროლო თამაშები გექნებათ?**

— ერთი უკვე ვითამაშეთ. ფოთში „კოლხეთის“ ახალგაზრდული გუნდი დავამარცხეთ 4:1. „ტორპედოს“ შემდეგ (ქუთაისში „ბათუმმა“ 0:4 წააგო — ი.კ.) ისევ ფოთელებს და სამტრედიის გუნდს გავეჯიბრებით. თურქულ „ტრაბზონსპორსაც“ შევუთანხმდით ორ საკონტროლო თამაშზე. ერთს შინ გავმართავთ, მეორეს სტუმრად.

**— სინიორ კარნევალე, თქვენი შვილები თუ თამაშობენ ფეხბურთს?**

— ორი ვაჟი მყავს და ორივე თამაშობს. 16 წლის სიმონე აგერ ჩემთანაა. იგი რიმინის საფეხბურთო სკოლაში გადის წვრთნას. რა ვიცი, ამბობენ, კარგი მომავალი აქვსო. სიმონე ცოტა ხანს კიდევ დარჩება ბათუმში.

**— ერთსაც შეგეკითხებით. ენობრივი ბარიერი ხომ არ გიქმნით გართულებებს?**

— ცოტა ძნელი კია, ადამიანს სხვისი დახმარებით რომ ესაუბრები, მაგრამ რა გაეწყობა. ეს ჩვეულებრივ ყოფაში, თორემ ფეხბურთის თამაშს ენის ცოდნა სულ არ უნდა.

**— ეს თქვენი პირველი შეხვედრაა ჩვენი გაზეთის, „სარბიელის“ მკითხველებთან. წარმატებებს გისურვებთ!**

— მადლობელი ვარ ყურადღებისთვის. ისე, სალაპარაკო გვქონდეს არც მომავალში დაგზარდებით.

**იუზა კაციტაძე ქუთაისიდან**

# დინამო — კილმარნოკი: ჯერ იცხუშეს, მერე დაზავდნენ

**ამხანაგური** მატჩისა რაღა გითხრათ და კვირას გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში საქართველოს ჩემპიონებმა და შოტლანდიური „კილმარნოკის“ ფეხბურთელებმა ერთურთს თავპირი რომ დაულეწეს, სამომავლოდ ორივესთვის კარგი გაკვეთილი იქნება.

მეორე ტაიმი 5 წუთის დაწყებული ყოფილა, რომ მოედნის ცენტრთან ერთ-ერთ შოტლანდიელს არჩილ სახვაძისთვის სახეში გამეტებით მუშტი უთავაზებია და ჩვენებურისთვის წარბი გაუხეთქავს. აბა, ამას რომელი ქართველი მოითმენდა, არც სახვაძე დარჩენილა ვალში და ამტყდარა თურმე ერთი ვაი-უშველებელი. მატჩიც რამდენიმე წუთით შემწყდარა. დაშოშმინების შემდეგ კი გერმანელ მსაჯს, რომელსაც ფრანკფურტში მყოფი ქართველების თქმით, ალბათ, ცოტა თვალს აკლია, მოედნიდან მხოლოდ არჩილ სახვაძე გაუძევებია, აქაოდა, შოტლანდიელის მოქნეული მუშტი არ დაუნახავს, ჩხუბისთავი ქართველი იყო, სკოტი არაფერ შუაშიაო.

თამაში „დინამომ“ 10 კაცით გააგრძელა, ანგარიში კი ამ დროისათვის 2:1 ყოფილა „კილმარნოკის“ სასარგებლოდ. მატჩის დასაწყისში ბრაზილიელი დე სოუზას მიერ ულამაზესად, მკერდით გაჩერებულ ნახევრადმაკრატელა დარტყმულით გატანილ ბურთს შოტლანდიელებმა ორით უპასუხეს. არბიტრის მოქმედებაც ჩვენებურთ ორჯერვე გაჰკვირვებიათ. თურმე თანამსაჯს „კილმარნოკის“ შეტევებისას თამაშგარე მდგომარეობის ნიშნად ალამი აღმართული ჰქონია და დინამოელებსაც თავი აღარ გამოუდვიათ, გაჩერებულან, შოტლანდიელებმაც, არბიტრს არ ჩაუსტვენიაო და... ამ ორიდან ერთი კი სულაც კურიოზული ყოფილა — დინამოელთა მეკარე დონდტის თამაშგარეს იმედით ბურთი წინ გაუგორებია, მერე გაჩერებულა, შოტლანდიელსაც უსარგებლია და „კილმარნოკი“ დაუწინაურებია.

სახვაძის გაძევებიდან რამდენიმე წუთში მიხეილ აშვეთიას უყოჩაღია და ანგარიში გაუთანაბრებია. დინამოელებს რამდენიმე რეალური საგოლე მომენტიც ვერ გამოუყენებიათ, მთელი მეორე ტაიმი ფაქტობრივად ცალკარა ყოფილა, შოტლანდიელთა მცველები კაცნაკლულ ჩვენებურთა შეტევებს გაჭირვებით იგერიებდნენ.

იოჰან ბოსკამპი თამაშით ერთობ კმაყოფილი დარჩენილა. სასურველ დონეს ცოტაღა უკლიაო, უთქვამს.

„დინამოს“ შემადგენლობა ასეთი იყო: *დონდტი, შაშიაშვილი, დიდავა, ჭიჭველაშვილი, ა. სახვაძე, ს. გიგიაძე, სიჭინავა, კიკნაძე, ვ. გიგიაძე, დე სოუზა, აშვეთია.*

ბოსკამპს სახვაძის გაძევების შემდეგ ერთბაშად ხუთი კაცი შეუცვლია.

„დინამო“ დღეს გერმანიის ერთ-ერთი მხარის ნაკრებს ეთამაშება, 23-ში მეორე ბუნდესლიგის „მაინცს“, 24-ში კი შინ დაბრუნდება. ალბათ, ბელგიელ მეკარე დენიტ დონდტისა და ბრაზილიელ ანდრე სილიუ დე სოუზასთან ერთად. ბოსკამპმა, ესენი საჭირო ფეხბურთელები არიანო. დანარჩენი ფე-ლზე ყოფილა დამოკიდებული.

**კობა ინასარიძე**

ემზარ ზენაიშვილი
ლინჩიოპინგიდან

# რატომ ვგონივართ ტურისტები?

მოსახლეობით ცხრამილიონიანი შვედეთი, ტერიტორიით კონტინენტზე მეოთხე, ევროპის დიდი ფეხბურთის მცირე არდადეგებისას, თითქმის მთელი ათი დღით მიიპყრობს გულშემატკივართა ყურადღებას; სულ თოთხმეტიოდე მატჩით, მაგრამ ისეთებით, ყველას ჰამლეტისეული „ყოფნა არყოფნის“ მნიშვნელობა რომ აქვს.

არა, რვა ქვეყნის 18 წლის ფეხბურთელებს დანიელი პრინცის პრობლემები სულაც არ აწუხებთ — მათი საფიქრალ-სადარდებელი ერთია — მონაწილეობა რიგით მე-14, უარეს შემთხვევაში მე-13 მატჩში, რომლებშიც ევროპის ჩემპიონატის მედლები ნაწილდება.

დღემდე მიუღწევლის მიღწევის იმედი ქართველ ფეხბურთელებთან ერთად მათ გულშემატკივრებსაც აქვთ.

...ბუნებრივი კონტრასტების ქვეყანა — შვედეთი — ბევრი ჩვენგანისთვის ასოცირდება „ვოლვოსა“ და „სააბის“ ავტომანქანებთან, ავგუსტ სტრინდბერგის პიესებთან, ქართულ თეატრალურ სცენაზეც რომ დადგმულა, მსოფლიოს 40 ენაზე (მათ შორის ქართულადაც) თარგმნილი ასტრიდ ლინდგრენის „პეპი გრძელ წინდასთან“, რომელიც, სხვათა შორის, ერთი ხანობა თავად შვედეთში იყო აკრძალული და, რა თქმა უნდა, ალფრედ ნობელთან და მისი სახელობის პრემიასთან.

და კიდევ — უმეტესად პოლიტიკოსებისა და ეკონომისტებისთვის — ტერმინებთან „მესამე გზა“, „შვედური მოდელი“. ორი, სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის ბრძოლისა და კამათის პირობებში დაიბადა იდეა — არც სოციალიზმი, არც კაპიტალიზმი, არამედ მესამე, რაღაც სხვა. ამ მესამე გზად სწორედ განვითარების ეგრეთ წოდებული შვედური მოდელი იქცა. დღეს საქართველოშიც ბევრს მიაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის ხსნა სწორედ „შვედური მოდელის“ გადმოტანა-დანერგვაშია.

სპორტის მოყვარულებში შვედეთი ფეხბურთთანაც ასოცირდება. იგი საკმაოდ მძლავრი საფეხბურთო ქვეყანაა, ფიფას რეიტინგში მე-15, ევროპაში კი მე-12. მსოფლიოს პირველობაზე ვერცხლიც მოუპოვებიათ და ბრინჯაოც, ოლიმპიური ოქრო-ბრინჯაოც აქვს, მსოფლიო თასის გათამაშებასაც უმასპინძლა და ევროპის პირველობასაც, რეგისტრირებული ჰყავს 200 ათასი ფეხბურთელი, 14 გუნდის მონაწილეობით ატარებს ქვეყნის ჩემპიონატს, ისწრაფვიან, რაც შეიძლება ბევრი შვედი ფეხბურთელი მოხვდეს უცხოურ გუნდებში და იქ აიმაღლონ ოსტატობა — თვრამეტწლამდელთაგანაც კი სამნი ინგლისის, გერმანიისა და საფრანგეთის კლუბებში ირიცხებიან. ნუ დავივიწყებთ, რომ ქალთა ფეხბურთშიც საკმაოდ მაღალი დონეა. მოკლედ, შვედებს აქვთ აწყობილი საფეხბურთო მეურნეობა, სადაც ყველა რგოლი საათის მექანიზმივით მუშაობს.

საფეხბურთო „შვედური მოდელის“ უდავო წარმატებაა ისიც, რომ უეფას მათი თანამემამულე ლენარტ იუჰანსონი თავკაცობს.

ზემოთაც ვთქვით: შვედეთისთვის უცხო ხილი არაა საფეხბურთო ტურნირების მასპინძლობა. ივლისი „სამრეწველო არდადეგების“ თვეა შვედეთში. ამ პერიოდში, როგორც წესი, ჩერდება ყველა საწარმო, ეკონომიურ რეჟიმში მუშაობენ სხვა ორგანიზაციებიც. სწორედ მასობრივ შვებულებათა ამ ჟამს ქვეყნის ერთ-ერთი, ბალტიისპირული პროვინცია ოსტერგიოტლანდი თავისი ხუთი პატარა ქალაქის პატარა სტადიონებით მასპინძლობს ევროპის ჩემპიონატის მონაწილეებს.



შვედეთი — საფრანგეთი 0:0. შვედი მატიას ლინდსტრიომი (№13) ფრანგ ჟან ჟაკ დომოროს გაურბის

CORREN ლინჩიოპინგიდან

ვახტანგ კოპალეიშვილმა მითხრა, რომ სასტუმრო „ეკოქსენში“ ჩვენს ნაკრებს კვებისა და დასვენების კარგი პირობები აქვს, გუნდს ემსახურება კომფორტული ავტობუსი, წვრთნაც გეგმაზომიერი, შეუფერხებელია. ფეხბურთელები სალ-სალამათნი არიან. ისინი, რომლებიც გუნდს გვიან შეუერთდნენ და გადაღლილები ჩანდნენ, თანდათან იბრუნებენ ჩვეულ ფორმას და, იმედია, პირველ მატჩს სრული მზადყოფნით შეხვდებიან. მოკლედ, ბიჭები კარგ გუნებაზე არიან და როგორც ყოველთვის, გუნდში საქმიანი ატმოსფეროა. უკვე იცით, რომ ადგილობრივ გუნდთან ერთი შეხვედრაც ჩაატარეს. კვირას ნაკრები მთელი შემადგენლობით დაესწრო შვედებისა და ფრანგების მატჩს.

ერთიცაა: ჩვენები ღიმილით ჰყვებიან, როგორ გაუოცებია ნაკრებზე მიმაგრებულ ანა პერსონს გუნდის თავკაცები, როცა მათ გრძელი ჩამონათვალი წარუდგინა. ყოველდღიურად ამდენი ტბა, ამდენი მუზეუმი, ამდენიც ისტორიული ადგილი უნდა მოვინახულოთო. ამ ქალბატონს ნაღდად ტურისტები ვგონივართო — ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა ფეხბურთელმა.

ისე, უხეშად თუ არ გამომივა, ერთს ვიტყვი — არც საქართველო და არც ქართული ფეხბურთი ლინჩიოპინგში არავის დაკარგვია. დაახლოებით თხუთმეტი წუთი ვუხსნიდი სასტუმროს მოხელეს — საქართველო, ასეთი ქვეყანა არსებობს, ჩვენც თქვენსავით ევროპაში ვართ-მეთქი. არც პასპორტმა გაჭრა კარგა ხანს, მხოლოდ მასში დაფიქსირებულმა მრავალი ქვეყნის ვიზამ გადააწყვეტინა ნომრის მოცემა.

ევროპის საფეხბურთო რუკაზეც მეორეხარისხოვანთა შორის ვართ. ბევრ ჟურნალისტს, ფეხბურთის მოხელეს თუ სპეციალისტს ჩვენი გუნდის ფინალში მოხვედრა სენსაციად და გაუგებრობად მიაჩნია, ისეთი გუნდი ვგონივართ, რომელიც ქულების დასარიგებლად ჩამოვიდა შვედეთში. სხვათა შორის, ვახტანგ კოპალეიშვილი „სარბიელთან“ ერთ-ერთ ინტერვიუში ჩვენი გუნდისა და მისი შესაძლებლობებისადმი მეტოქეთა ამგვარ დამოკიდებულებას ერთ-ერთ კოზირად მიიჩნევს.

გია ისიანი, რომელსაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ჩვენი დელეგაციის წინამძღოლობა დაავალა, იხსენებს ტურნირის საზეიმო გახსნის ცერემონიალის დროს (რომელსაც, სამწუხაროდ, ვერ დავესწარი) ლენარტ იუჰანსონის სიტყვებს: „მე კი ვიცი, საქართველო რა საფეხბურთო ქვეყანაა და პოტენციურად რისი გაკეთება შეუძლია. სამწუხაროდ, ჩემს ქვეყანაში და სხვაგანაც ეს არ იციან. ძალიან მინდა, რომ ღირსეულად წარმოაჩინოთ თქვენი ფეხბურთი. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ფინალში შემთხვევით არ ხვდებიან“.

საქართველოს, მისი ფეხბურთისა და ჩვენი ნაკრების თაობაზე არსებული ინორფმაციული ვაკუუმის შევსება ნაწილობრივ შეეძლო თუნდაც რამდენიმეგვერდიან ბუკლეტს, ტურნირის მონაწილე სხვა ქვეყნებმა რომ მოამზადეს. აკი მითხრა კიდეც ამის გამო ირლანდიელმა ჟურნალისტმა — ძალიან დაგვეხმარებოდით და სწორ ინფორმაციასაც მივაწვდიდით მკითხველსო.

დავეთანხმე და იმასაც ვიტყვი, რომ, სამწუხაროდ, ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო კომიტეტში მე და ჩემმა კოლეგებმა ეს ვერ გავითვალისწინეთ.

ეს სტრიქონები რომ იწერება, ჩვენი გუნდის თამაში იტალიასთან ჯერ კიდევ წინაა. მოგებას ველით, მოგება გვინდა. შიშველი ოპტიმიზმია თუ სურვილი — გაჯერებული რეალურ შესაძლებლობებთან? რამდენი კომპონენტისა და ფაქტორის ერთობლიობა სჭირდება ამ რანგის ტურნირის თუნდაც ერთ მატჩში გამარჯვებას!

თავისთავად სპორტული ოსტატობის დონე, ზოგადად ფეხბურთის დონე, შენს ქვეყანაში... ვაჯობებთ კი ჩვენ იტალიელებს, ესპანელებს ან ირლანდიელებს ამ თვალსაზრისით? საფეხბურთო მოედანზე უნდა დაჩაგრო მეტოქე, მსაჯმა ხელი არ უნდა შეგიშალოს, სპორტული იღბალიც უნდა გდევდეს. მანამდე კი გჭირდება მძლავრი ინფორმაციული უზრუნველყოფა, ჟურნალისტური მხარდაჭერა აქ, შვედეთში, იმიჯის შექმნა. საჭიროა მუშაობა ყველასთან და ყველა დასაშვები ფორმით; საჭიროა დელეგაციის წონადობა და სოლიდურობა — ოფიციოზის, თანაც მაღალი რანგის, აქ ყოფნა. ეს შეიძლება არ იყოს აუცილებელი ირლანდიის ნაკრებისთვის — მისი ქვეყნის წარმომადგენელი ხომ უეფას ახალგაზრდული კომიტეტის თავმჯდომარეა, არც პორტუგალიელებისთვის — მათიანიც ხომ ამ კომიტეტის წევრია; ეს არ სჭირდებათ შვედეთს — მასპინძელი ქვეყანაა და იუჰანსონის ფაქტორიც თავის საქმეს აკეთებს; ეს ნაკლებად სჭირდება იტალიისა და საფრანგეთის, ესპანეთის ნაკრებებს — [illegible] — მაგრამ ის[illegible] აქ მრავლად არიან.

საქართველოს ნაკრებს კი სჭირდება; კარგა ხანს დასჭირდება კიდევ და არა მარტო ფეხბურთში.

ვინ ვინ და, ბატონმა მერაბ ჟორდანიამ კარგად უწყის, რას ნიშნავს ოფიციოზის წარმომადგენლობა ამგვარი ღონისძიებების დროს, პირადი კონტაქტები, ქვეშეცნეულადაც რომ მოქმედებს ყველასა და ყველაფერზე. რა საკამათოა ის ფაქტი, რომ თავისი მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება უეფას პრეზიდენტის გვერდით გახსნის ცერემონიალისას, კოქტეილზე თუ ოფიციალურ მიღებაზე.

იქნებ ვცდებოდე, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ბოლომდე არაა გაცნობიერებული ამ ჩემპიონატის მნიშვნელობა, რანგით რომ მესამეა ნაკრებთა დონეზე უეფას საშეჯიბრო სისტემაში. თუნდაც იმ გუნდების დასახელებაც კი რამდენზე მიუთითებს, რომელთა მოთამაშეები შვედეთში ასპარეზობენ: „ჩელსი“ და „ასტონ ვილა“, „იუვენტუსი“ და „ლაციო“, „ინტერი“ და „მონაკო“, „ევერტონი“ და „ნიუკასლი“, „ლივერპული“ და „რეალი“, „ბენფიკა“ და „ბაიერნი“ და მრავალი სხვა.

არ მინდა დავიჯერო — მაინც წააგებენ და რა მნიშვნელობა აქვსო... არაა ეს მართალი. 18-წლიანთა ნაკრებმა უკვე გაიმარჯვა — ისინი ევროპის რვა უძლიერეს გუნდს შორის არიან და აქ, შვედეთში, ფაქტობრივად, გამარჯვებულთა ფორუმზე ასპარეზობენ. ან კიდევ: თუ ფინალში გავლენ, მერეც მოვასწრებთო. ასე ფიქრი თავიდან ბოლომდე არასწორია.

ვიცი, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და გენერალური მდივანი ძალზე საპასუხისმგებლო ფორუმზე იმყოფებოდნენ, მაგრამ ნუთუ ფედერაციის ოცდაოთხკაციანი აღმასკომიდან ვერავინ შეძლო, ნაკრებს შვედეთში ხლებოდა?

## ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატი

**I ტური**
**A ჯგუფი**

**ლინჩოპინგი 18 ივლისი**
ფოლკუნგავალენი (4 718 მაყურებელი)

**შვედეთი 0:0 საფრანგეთი**

**შვედეთი:** ორესკოვიჩი, იოჰანსონი (აუგუსტსონი 78), ლინდბერგი, ნილუნდი, სამუელსონი, სიობერგი, ფარნერუდი, ლინდსტრიომი, პრიკა (ბაკირსიოღლუ 62), ეკენბერგი, ლუნდენი
**საფრანგეთი:** ფრეი, რამონი, მარშალი (დომორო 21), ტრაორე, ბერსონი, რეინა, იაპი, მალბრანკი (სირიექსი 64), ფრო, მადუნი, ვანდენბოში (კონე 46)
**გაფრთხილება:** ფრო (36), რამონი (85)
**მსაჯი:** ი. ბასკაკოვი (რუსეთი)

**ფინსპანგი 18 ივლისი**
გროსვადსი (801 მაყურებელი)

**პორტუგალია 0:0 საბერძნეთი**

**პორტუგალია:** ალბერგანია, პ. კოსტა, ანტონიო სოუზა, ვასკო ტეშეირა, კ. კოსტა, ბრუნოსო (ჟოაო ალვეში 76), ვალენტე (მონტეირო 62), ფელიპე ტეშეირა, სემედუ, მოტა, პედრო ფელიპე (რიბეირო 70)
**საბერძნეთი:** ა. პაპადოპულოსი, ხარალამპაკისი, ხორიანოპულოსი, ნასტოსი, ვენეტისი, იორდანიდისი, პასიოსი, ხარისტიასი (დ. პაპადოპულოსი 82), ვაკუპცისი (მუტიდისი 63), სიამპანისი (ტეოდორიდისი 88), ტარალიდისი
**მსაჯი:** ლ. პუჩეკი (სლოვაკეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| შვედეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| საფრანგეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| საბერძნეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |

# შოთას პოკერი

ოთხი გოლი გაიტანა ჰოლანდიის „აიაქსსა“ და დანიის „ელბურგის“ საკონტროლო მატჩში შოთა არველაძემ.

ქართველი ლეგიონერის ასეთი წარმატება მნიშვნელოვნად განაპირობა „აიაქსის“ ნახევარდაცვაში დანიელი ბრიან ლაუდრუპის გამოჩენამ.

„აიაქსმა“ შეხვედრა ასტრონომიული ანგარიშით 15:1 მოიგო, გოლების 90 პროცენტი კი სწორედ ლაუდრუპის პასების შემდეგ გავიდა.

შოთას პოკერს ბენიმ და რობსონმა ჰეთ თრიქი მიაყოლეს. ორი გოლი გაიტანა რეისერმა, თითო ვიჩგემ, დანიმ და კნოპერმა. დანიელთაგან ერთადერთი საპასუხო გოლის ავტორი სმული გახდა.

„ელბურგთან“ მატჩში იან ვოუტერსს „აიაქსის“ ორი ახალწვეული აკლდა — მენცო და ბერძენი ნიკოს მახლასი. ეს უკანასკნელი პირადი პრობლემების მოსაგვარებლად სამშობლოში, კუნძულ კრეტაზე იმყოფებოდა. როგორც ჰოლანდიური მედია აღნიშნავს, შოთამ სწორედ ამით ისარგებლა.

თუმცა მანამდე მახლასმა უკვე მოასწრო ერთ საკონტროლო მატჩში თავის გამოჩენა. „აიაქსმა“ 10:0 სძლია მესამელიგელ „ტაქსანდრიას“, ამ მატჩში შოთამ და მახლასმა, ორ-ორი გოლი გაიტანეს, თუმც ჰოლანდიელმა ლამაზმანმა ფოტოს გადაღება მაინც არველაძესთან ისურვა.

გუშინ ჰოლანდიურმა გრანდმა ამერიკაში გადაინაცვლა, სადაც 21 ივლისს ბოსტონში „ნიუ ინგლენდ რევოლუშენს“ ეთამაშება, 23 ივლისს კი „გოტმარის თასის“ გათამაშებაში ჩაებმება ნიუ იორკში. ამ თასისთვის, როგორც წინასწარ განაცხადეს, „აიაქსის“ გარდა „პანათინაიკოსს“, „მილანსა“ და „ბენფიკას“ უნდა ებრძოლათ, თუმცა ბოლო მომენტში „მილანი“ „ფიორენტინამ“ შეცვალა, „ბენფიკა“ — „ასტონ ვილამ“.

სიმონ მენაბდე



ჰოლანდიელი ლამაზმანები ფოტოს გადაღებას ისევ შოთა არველაძესთან არჩევენ

# ფაკეტი ახსენე და...

„გუნდს დიდი დატვირთვით ვავარჯიშებ და, შესაძლოა, საუკეთესო თამაში ვერ ვაჩვენოთ, მაგრამ იმას კი გპირდებით დავით ყიფიანის „ტორპედოს“ ღირსეულ წინააღმდეგობას გავუწევთ“ — აი, ასე დაგვაიმედა „გივი კილაძეზე“ „ტორპედო — „ბათუმის“ საკონტროლო მატჩის წინ ზღვისპირელთა ახალმა თავკაცმა ჟანი კარნევალემ. იტალიელმა ისიც გვითხრა, ყიფიანის თამაშს აღფრთოვანებაში მოვყავდიო, კარგად მახსოვს, 1977 წელს უეფას თასზე „ინტერი“ „სან სიროზე“ თბილისის „დინამოს“ ხვდებოდა და ყიფიანმა შავი დღე აყარა ფაკეტისო.

მართლაც, ყიფიანმა 22 წლის წინ ფაკეტი ლამის ბავშვივით ატირა. მარტო ის ეპიზოდი რად ღირს, დინამოელი ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო იტალიელ მცველს ბურთს რომ ტექნიკურად აართმევს, კარისკენ გაექანება და გამარჯვების გოლს გაიტანს. კარგი მეხსიერება ჰქონია კარნევალეს. ამიტომაც, უნდა ვიფიქროთ, იგი აწი ყიფიანს მარტო ფაკეტისთან დაკავშირებით არ მოაგონებს. აკი გასულ შაბათს ქუთაისში ყიფიანმა კარნევალესაც არ დამართა კარგი ამბავი, უფრო სწორედ კი ყიფიანის „ტორპედომ“ კარნევალეს „ბათუმს“. მართალია, თამაში საწვრთნელი ხასიათისა გახლდათ, მაგრამ ხომ დაგვპირდა იტალიელი, „ტორპედოს“ ღირსეულად შევებრძოლებითო...

მასპინძლებს ძირითადის მოთამაშეებიდან მხოლოდ მუხლნატკენი კაპიტანი კახა კვეტენაძე აკლდათ. მოგეხსენებათ, ზღვისპირელთა შემადგენლობაში დიდი ცვლილებებია, იტალიელი მეტწილად ახალგაზრდებს სინჯავს, მაგრამ არც გამოცდილთა ნაკლებობაა გუნდში. ამიტომაც თამაშის საცქერლად მოსული ორი ათასამდე ფეხბურთის ქომაგი საინტერესო ორთაბრძოლის მოლოდინში იყო და... „ტორპედომ“ მოინდომა და ითამაშა, „ბათუმმა“ კი... არა, „ბათუმმაც“ მოინდომა, მაგრამ ვერ ითამაშა. ამ მატჩის პერიპეტიების აღწერას არ შევუდგებით. მასპინძელთა უპირატესობა იმდენად აშკარა იყო და ნიკა ტოგონიძის კართან იმდენი საგოლე მომენტი შეიქნა, რომ ნახევარის აღწერაც კი ბევრ ადგილს წაგვართმევს. ამიტომაც მოკლედ გეტყვით. ქუთაისელთა პირველი გოლი ჩხეტიანის მიერ მარჯვნიდან ჩამოწოდებულ კუთხურს მოჰყვა. სტუმართა საჯარიმოში ჩასულმა მცველმა ხვადაგიანმა ყველას დაასწრო ბურთთან მისვლა და ახლოდან გახსნა ანგარიში. ძალიან აქტიურობდა „ტორპედოში“ სოჭის „ჟემჩუჟინადან“ ახალმოსული გიორგი გოგიაშვილი. უდავოა, მისი სახით გუნდი კარგ გამთამაშებელს შეიძენს. გიორგი პარტნიორებსაც ათამაშებდა და თავადაც ხშირად აწუხებდა ბათუმელთა მეკარეს. შესვენებამდე მასპინძლებმა სულ მცირე, ექვსი საგოლე მომენტი მაინც ვერ გამოიყენეს. სტუმართაგან მხოლოდ ნიგერიელი უჩე უვაკვე თუ იქცევდა ყურადღებას და ისიც მხოლოდ კანის ფერის გამო. სხვათა შორის, ქუთაისის სტადიონზე ზანგ ფეხბურთელს 1974 წლის შემდეგ არ ურბენია (25 წლის წინ ტორპედოელებმა აფრიკული ჩადის ქალაქ ნჟამენას „გაზელს“ 2:0 აჯობეს).

მეორე ტაიმისათვის კარნევალემ შემადგენლობის ნახევარზე მეტი გამოცვალა და „ბათუმმა“ 12 მოთამაშით განაახლა მატჩი. მაგრამ მაყურებლებს [illegible] საც ნახევარი საათით მოუხდა მოედნიდან გასვლა. [illegible] შეცვლები მხოლოდ მეორე გატანილს მოაყოლა. მეორე და მესამე გოლი კი ძალიან ჰგავდა ერთმანეთს. ორივე ახვლედიანის ფლანგური გარღვევის შედეგად გავიდა, ოღონდ პირველ შემთხვევაში მეგრელაძემ იმარჯვა სტუმართა საჯარიმოში, მეორეში კი ვაჩიბერაძემ გამოიჩინა თავი. ამ გოლებშუა დათო ჯანაშიამ მეგრელაძის წაქცევისათვის დანიშნული პენალტი ვერ გამოიყენა, ტოგონიძემ აუღო. მეოთხე გოლი, მესამეს მსგავსად, ვაჩიბერაძემ მიითვალა. ერთი სიტყვით, 4:0.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

*„ტორპედო“: ჭანტურია (სომხიშვილი), ახვლედიანი, თურმანიძე (ვ. მაისურაძე), შეყრილაძე (ამისულაშვილი), ხვადაგიანი, მღლაკელიძე (მახვილაძე), გოგიაშვილი, ჩხეტიანი (ვაჩიბერაძე), იონანიძე (შ. ხუჯაძე), დ. ჯანაშია (კვერნაძე), მეგრელაძე*

*„ბათუმი“: ტოგონიძე, პაპიძე, ი. მახარაძე, მ. მახარაძე, მინდაძე, ზ. არჩვაძე, უვაკვე, რომანაძე, კობიძე, თედორაძე, აფხაზავა.*

*შეცვლაზე გამოვიდნენ გელა ქორიძე, ტულუში, მაჭუტაძე, ქაცარავა, ფუტკარაძე, მჟავანაძე, სიხარულიძე, დარჩიძე*

მორიგ საკონტროლო მატჩს „ტორპედო“ 22 ივლისს წყალტუბოს „სამგურალთან“ გამართავს, 24 ივლისს კი გუნდი ჰოლანდიაში გაემგზავრება ორკვირიან შეკრებაზე.

**იუზა ძაციტაძე ქუთაისიდან**



*მამუკა დარჩია ქუთაისიდან*

შეცვლაზე შესულ ტორპედოელ ზაზა ვაჩიბერაძეს (№11) ნიკა ტოგონიძის კარში ბოლო გოლი გააქვს

# საზაფხულო მიდი-მოდი

| «ა» ზონა | წასულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **დინამო** *იოჰან ბოსკამპი* | ლ. მიქაძე (თბილისი), ა. მუჯირი, ტულუში (ბათუმი), გვარამაძე (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), სოლოლაშვილი (დილა), კვარაცხელია (თბილისი), მ. მაჭავარიანი, შ. ჩომახიძე (?) | ს. გოგაძე, ვ. გოგიაძე (იბერია), გ. შენგელია (დინამო), ჭიჭვეიშვილი, სიჭინავა, ხომერიკი (ბათუმი), ზ. ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი (თბილისი), თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი (თსუ), ლომაია (მერანი), დევაძე (ირონი, აშდოდი, ისრაელი), გრიშიკაშვილი (ალანია, რუსეთი), დონდეტი (ლოკერენი, ბელგია), დე სოუზა (გუარანი, ბრაზილია) | ერევანი (სომხეთი) 0:0, ქაფაზი (აზერბაიჯანი) 1:1, ტორპედო 3:1, ჰოვარდენი (ჰოლანდია) 10:0, რაპიდი (რუმინეთი) 1:2, ჰერაკლესი (ჰოლანდია) 0:3, შტაინ ვეიგი (ჰოლანდია) 2:1, კოლმარნოკი (შოტლანდია) 2:2 |
| **ლოკომოტივი** *მურთაზ ხურცილავა* | ზ. არჩვაძე (ბათუმი), დ. მუჯირი (შერიფი, მოლდოვა), კ. გოგოლაძე (ერევანი, სომხეთი), მარლიშვილი, ხორგუაშვილი (დილა), შ. ხუჯაძე (ტორპედო), კოტორაშვილი (ვიტ ჯორჯია), გოგობერიშვილი (ანჟი, რუსეთი), დოლაბერიძე, დაუშვილი, ქორავა, გ. ლუდუშაური, ვ. კილასონია (?) | ტრაპაიძე, კალანდაძე, მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), დავითნიძე (მერანი), ასლანაძე, გლუნჩაძე (სამგურალი), ვ. გველესიანი (არსენალი), ბარამიძე, გოლეთიანი (ლარნყალი), ოდიშარია (ცხუმი), არსოშვილი (შერიფი, მოლდოვა) | დილა 0:3, ცხუმი 5:0, თბილისი 2:1, 1:5 |
| **ბათუმი** *ჟანი კარნევალე* | თორლაშვილი (თამაში მიატოვა), ჭიჭვეიშვილი, სიჭინავა, ხომერიკი (დინამო), ვერემჩუკი (თბილისი), მაქაცარია, ყულევჯიშვილი, გუჯაბიძე, ქუტიძე (?) | ზ. არჩვაძე (ლოკომოტივი), გელა ქორიძე (მერანი), ტულუში, ა. მუჯირი (დინამო), ი. ბახტაძე (კოლეჯი) | კოლხეთი 4:1, ტორპედო 0:4 |
| **ვიტ ჯორჯია** *სერგო კოტრიკაძე* | ვ. მაისურაძე (ტორპედო), ვ. ქუთათელაძე, ერაძე, ლამბაშიძე, გვირჯიშვილი (თსუ), ქემოკლიძე (თბილისი), ჭოხონელიძე (კოლხეთი) | კოტორაშვილი (ლოკომოტივი), ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია (დილა), გ. მეტრეველი (აკადემია) | გარეჯი 13:0, დილა 2:1, 3:4 |
| **არსენალი** *დავით ჩახავა* | ჩლაიძე (თბილისი), ვ. გველესიანი (ლოკომოტივი) | გონჩაროვი (თსუ), კუპატაძე, ვ. გაგუა, კვირკველია, კოხრეიძე (არსენალი-2) | არსენალი-2 4:2, 1:1 |
| **სამგურალი** *რევაზ ბურკაძე* | აფციაური (ერევანი, სომხეთი), ბურნაძე (ვანსფორი, თურქეთი), მახვილაძე (ტორპედო), ასლანაძე, გლუნჩაძე (ლოკომოტივი), ახალაძე (თსუ), გ. შენგელია (დინამო), გიორგობიანი (ლუჩი, რუსეთი), დარსაძე (იბერია), გ. კილასონია, ვოსკანოვი (?) | მ. ძოძუაშვილი (გურია), ბრეგვაძე, ფაიქიძე (სულორი), ი. ხაჭაპურიძე (მარგვეთი), ხელაძე (თამაში მიტოვებული ჰქონდა) | |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | ისიანი (თბილისი), ლ. ამბიძე (მერანი) ლ. გაგუა, გუგუნავა, ძნელაძე, კ. გოდერძიშვილი, დ. ბერიძე, ტყავაძე, ჩალაძე (?) | | |
| **თბილისი** *ოთარ კორღალიძე* | ზ. ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი (დინამო) | კვარაცხელია (დინამო), ბაჯელიძე (მერანი), ლ. მიქაძე (დინამო), ქემოკლიძე (ვიტ ჯორჯია), ნიკურაძე, რ. ჩხაიძე (გურია), ზამთარაძე, ებრალიძე (თსუ), ისიანი (სიონი), ჩლაიძე (არსენალი), ვერემჩუკი (ბათუმი) | ლოკომოტივი 1:2, 5:1, დილა 1:1 |

| «ბ» ზონა | წასულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი* | კ. მეტრეველი, მაზანიშვილი (ტრანსფერზეარიან) | ვ. მაისურაძე (ვიტ ჯორჯია), შ. ხუჯაძე (ლოკომოტივი), მახვილაძე (სამგურალი), გოგიაშვილი (ჟემჩუჟინა, რუსეთი) | დინამო 1:3, დილა 5:1, ბათუმი 4:0 |
| **კოლხეთი** *გია ტყებუჩავა* | მ. ქობულაძე, კალანდაძე, ტრაპაიძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), ე. გვასალია (ერევანი, სომხეთი), ამაშუკელი, ჩადუნელი (?) | მერკვილიშვილი (მარგვეთი), შ. ჩხენკელი, ქუნთელია, ჯლამაძე (ტრავმის გამო არ თამაშობდნენ), რ. ჩხენკელი, ბურჭულაძე, გ. ჭანტურია (კოლხეთი 2), ჯლარკავა (ფაზისი), დ. გოგოლაძე, სიმონიშვილი (თსუ), ჭოხონელიძე (ვიტ ჯორჯია), ხუჭუა (იბერია) | ცემენტარნიცა (მაკედონია) 2:4, 0:4, ბათუმი 1:4, იბერია 3:0 |
| **მერანი** *სერგო გაბელაია* | ლომაია (დინამო), გელა ქორიძე (ბათუმი), ბაჯელიძე (თბილისი), დავითნიძე (ლოკომოტივი), ხუციშვილი (შერიფი, მოლდოვა), გ. კვეტენაძე, ბ. ამბიძე (?) | კ. სვანიძე (გურია), როსტიაშვილი (თსუ), საბიაშვილი, ნაჭყეპია (ლარნყალი), პ. ლურსმანაშვილი (ოდიში), ლ. ამბიძე (სიონი), ნ. ყიფიანი (თამაში მიტოვებული ჰქონდა) | ცხუმი 4:2 |
| **იბერია** *სოსო ფრუიძე* | ს. გოგიაძე, ვ. გოგიაძე (დინამო), ხუჭუა (კოლხეთი), გ. დოლიძე (?) | დარსაძე (სამგურალი), ასათიანი (ტორპედო 2), ?. მეტრეველი (ტორპედო 2, რუსეთი), ადეიშვილი (აკადემია), ხმალაძე, ოდიკაძე (უნივერსიტეტი იბერია) | კოლხეთი 0:3 |
| **დილა** *მერაბ ხუციშვილი* | ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია (ვიტ ჯორჯია), მდივანი (?) | სოლოლაშვილი (დინამო), მარლიშვილი, ხორგუაშვილი (ლოკომოტივი) | ლოკომოტივი 3:0, ტორპედო 1:5, თბილისი 1:1, ვიტ ჯორჯია 1:2, 4:3 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | რ. მახარაძე (მერცხალი), სიდამონიძე, ვ. მაჭავარიანი, კალმახელიძე, პ. მესხი (?) | ბუკია (თსუ), გ. ხიზანიშვილი (აკადემია) | ხალიბი 5:2 |
| **თსუ** *კოტე დოლიძე* | თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი (დინამო), ბუკია (გორდა), ზამთარაძე, ებრალიძე (თბილისი), გონჩაროვი (არსენალი), როსტიაშვილი (მერანი), დ. გოგოლაძე, სიმონიშვილი (კოლხეთი), ჭუმბურიძე (?) | ახალაძე (სამგურალი), ვ. ქუთათელაძე, ერაძე, ლამბაშიძე, გვირჯიშვილი (ვიტ ჯორჯია), შ. მახარაძე (გურია) | |
| **ხობი** *ფრიდონ გოცირიძე* | ონიანი (ნისტრუ, ოტაჩი, მოლდოვა), ლ. გვაზავა (?) | | |

**შენიშვნა: ტრანსფერთა უმრავლესობა ჯერჯერობით საბოლოო არ არის**




ჩემპიონი ბრაზილიის ნაკრები ფინალის წინ.
დგანან: კაფუ, დიდა, ჟოაო კარლოსი, რივალდო, ფლავიო კონსეისაო, ანტონიო კარლოსი
სხედან: ზე რობერტო, რობერტო კარლოსი, ემერსონი, ამოროზო, რონალდო

39a. Copa América Paraguay '99

# ბრაზილია!

## ფინალი

**ურუგვაი 0:3 ბრაზილია**

0:1, 0:2 რივალდო (20, 26), 0:3 რონალდო (48)

ურუგვაი: კარინი, დელ კამპო, პიკუნი, ლემბო, ბერგარა (გიგოუ 73), კოელიო (ალვესი 57), ფლეურკინი, ვესპა (პაჩეკო 46), კალიეხასი, მაგალიანესი, სალაიეტა

ბრაზილია: დიდა, კაფუ, ჟოაო კარლოსი, ანტონიო კარლოსი, რობერტო კარლოსი, ემერსონი, ფლავიო კონსეისაო, ზე რობერტო, რივალდო, ამოროზო, რონალდო

გაფრთხილება: კალიეხასი (12), ფლავიო კონსეისაო (15), ვესპა (19), ჟოაო კარლოსი (24), გიგოუ (89)

მსაჯი: ოსკარ რუისი (კოლუმბია)

ბრაზილია სამხრეთ ამერიკის ჩემპიონია. ასეც უნდა ყოფილიყო — ვანდერლეი ლუქსემბურგოს ნაკრები „კოპა ამერიკაზე" მონაწილე 12 გუნდიდან უძლიერესი იყო და ტიტულსაც ღირსეულად შესწვდა.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია — ბრაზილია, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი ზედიზედ პირველად გახდა, მიუხედავად იმისა, რომ „კოპა ამერიკა" სათავეს 20-იანი წლებიდან იღებს.

ფინალის შედეგი ყველაფერზე მიუთითებს — იქნებ ზოგი უფრო დიდ ანგარიშს ელოდა, მაგრამ რომ დავფიქრდეთ, არც 3:0-ია ცოტა. თან გადამწყვეტი მატჩი იყო.

ღირს კი თამაშის პერიპეტიებზე საუბარი? ეს რომ ჯგუფური ტურნირის შეხვედრა ყოფილიყო, მომენტების ალწერას, ალბათ არც შევუდგებოდით, მაგრამ რადგან ფინალი იყო...

ბრაზილიელთა უპირატესობა თვალსაჩინოზე მეტი იყო. გუნდი, რომელიც ფინალში პენალტების სერიით და მხოლოდ ერთი გამარჯვებით გავიდა, ყველა შეხვედრის მომგებ ბრაზილიას წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. ასეც მოხდა. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ბრაზილიის ნაკრებში გაცილებით მაღალი დონის ფეხბურთელები თამაშობდნენ, ვიდრე მეტოქეთა შორის. როცა მსოფლიო დონის ვარსკვლავები — რივალდო, რონალდო, კაფუ და სხვა ცნობილი მოთამაშეები ერთ გუნდში არიან თავმოყრილნი და გამარჯვებისთვის ერთად იბრძვიან, ძნელია, მათ წინ აღუდგე.

რივალდოს ორმა გოლმა, შვიდი წუთის ინტერვალით რომ გაიტანა, შეხვედრის ბედი და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონის ვინაობა ნაადრევად გადაწყვიტა და დაადგინა — ურუგვაი, ძალიან იღბლიანი გუნდი, ანგარიშის გამთანაბრებელი არ იყო. ვერც გაათანაბრა.

მართალი უთქვამს, ვისაც უთქვამს — ბედი ძლიერთ წყალობსო. კი, ურუგვაი ფინალში გავიდა, მაგრამ როგორ? პენალტების სერია ორჯერ მოიგო და... ბრაზილიას კი ყველა მეტოქის დასამარცხებლად თამაშისთვის განკუთვნილი საათნახევარიც ჰყოფნიდა.

მეოთხედფინალში ურუგვაიმ პარაგვაის სძლია. ყველა, ყოველ შემთხვევაში, უმეტესობა მაინც, ელოდა, რომ მასპინძლები იმარჯვებდნენ, მაგრამ შემდეგ წრეში ურუგვაი გავიდა. მაშინ თქვეს, ვიქტორ პუას გუნდი იღბლიანიაო. ნახევარფინალში, ჩილელებთან თამაშის წინ, ფავორიტად ურუგვაის სულაც არ მიიჩნევდნენ, მაგრამ ფინალში მაინც ეს გუნდი გავიდა. კვლავ იღბალზე ალაპარაკდნენ. როდემდე უნდა გაგრძელებულიყო ურუგვაელთა იღბლიანი სვლა? მათ საპენალტო გამარჯვებებს სადღაც აუცილებლად დაესმებოდა წერტილი, კოკა ყოველთვის ხომ ვერ მოიტანს წყალს?

წერტილი ურუგვაელთა ცოცვას (და არა სვლას) ფინალში დაესვა. კოკაც ბრაზილიელებთან შეხვედრაში გატყდა.

წააგეს და ურუგვაელები მაინც კმაყოფილნი არიან. თქვენ წარმოიდგინეთ, რაოდენ გაეხარდებოდათ გამარჯვება ჩემპიონ ბრაზილიელებს. ეს ფინალი, ალბათ, ის იშვიათი შემთხვევაა, როცა დამარცხებულსაც უხარია და გამარჯვებულსაც.

ფინალში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, თუ რა ძლიერი მოთამაშეა რივალდო — ფეხბურთელი, რომელსაც „კოპა ამერიკის" ჯგუფური ტურნირის დროს ჟურნალისტები არ ინდობდნენ, გათამაშების გმირად იქცა, თან ხუთ შეხვედრაში რივალდომ ხუთი გოლი გაიტანა — პრესკონფერენციაზე მან ეს ფაქტიც აღნიშნა, ჩემთვის მთავარი შედეგიანი თამაშია, ჟურნალისტთა კრიტიკა მაინც და მაინც არ მანაღვლებსო.

რამდენადაც სასიხარულო იყო რივალდოსთვის ჩემპიონობა, იმდენად ლამაზი გამოდგა მისი მეორე გოლი. „ბარსელონას" ვარსკვლავის პირველ ბურთსაც შესანიშნავი ეთქმის, მაგრამ მეორე მაინც შეუდარებელი გახლდათ — ზე რობერტოს პასის შემდეგ მან ტერფი ნაზად ამოჰკრა ბურთს და ურუგვაელთა მეკარეს თავზე გადაავლო. საერთოდ ლამაზი გოლების მთელი თავის ბრწყინვალებით სიტყვებში გადმოცემა ჭირს. სჯობს ეს გოლი თავად ნახოთ — რაც უნდა იყოს, ასჯერ გაგონილს, ამ შემთხვევაში წაკითხულს, ერთხელ ნანახი სჯობს.

რივალდოს მსგავსად, რონალდომაც ხუთი გოლი გაიტანა და ეს ორი ვარსკვლავი ოცდამეცხრამეტე „კოპა ამერიკას" ბომბარდირი გახდა. რონალდო უფრო კარგმა თამაშმა გაახარა, ვიდრე ბომბარდირობამ — რთული და მომქანცველი ევროპული სეზონის შემდეგ ჩემთვის ეს გამარჯვება ძალიან სასიხარულოაო, უთქვამს ბრაზილიელ ჭაბუკს ჟურნალისტებისთვის.

— ჩვენ მიზანს მივაღწიეთ. ძალიან მიხარია, კონტინენტის ჩემპიონები რომ გავხდით. ეს ძალიან, ძალიან საამაყოა. ბიჭებმა დაამტკიცეს, რომ ისინი ძლიერები არიან. მათი მადლობელი ვარ — განაცხადა ბრაზილიელთა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუქსემბურგომ. მას შემდეგ, რაც მარიო ზაგალოსგან ნაკრები ჩაიბარა, ეს პირველი ტურნირი იყო და ლუქსემბურგომ მოიგო კიდეც. ახლა, სულ რაღაც ხუთ დღეში, კონფედერაციათა თასის გათამაშება იწყება, რომელსაც მექსიკა მასპინძლობს. მიუხედავად იმისა, რომ კონფედერაციათა თასზე ბრაზილიას რივალდო, რონალდო და მისთანები დააკლდებიან, ლუქსემბურგოს ამ ტურნირის მოგების იმედიც აქვს.

როცა ბრაზილიისთანა ნაკრებს თავკაცობ, ყველაფერია შესაძლებელი. ბრაზილიელები მართლაც ღირსეული ჩემპიონები არიან. ისინი გამარჯვებას იმსახურებდნენ.

## მატჩი მესამე ადგილისათვის

**ჩილე 1:2 მექსიკა**

0:1 პალენსია (26), 1:1 პალასიოსი (80), 1:2 სეპედა (87)

ჩილე: მარსელო რამირესი, ვარგასი (ნუნიესი 61), რეიესი, მიგელ რამირესი (კონტრერასი 37), აკუნია, პალასიოსი, აროსი, ესტეი, სიერა, სამორანო, გონსალესი (ვალენსია 61)

მექსიკა: კამპოსი, მარკესი, სუარესი, კარმონა, სეპედა, ტორადო, რამირესი, გარსია (გარსია ასპე 61), პალენსია (ტერასასი 66), ერნანდესი, ბლანკო (ოსორნო 85)

გაფრთხილება: გარსია ასპე (69), პალასიოსი (90), ერნანდესი (90), მარკესი (90)

მსაჯი: ორასიო ელისონდო (არგენტინა)

ბრინჯაოს გუნდია მექსიკის ნაკრები — 1993 წლიდან მონაწილეობს სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში და ოთხი ტურნირიდან სამჯერ მესამე ადგილზე გავიდა. მექსიკელებს ამჯერადაც ბრინჯაოს მედლები ხვდათ წილად.

მაშინ, როცა ანგარიში 1:1 იყო და თამაში თითქოს პენალტების სერიამდე უნდა მისულიყო, მიგელ სეპედამ ჩილელთა კარი მეორედ დალაშქრა და მექსიკელებს გაამარჯვებინა.

...სამორანოსთვის ეს შეხვედრა ქვეყნის პირველი გუნდის შემადგენლობაში, როგორც ჩანს, ბოლო იქნება — მილანის „ინტერის" თავდამსხმელმა ნაკრებიდან წასვლის შესახებ განაცხადა.

ახლა მექსიკელები კონფედერაციათა თასისთვის ემზადებიან. სხვათა შორის, სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის გადაწყვეტილებით, დოპინგკონტროლზე გამოჭერილი ორი მექსიკელი — რაულ ლარა და პაულო სესარ ჩავესი ექვსი თვით დისკვალიფიცირებულნი არიან.

**ლაშა გოდუაძე**

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რონალდო (ბრაზილია) | 5 |
| რივალდო (ბრაზილია) | 5 |
| ამოროზო (ბრაზილია) | 4 |

## ინტერტოტოს თასი. მესამე ეტაპი

პირველი მატჩები. 17-18 ივლისი

INTERTOTO CUP

**ვესტ ჰემი (ინგლისი) 1:0 იოკერიტი (ფინეთი)**
1:0 კიტსონი (18)

**პოლონია (პოლონეთი) 2:0 ვაშაში (უნგრეთი)**
1:0 მოსკალი (13), 2:0 ბარცაკი (73),

**ლუსტენაუ (ავსტრია) 2:0 რენი (საფრანგეთი)**
*გოლების ავტორები გუშინდელი დღისთვის არ გახლდათ ცნობილი*

**ტრაბზონი (თურქეთი) 1:2 პერუჯა (იტალია)**
0:1 ოლივე (4), 0:2 ნაკატა (36პ), 1:2 ვუგრინეკი (72)

**ქოჯაელი (თურქეთი) 0:3 დუისბურგი (გერმანია)**
0:1 ვედაუ (15), 0:2 ტოფტინგი (51), 0:3 ოსტჰოფი (54)

**ჰერენვენი (ჰოლანდია) 2:0 ჰამარბი (შვედეთი)**
*გოლების ავტორები გუშინდელი დღისთვის არ გახლდათ ცნობილი*

**სტ. ტრუიდენი (ბელგია) 0:2 აუსტრია (ავსტრია)**
*გოლების ავტორები გუშინდელი დღისთვის არ გახლდათ ცნობილი*

**ვარტექსი (ხორვატია) 1:2 როსტსელმაში (რუსეთი)**
1:0 მუმლეკი (4), 1:1 კომაროვი (40), 1:2 მალიგინი (90)

**ლოკერენი (ბელგია) 1:2 მეცი (საფრანგეთი)**
0:1 სალუეფი (46), 1:1 იანსენსი (48პ), 1:2 სალუეფი (77)

**ესპანიოლი (ესპანეთი) 0:2 მონპელიე (საფრანგეთი)**
*გოლების ავტორები გუშინდელი დღისთვის არ გახლდათ ცნობილი*

**ჩაჰლაული (რუმინეთი) 1:1 იუვენტუსი (იტალია)**
1:0 სკინტიე (28), 1:1 ტაკინარდი (58)

**ჰამბურგი (გერმანია) 0:1 ბაზელი (შვეიცარია)**
0:1 კუმანტარაკისი (35)

### ინტერტოტოს თასის ნახევარფინალები

| | | |
|---|---|---|
| A | ვარტექსი (ხორვატია) — როსტსელმაში (რუსეთი) | ჩაჰლაული (რუმინეთი) — იუვენტუსი (იტალია) |
| B | ლუსტენაუ (ავსტრია) — რენი (საფრანგეთი) | სტ ტრუიდენი (ბელგია) — აუსტრია (ავსტრია) |
| C | ვესტ ჰემი (ინგლისი) — იოკერიტი (ფინეთი) | ჰერენვენი (ჰოლანდია) — ჰამარბი (შვედეთი) |
| D | ქოჯაელი (თურქეთი) — დუისბურგი (გერმანია) | ესპანიოლი (ესპანეთი) — მონპელიე (საფრანგეთი) |
| E | ტრაბზონი (თურქეთი) — პერუჯა (იტალია) | ჰამბურგი (გერმანია) — ბაზელი (შვეიცარია) |
| F | ლოკერენი (ბელგია) — მეცი (საფრანგეთი) | პოლონია (პოლონეთი) — ვაშაში (უნგრეთი) |

პირველი მატჩები 28 ივლისს, ხოლო საპასუხო 4 აგვისტოს გაიმართება.

### ინტერტოტოს თასის ფინალებში გუნდები ასე დაწყვილდებიან:

D ჯგუფის გამარჯვებული — E ჯგუფის გამარჯვებული
A ჯგუფის გამარჯვებული — B ჯგუფის გამარჯვებული
C ჯგუფის გამარჯვებული — F ჯგუფის გამარჯვებული

პირველი თამაშები 10 აგვისტოს შედგება, საპასუხო — 24 აგვისტოს.

# ნომრები გართობამდე

„იუვენტუსის" დებიუტმა ინტერტოტოს თასზე კლუბის გულშემატკივრებს გული დაწყვიტა — გუნდმა, მიუხედავად იმისა, რომ სტუმრად თამაშობდა, რუმინელი მეტოქის, „ჩაჰლაულის" დამარცხება ვერ შეძლო 1:1.

გავა თუ არა მომდევნო წრეში „იუვენტუსი", ერთ კვირაში გამოჩნდება, მანამდე კი გუნდი სასეზონოდ ემზადება. მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ კიდევ ერთი ამხანაგური შეხვედრა დაგეგმა იმავე ვალე დაოსტას ნაკრებთან, ხოლო ამის შემდეგ „იუვენტუსი" სენტ ვინსენტში ერთ იქაურ გუნდს დაუპირისპირდება. ერთი შეხედვით სუსტ მოწინააღმდეგეებთან მატჩების გამართვა ანჩელოტის საგანგებოდ ალესანდრო დელ პიეროს გამო განუზრახავს — ფეხბურთელმა მუხლის უმძიმესი ტრავმა მთლიანად კი მოიშუშა, მაგრამ ჯერ ნამდვილად არაა ისეთ ფორმაში, ძლიერ გუნდებთან ითამაშოს.




ემზადებიან იუვენტუსელები: სანდი ოლისე (მარცხნივ) და დარკო კოვაჩევიჩი

ამასობაში, სანამ ახალი სეზონი მოახლოებულა, „იუვენტუსში" ფეხბურთელებს ნომრიანი მაისურები დაურიგდათ:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვან დერ სარი | 8 | კონტე | 15 | ბირინდელი | 22 | ისაკსონი |
| 2 | ფერარა | 9 | ინძაგი | 16 | ამორუზო | 23 | ძამბროტა |
| 3 | მირკოვიჩი | 10 | დელ პიერო | 17 | ობრიენი | 24 | ამეტრანო |
| 4 | მონტერო | 11 | ფონსეკა | 18 | კოვაჩევიჩი | 25 | პეროტა |
| 5 | ოლისე | 12 | რამპულა | 19 | ესნაიდერი | 26 | დავიდსი |
| 6 | ანრი | 13 | იულიანო | 20 | ტაკინარდი | 27 | რიგონი |
| 7 | პესოტო | 14 | ბაკინი | 21 | ზიდანი | 28 | ტუდორი |

ამ ჩამონათვალში არ არიან „სამპდორიადან" „იუვენტუსში" დაბრუნებული ფაბიო პეკია და „ემპოლიდან" წამოსული ურუგვაელი თავდამსხმელი მარსელო სალაიეტა. თუ რამ განაპირობა მათი არყოფნა, ჯერჯერობით უცნობია.

ერთიც: 21 ივლისს, ტურინული კლუბი სენტ ვინსენტის კაზინო „გრანდ ჰოტელ ბილიაში" მიღებას აწყობს, სადაც იქნებიან ფეხბურთელები ოჯახებით, კლუბის სპონსორი ფირმების წარმომადგენლები და „იუვენტუსის" პრეზიდენტები.

## გერმანია

### ლიგის თასის ფინალი

**ბაიერნი 2:1 ვერდერი**

1:0 პაულო სერჟიო (34), 2:0 ტარნატი (43), 2:1 ზაიდელი (56)

ბაიერნი: დრეერი, მათეუსი (იაროლინი 79), ბაბელი, ანდერსონი, ლინკე, ფინკი, შოლი, ტარნატი, ციკლერი (სალიჰამიჯიჩი 77), იანკერი, პაულო სერჟიო

ვერდერი: როსტი, ვიდნერი, ბაუმანი, ბენკენი, ფრინგსი (დაბროვსკი 60), ვიკი, აილტსი (ბოგდანოვიჩი 60), მაქსიმოვი, ფლოკი, ზაიდელი, აილტონი (კუნცი 75)

შაბათს მიუნხენის „ბაიერნმა" ბრემენის „ვერდერზე" შური იძია — გერმანიის ლიგის თასის ფინალში 2:1 მოუგო და ამ საპატიო პრიზს ზედიზედ მესამედ დაეუფლა.

„გასული სეზონის კოშმარული დასასრულის შემდეგ ამ ტურნირის მოგება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გუნდზე ჩინებულად იმოქმედებს. ახლა მომავალ სეზონს უფრო თავდაჯერებულნი და კარგი განწყობით შევხვდებით" — განუცხადა ნამატჩევს მიუნხენელთა თავკაცმა, ოტმარ ჰიცფელდმა გერმანულ ტელეკომპანია „ARD"-ს.

შაბათს ლევერკუზენში გამართული მატჩი, მიუხედავად იმისა, რომ ორივე გუნდს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა, მიმზიდველი გამოდგა. ორივე გუნს ბევრი საგოლე მომენტი ჰქონდა. გოლი კი სამი გავიდა და ყველა ერთმანეთზე უკეთესი. 34-ე წუთზე „ბაიერნის" ახალწვეულმა, ბრაზილიელმა პაულო სერჟიომ ბრწყინვალედ ითამაშა, მეურვეს წამით დაასწრო და ერთი შეხებით როსტს თავზე გადაუგდო ბურთი — 1:0. ცოტა ხანში" ვერდერის" კარში მეორე გოლიც გავიდა. ტარნატის მიერ ჯარიმიდან უძლიერესად დარტყმული ბურთის მოგერიება როსტმა ვერ შეძლო. მატჩის ბედიც ფაქტობრივად აქ გადაწყდა.



პაულო სერჟიო მიუნხენურ კლუბში მოპოვებული პირველი თასით ხელში

REUTERS ლევერკუზენიდან

მეორე ტაიმში „ვერდერმა" ანგარიშის შემცირებალა მოახერხა.

56-ე წუთზე ბრემენელთა მიერ გათამაშებული კარგი კომბინაცია ზაიდელმა ულამაზესი გოლით დააგვირგვინა.

ლიგის თასის მოგებამ ყველაფერთან ერთად კიდევ ერთი სიკეთე მოუტანა მიუნხენის „ბაიერნს" — კლუბის ისედაც მდიდარი ბიუჯეტი გერმანიის საფეხბურთო კავშირმა კიდევ 2,5 მილიონი მარკით გაამდიდრა.

## შვეიცარია

### III ტური

**სერვეტი 1:0 ლუცერნი**

1:0 ვოლფი (56)

**გრასჰოპერი 4:0 არაუ**

1:0 იაკინი (23), 2:0 პოდელი (32), 3:0 იაკინი (58), 4:0 კაბანასი (85)

**ქსამაქსი 3:1 ლუგანო**

1:0 სიმო (41), 2:0 პერეტი (47), 2:1 მანინი (82), 3:1 ჟიგონი (90)

**დელემონი 1:1 ლოზანა**

0:1 რენი (26), 1:1 დრაკოპულოსი (83)

**სენტ გალენი 3:0 ციურიხი**

1:0 ჟაირო (71), 2:0 მიულერი (85), 3:0 ჰელინგა (90პ)

ციურიხი: პასკოლო, ფიშერი, ანდრეოლი, კვენტინი (გიგექსი 80), კებე, სანტანა, ჯამარაული, დუგლასი (კასტილიო 46), ბარტლეტი, ფრიკი

**ივერდონი — ბაზელი**

გადაიდო

წინა ჩემპიონატის მსგავსად „ციურიხმა" ახლაც ძალიან ცუდად დაიწყო. სამი თამაშის შემდეგ გუნდს, რომელიც მიზნად ჩემპიონობას ისახავს მხოლოდ ორი ქულა აქვს, თუმცა ქომაგებს ქულებზე მეტად „ციურიხის" თამაში უფრო ანაღვლებთ, რომელიც კრიტიკას ვერ უძლებს. წინა ტურში „გრასჰოპერთან" ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ გუნდის მწვრთნელმა რაიმონდო პონტემ შეგირდები ბაგა-ბაღის ბავშვებს შეადარა. სტუმრად ლიდერ „სენტ გალენთან" 0:3 განადგურებას კი პონტემ შედარებით რბილი კომენტარი გაუკეთა.

— ჩემი ვარაუდი გამართლდა. თამაშამდე ვამბობდი, პირველ გოლს ვინც გაიტანს, ის მოიგებს-მეთქი, ასეც მოხდა. სამწუხაროა, რომ პირველი გოლი ჩვენ გავუშვით, არადა, მანამდე მეტოქეს ვჯობდით კიდეც, მომენტებიც მასზე მეტი შევქმენით. მარცხი მთლიანად ჩვენი ბრალია" — თქვა პონტემ.

გაშვებულ გოლამდე „ციურიხი" მართლაც ფლობდა მცირე ტერიტორიულ უპირატესობას, რაც ძირითადად ჯამარაულისა და სანტანას დამსახურება გახლდათ. მინდვრის ცენტრში მოქმედი ეს დუეტი საკმაოდ აქტიურობდა და თავდამსხმელებს კარგი პასებით ამარაგებდა, თუმცა სანტანასა და გოჩა ჯამარაულს თანაგუნდელებმა გარჯა ვერ დაუფასეს, რაც „ციურიხს" ძვირად დაუჯდა.

მატჩის ბოლო ოც წუთში „სენტ გალენმა" „ციურიხს" პატარა გაკვეთილი ჩაუტარა. ეს მონაკვეთი განსაკუთრებით მცველებმა და მეკარემ ჩააგდეს, რომლებმაც უამრავი უხეში შეცდომა დაუშვეს. 71-ე წუთზე ჟაირომ გამოიყენა ამოას კარგი პასი და ანგარიში გახსნა. 85-ეზე კურიოზული გოლი გავიდა, როცა პასკოლოს სულელური თამაშის შემდეგ მიულერმა ბურთი ცარიელ კარში შეაგორა, ბოლო წუთზე კი ჰელინგამ ზუსტი პენალტით „ციურიხის" რბევას წერტილი დაუსვა.

პირველი გამარჯვება მოიპოვა წლეულს შვეიცარიის ყველაზე ტიტულიანმა კლუბმა, უქართველოდ დარჩენილმა ციურიხის „გრასჰოპერმა". „კალიები" თავიდანვე შეესივნენ „არაუს" და მთლიანად გაანადგურეს — 4:0.

„სენტ გალენთან" სამქულიანი ჩამორჩენა შეინარჩუნა ჩემპიონმა „სერვეტმა". ჟენეველებმა საკუთარ მინდორზე „ლუგანოს" უმასპინძლეს და გაჭირვებით სძლიეს — 1:0. გადამწყვეტი გოლი შეხვედრის 56-ე წუთზე ვოლფმა გაიტანა.

**ვანო ოქროპირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტ. გალენი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:0 | 9 |
| სერვეტი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| გრასჰოპერი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:1 | 5 |
| ქსამაქსი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| ლუგანო | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| ლუცერნი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| ივერდონი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ბაზელი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ლოზანა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ციურიხი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:4 | 2 |
| არაუ | 3 | 0 | 2 | 1 | 2:6 | 2 |
| დელემონი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |

## რუსეთი

### XVIII ტურის გადმოტანილი მატჩი

**ცსკა 5:0 შინიკი**

1:0 ხამუხა (66), 2:0 გუტალი (73), 3:0 კულიკი (80), 4:0, 5:0 სემაკი (84, 90)

ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მოსკოვის ცსკა-ს ერთ კვირაში ნორვეგიულ „მიოლდესთან" უწევს დაპირისპირება. ამის გამო არმიელებს ნება დართეს, მე-18 ტურის შეხვედრა ნაადრევად გაემართათ.

ვიდრე მატჩის შესახებ გეტყოდეთ, უპრიანი იქნება, არმიელთა კლუბის სატრანსფერო პოლიტიკაზე გესაუბროთ. მწვრთნელი ოლეგ დოლმატოვი უკმაყოფილო იყო პირველ წრეში ფეხბურთელების მოქმედებით და შემადგენლობის გადახალისება წამოიწყო. მიწვეული მოთამაშეები ჯერჯერობით აკმაყოფილებენ მის მოთხოვნებს. ნახევარმცველმა ოლეგ შიშკინმა ცსკა-ში დებიუტი მოსკოვის „ლოკომოტივის" კარში გატანილი გამარჯვების მომტანი გოლით აღნიშნა. სლოვაკი მარეკ ჰოლი „ზენიტთან" შეხვედრაში დოლმატოვის გუნდის რიგებში საუკეთესოდ აღიარეს.

გუშინწინდელ მატჩში კიდევ ორი ახალწვეულის გამოცდა ვიხილეთ. ექსიუგოსლავიელებს მცველ ანტე პეშიჩს და თავდამსხმელ გორან გუტალს პირველად მოუხდათ არმიელთა მაისურას მორგება. პეშიჩსა და სხვა დაცვისხაზელებს შინიკელებისგან ბევრი პრობლემები არ შექმნიათ. აი, გუტალს რაც შეეხება, იგი ურიგოდ ნამდვილად არ გარჯილა. 24-ე წუთზე ფილიპენკოვის ნაცვლად შესულმა გორანმა ერთი გოლი და ორი საგოლე პასი მიითვალა...

შეხვედრის ბედი კი 66-ე წუთზე გადაწყდა. ფრეზე დაგეშილი სტუმრები მეორე ნახევარში მხოლოდ იმაზე ზრუნავდნენ, გოლი არ გაეშვათ. თითქოს გამოსდიოდათ კიდეც ჩანაფიქრის ასრულება, მაგრამ ცსკა-ს მასირებულმა შეტევებმა ნაყოფი გამოიღო. ოსტატურად შესრულებული საჯარიმო დარტყმის შედეგად, არმიელთა თურქმენმა ლეგიონერმა ხამუხამ ბურთი ცხრიანში მოათავსა. მერე კი ვინც მოინდომა, თითქმის ყველამ გაიტანა...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 20 | 14 | 4 | 2 | 43:15 | 46 |
| ცსკა | 18 | 10 | 6 | 2 | 35:13 | 36 |
| ლოკომოტივი | 16 | 11 | 2 | 3 | 37:17 | 35 |
| ტორპედო | 17 | 7 | 8 | 2 | 20:15 | 29 |
| დინამო | 16 | 8 | 3 | 5 | 29:24 | 27 |
| ალანია | 16 | 7 | 4 | 5 | 31:23 | 25 |
| ზენიტი | 17 | 6 | 7 | 4 | 23:18 | 25 |
| როსტსელმაში | 16 | 7 | 4 | 5 | 20:19 | 25 |
| ნ. ნოვგოროდი | 16 | 6 | 4 | 6 | 20:21 | 22 |
| როტორი | 17 | 5 | 3 | 9 | 22:32 | 18 |
| სატურნი | 17 | 4 | 4 | 9 | 17:27 | 16 |
| კრილია | 17 | 4 | 3 | 10 | 22:31 | 15 |
| ურალანი | 16 | 4 | 3 | 9 | 10:20 | 15 |
| ჩერნომორეცი | 16 | 3 | 4 | 9 | 15:29 | 13 |
| შინიკი | 17 | 2 | 6 | 9 | 10:28 | 12 |
| ჟემჩუჟინა | 16 | 0 | 7 | 9 | 9:31 | 7 |

### თასის მეთექვსმეტედფინალი

**ლადა 0:2 სპარტაკი**

0:1 შირკო, 0:2 ევსეევი (70)

ტოლიატიში „ტორპედოს" სტადიონზე ანშლაგი იყო. 20 ათასკაციან ტრიბუნებზე 22 500 გულშემატკივარი დაბანაკდა. მობილიზებულნი იყვნენ ადგილობრივი მილიციისა და ომონის ძალები. შეხვედრას „სპარტაკის" მრავალრიცხოვან ფანთა არმიაც დაესწრო.

რუსეთში თასის გათამაშებაში ერთრაუნდიანი ბრძოლები იმართება და მეორე დივიზიონის ბინადარ „ლადას" არც ისე ურიგო შანსი ჰქონდა მერვედფინალში გასასვლელად. თანაც შარშანდელი სათასო კურიოზული ფაქტიც არსებობდა. გასული წლის თასის გათამაშებაში „სპარტაკი" ხომ დაბალდივიზიონელმა პერმის „ამკარმა" იმსხვერპლა.

ამჯერად ტოლიატელებმა ვერ მოახერხეს ამკარელების გმირობის გამეორება და აშკარად ძლიერ სტუმრებს 0:2 დანებდნენ.

**ხვიჩა სანიკიძე**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 93 16 08

## ფეხბურთის რუკასთან

ესპანურ პრიმერადივიზიონში წლეულს ალზევებულმა „მალაგამ" მადრიდის „რეალისგან" პორტუგალიის ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი ედგარ პატრიციო და მეკარე პედრო კონტრერასი შეიძინა, რომელთა სანაცვლოდაც 115 მილიონი პესეტა (7,07 მილიონი დოლარი) გაიღო. ედგარი სამეფო კლუბს შარშან ლისაბონის „ბენფიკადან" შეუერთდა, თუმც სასტარტო შემადგენლობაში ვერ დამკვიდრდა. იგივე შეიძლება ითქვას კონტრერასზეც, რომელმაც გერმანელი ბოდო ილგნერის კონკურენციას ვერ გაუძლო. აღსანიშნავია, რომ ედგარის და კონტრერასის გარდა „მალაგამ" გასულ თვეს „რეალისგან" კიდევ ორი ფეხბურთელი გადაიბირა — სამეფო კლუბის პრეზიდენტ ლორენცო სანსის ვაჟი რობერტო სანსი და რობერტო როხასი.

**სენეგალის დედაქალაქ დაკარში აფრიკის თასის საკვალიფიკაციო მატჩში, მასპინძელთა ნაკრებმა ერითრეას ეროვნულ გუნდს უმასპინძლა. სენეგალელებმა გათამაშების დებიუტანტები გამანადგურებელი ანგარიშით — 6:2 დაამარცხეს.**

ზიმბაბვეში გასულ კვირას კოსაფას თასის მეოთხედფინალური მატჩი გაიმართა. ზიმბაბველები სვაზილენდს დაუზავდნენ 1:1.

**ინგლისური „ქოვენთრი სითის" და ესპანური „დეპორტივოს" ხანგძლივი მოლაპარაკებები დასრულდა. აფრიკის 1998 წლის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებული, მაროკოს ეროვნული ნაკრების მოთამაშე მუსტაფა ჰაჯი უკვე „ქოვენთრის" საკუთრებაა. ესპანელები მაროკოელის სანაცვლოდ, რომელიც თანახმაა ახალ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმოს, 4 მილიონ გირვანქას მიიღებენ. „ნამდვილად ძლიერი ფეხბურთელი შევიძინეთ. დარწმუნებული ვარ, მუსტაფა ჰაჯი „ქოვენთრის" ძლიერ გამოადგება" — განაცხადა ინგლისური გუნდის ერთ-ერთმა მენეჯერმა. მისივე თქმით, მაროკოელის ყიდვის შემდეგ „ქოვენთრი" თანახმაა, ჰოლანდიელი ნახევარმცველი ჯორჯ ბოტენგი „ასტონ ვილას" მიჰყიდოს, იმ შემთხვევაში, თუ ბირმინგემელები 24 წლის ფეხბურთელში ადრე შეთავაზებული 3,5 მილიონ გირვანქას მაგივრად 5 მილიონს გადაიხდიან.**

კოსტა რიკის ეროვნული ნაკრებისა და „დერბი ქაუნთის" თავდამსხმელი პაოლო ვანჩოპე 3 მილიონ გირვანქად ლონდონურ „ვესტ ჰემში" გადავიდა. ვანჩოპე, რომელიც აწ უკვე ყოფილმა კლუბმაც გასული თვიდან დააყენა ტრანსფერზე, „დერბი ქაუნთიმ" ორი წლის წინ 700 ათასი გირვანქად შეიძინა.

**ინგლისურმა „ლესტერ სითიმ" ამერიკელი მეკარე კეისი კელერის შემცვლელად „ბლექბერნ როვერსისგან" ტიმ ფლაუერსი შეიძინა. ლესტერელებმა ფეხბურთელში 1,5 მილიონი გირვანქა გაიღეს, პლუს 0,5 მილიონი, რომელსაც ისინი „ბლექბერნს" ერთი წლის განმავლობაში გადაუხდიან. ფლაუერსის „ლესტერ სითიში" გადასვლა გასულ თვეშიც იყო მოსალოდნელი, მაგრამ ზემოხსენებულმა ორმა კლუბმა აქამდე შეთანხმებას ვერ მიაღწია. რაც შეეხება აშშ-ს ეროვნული ნაკრების მეკარე კეისი კელერს, მას „ლესტერთან" კონტრაქტის ვადა გაუვიდა და ამჟამად თავისუფალი აგენტია. კელერით გერმანიის და იტალიის საკმაოდ ძლიერი კლუბები არიან დაინტერესებულნი. სავარაუდოა, რომ იგი გაისად სწორედ ამ ორი ქვეყნის ერთ-ერთი გუნდის ღირსებას დაიცავს.**

ავსტრალიის ეროვნული ნაკრების მცველმა სიმონ კოლოსიმომ ავსტრალიისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" შორის გასულ კვირას გამართულ მეორე მატჩში მარცხენა მუხლის უმძიმესი ტრავმა მიიღო, რის გამოც მომავალ ექვს თვეს გამოტოვებს. კოლოსიმო მაშინ დაშავდა, როცა მანჩესტერელთა თავდამსხმელ ენდი კოულს შეეტაკა. „სამწუხაროა, რომ ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი დაშავდა, მაგრამ ვიმედოვნებ, იგი მალე გამოჯანმრთელდება და კვლავ უწინდებურად დაეხმარება გუნდს" — განაცხადა ავსტრალიელთა მთავარმა მწვრთნელმა რაულ ბლანკომ. რაც შეეხება მატჩს, ის ამჯერადაც ინგლისის ჩემპიონთა გამარჯვებით დასრულდა 1:0.

**ფინეთის ჩემპიონატის XVII ტური გაიმართა. ტურკუ — ჯაზი 1:1, კოტკა — ვაასა 2:2, ჰელსინკი — ინტერი 0:1, ტამპერე — ჰაკა 0:3. 37 ქულით ჩემპიონატს ჰაკა ლიდერობს, მეორეზეა ჰელსინკით 32 ქულით, მესამეზე ინტერი (26 ქულა).**

რუსეთის ჩემპიონ მოსკოვის „სპარტაკის" კაპიტანი ილია ციმბალარი დაშავდა, რის გამოც სამი კვირა აქტიურ საფეხბურთო ცხოვრებას გამოეთიშა. „ახლა ის უკვე გერმანიაშია, სადაც ოპერაციას გაიკეთებს, ამის შემდეგ კი მოსკოვში დაბრუნება" — განაცხადა სპარტაკელთა ექიმმა, იური ვასილკოვმა.

**უნგრეთის ჩემიონ ბუდაპეშტის მტკ-ში ჰოლანდიელი თავდამსხმელი, გლენ ჰელდერი გადავიდა, განაცხადა კლუბის დირექტორმა ფრენც ფულოპმა. 31 წლის ფეხბურთელმა ახალ კლუბთან კონტრაქტი უკვე გააფორმა რაც მტკ-ას პრეზიდენტმა, გაბორ ვარსამიმ და ჰოლანდიელმა მწვრთნელმა, ჰენკ თენ კატემაც დაადასტურეს. ჰელდერმა საფეხბურთო კარიერა ამსტერდამის „აიაქსში" დაიწყო, რის შემდეგაც როტერდამის „სპარტაში", არნჰემის „ვიტესში", ლონდონის „არსენალში", ლისაბონის „ბენფიკასა" და აჩიკო არველაძის „ბრედაში" თამაშობდა. მას ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების ღირსება ოთხჯერ დაუცავს.**

ესპანური ლა კორუნიის „დეპორტივო" ორი თვით თავის კაპიტან ფრან გონსალესს მოისაკლისებს. მან რამდენიმე დღის წინ ტრავმა მიიღო. 30 წლის ნახევარმცველი, რომლის ესპანეთის ეროვნულ ნაკრებში დებიუტიც გასულ სეზონში შედგა, სექტემბერში ვერც თავის თანამემამულეებს დაეხმარება. შეგახსენებთ, რომ ესპანელები 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში 4 სექტემბერს ავსტრიას, ხოლო ოთხი დღის შემდეგ კვიპროსს ეთამაშებიან.

**ინგლისური „ასტონ ვილას" თავდამსხმელი სტენ კოლიმორი, მომავალი სეზონის პირველ სამ თვეს ქვედალიგელ „ფულემში" გაატარებს. ინგლისის ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი იმედოვნებს, რომ „ფულემში" გადასვლა წაადგება, შემდეგ კი კვლავ დიდ ფეხბურთს დაუბრუნდება. შეგახსენებთ, რომ კოლიმორი „ასტონ ვილამ" 1997 წელს „ლივერპულისგან" შეიძინა 7 მილიონ გირვანქად, მაგრამ მისი საქმეები ბირმინგემულ კლუბში ვერ აეწყო, რის გამოც მან ძირითადში ადგილი დაკარგა. „ლივერპულამდე" კოლიმორი „ნოტინგემ ფორესტის" ღირსებას იცავდა, საიდანაც 1995 წელს, ინგლისის ყველაზე ტიტულიან კლუბში ბრიტანეთის ყველა დროის სარეკორდო თანხად, 8,5 მილიონ გირვანქად გადავიდა.**

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

# ევროპის უმნიშვნელოვანესი ტრანსფერები

## იტალია

მილანი: იბრაჰიმ ბა (სევილია, ესპანეთი), ჯამპიერო მაინი (პარმა), ანდრე კრუზი (ტორინო), დეიან სავიჩევიჩი (რაპიდი, ავსტრია); **ანდრეი შევჩენკო (დინამო, უკრაინა), სერჟინიო (სან პაულუ, ბრაზილია), დიეგო დე აშენტისი (ბარი), ჯენარო გატუზო (სალერნიტანა), მატიას გრაფიედი (ჩეზენა), პიერლუიჯი ორლანდინი (პარმა), ალესანდრო ტეოდორანი (ჩეზენა), მაქს ტონეტო (ემპოლი)**; ლაციო: პოლ ოკონი (ფიორენტინა), კრისტიან ვიერი (ინტერი); **კენეტ ანდერსონი (ბოლონია), სიმონე ინძაგი (პიაჩენცა), რობერტო სენსინი (პარმა), დიეგო სიმეონე (ინტერი), ხუან სებასტიან ვერონი (პარმა)**; იუვენტუსი: დიდიე დეშამპი (ჩელსი, ინგლისი), ანჯელო დი ლივიო (ფიორენტინა), ანჯელო პერუცი (ინტერი); **ჯონათან ბაკინი (უდინეზე), დარკო კოვაჩევიჩი (სოსიედადი, ესპანეთი), სანდი ოლისე, ედვინ ვან დერ სარი (აიაქსი, ჰოლანდია), მარსელო სალაიეტა (ემპოლი), ჯანლუკა ძამბროტა (ბარი)**; ინტერი: ჯანლუკა პალიუკა (ბოლონია), დიეგო სიმეონე (ლაციო), ნიკოლა ვენტოლა (ბოლონია), არონ ვინტერი (აიაქსი, ჰოლანდია), ზე ელიასი (ბოლონია); **ლორან ბლანი (მარსელი, საფრანგეთი), ზუმანა კამარა (ემპოლი), ნიკო დაბრიტცი (ვიჩენცა), სირილ დომორო (მარსელი, საფრანგეთი), სალვატორე ფრეზი (სალერნიტანა), ვლადიმირ იუგოვიჩი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლუკა მეცანო (პერუჯა), კრისტიან პანუჩი (რეალი, ესპანეთი), ანჯელო პერუცი (იუვენტუსი), ალვარო რეკობა (ვენეცია), კრისტიან ვიერი (ლაციო), კრისტიანო ძანეტი (კალიარი)**; ფიორენტინა: ფრანჩესკო ფლაკი (სამპდორია), კარმინე ესპოზიტო (კალიარი); **დანიელე ადანი (ბრეშა), აბელ ბალბო (პარმა), სტეფანო ბეტარინი (ბოლონია), მაურო ბრეშანი (ბარი), ენრიკო კიეზა (პარმა), ფაბრიციო რავანელი (მარსელი, საფრანგეთი), ანჯელო დი ლივიო (იუვენტუსი), პრედრაგ მიატოვიჩი (რეალი, ესპანეთი), პოლ ოკონი (ლაციო), ფაბიო როსიტო (ნაპოლი), ალესანდრო პიერინი (უდინეზე)**; პარმა: აბელ ბალბო, ენრიკო კიეზა (ფიორენტინა), რეინალდ პედროსი (მონპელიე, საფრანგეთი), რობერტო სენსინი, ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი); **მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (უდინეზე), რობერტო ბრედა (სალერნიტანა), ჯუზეპე კარდონე (ვიჩენცა), მარკო დი ვაიო (სალერნიტანა), ჯამპიერო მაინი (მილანი), მიკელე სერენა (ატლეტიკო, ესპანეთი), ანტონ სერიჩი (ჰაიდუკი, ხორვატია), რობერტო სტელონე (ლეჩე), სტეფანო ტორიზი (ატლეტიკო, ესპანეთი)**; რომა: პაულო სერჟიო (ბაიერნი, გერმანია), პიერ ვომე (ბოლონია); **ფრანჩესკო ანტონიოლი (ბოლონია), სელსო აიალა (ბეტისი, ესპანეთი), სერგეი გურენკო (ლოკომოტივი, რუსეთი), ალესანდრო რინალდი (ბოლონია), ვალტერ სამუელი (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა)**; ბოლონია: კენეტ ანდერსონი (ლაციო), ფრანჩესკო ანტონიოლი (რომა), სტეფანო ბეტარინი (ფიორენტინა), ალესანდრო რინალდი (რომა); **დავიდე დი მიკელე (სალერნიტანა), ჯანლუკა პალიუკა, ნიკოლა ვენტოლა, ზე ელიასი (ინტერი), პიერ ვომე (რომა)**; უდინეზე: მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (პარმა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), ალესანდრო პიერინი (ფიორენტინა); **ვინჩენცო მონტელა (სამპდორია), სილვა დოს სანტოს ვარლეი (ატლეტიკო პარანენსე, ბრაზილია)**; ბარი: მაურო ბრეშანი (ფიორენტინა), დე აშენტისი (მილანი), ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი); **დელ გროსო (სალერნიტანა), დიეგო მარკიჩი (რივერ პლეიტი, არგენტინა)**

## ინგლისი

მანჩესტერ იუნაიტედი: პეტერ შმაიხელი (სპორტინგი, პორტუგალია); **მარკ ბოსნიჩი (ასტონ ვილა), ხორდი კრუიფი (სელტა, ესპანეთი)**; არსენალი: კაბა დიავარა (მარსელი, საფრანგეთი), დავიდ გრონდინი (სენტ ეტიენი, საფრანგეთი), სტივ ბოულდი (სანდერლენდი); **ოლეგ ლუჟნი (დინამო, უკრაინა), სილვინიო (კორინთიანსი, ბრაზილია), სტეფან მალცი (მიუნხენი, გერმანია)**; ჩელსი: **დიდიე დეშამპი (იუვენტუსი, იტალია), მარიო მელხიოტი (აიაქსი, ჰოლანდია), კრის სატონი (ბლექბერნი)**; ლივერპული: სტივ მაკმანამანი (რეალი, ესპანეთი), დევიდ ჯეიმსი (ასტონ ვილა), **აბუბაქარ „ტიტი“ კამარა (მარსელი, საფრანგეთი), სტეფან ენჩოსი (ბლექბერნი), სემი ჰიიპია (ტილბურგი, ჰოლანდია), ვლადიმირ შმიცერი (ლანსი, საფრანგეთი), სანდერ ვესტერველდი (ვიტესი, ჰოლანდია), ერიკ მეიერი (ლევერკუზენი, გერმანია)**; ნიუკასლი: დავიდ ტერიე (ნიცა, საფრანგეთი); **ფრანკ დუმა (მონაკო, საფრანგეთი), ალან გომა (პსჟ, საფრანგეთი), მარსელინო ელენა (მალიორკა, ესპანეთი)**; ევერტონი: იბრაჰიმ ბაკაიოკო (მარსელი, საფრანგეთი), ოლივიე დაკურტი (ლანსი, საფრანგეთი), მარკო მატერაცი (პერუჯა, იტალია); ქოვენთრი: **მუსტაფა ჰაჯი (დეპორტივო, ესპანეთი), იუსუფ ჩიპო (პორტუ, პორტუგალია)**; ასტონ ვილა: სტენ კოლიმორი* (ფულემი); **დევიდ ჯეიმსი (ლივერპული)**

## გერმანია

ბაიერნი: ალი დაეი (ჰერტა), თომას ჰელმერი (სანდერლენდი); **პატრიკ ანდერსონი (მიონხენგლადბახი), პაულო სერჟიო (რომა, იტალია), როკე სანტა კრუსი (ოლიმპია, პარაგვაი), მიხაელ ვისინგერი (ნიურნბერგი)**; დორტმუნდი: თომას ჰესლერი (მიუნხენი), ბაშირუ სალუ (აინტრახტი); **ვიქტორ იკპება (მონაკო, საფრანგეთი), კრისტიან ვიორნსი (პსჟ, საფრანგეთი), ფრედი ბობიჩი (შტუტგარტი)**; შალკე: ფროდე გროდასი (რასინგი, ესპანეთი); შტუტგარტი: ფრანკ ვერლაატი (აიაქსი, ჰოლანდია), ფრედი ბობიჩი (დორტმუნდი); **სეზარ გორდონი (სან პაულუ, ბრაზილია)**;

## ესპანეთი

ბარსელონა: სონი ანდერსონი (ლიონი, საფრანგეთი), ჯოვანი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), დრაგან ჩირიჩი (აეკი, საბერძნეთი), როხერი (მონაკო, საფრანგეთი), ოსკარი (ვალენსია); **დანი (მალიორკა), ფრედერიკ დეუ (ლანსი, საფრანგეთი), იარი ლიტმანენი (აიაქსი, ჰოლანდია), სიმაო საბროსა (სპორტინგი, პორტუგალია)**; რეალი: ფერნანდო სანსი (მალაგა), ხაიმე (დეპორტივო), პრედრაგ მიატოვიჩი (ფიორენტინა, იტალია), კრისტიან პანუჩი (ინტერი, იტალია), როხასი* (მალაგა), კონტრერასი* (მალაგა), ედგარი* (მალაგა); **ელვირ ბალიჩი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), მანუელ კანაბალი (ალავესი), ივან ელგერა (ესპანიოლი), სტივ მაკმანამანი (ლივერპული, ინგლისი), მიჩელ სალგადო (სელტა), ხულიო ცეზარი* (ვალიადოლიდი)**; სელტა: მიჩელ სალგადო (რეალი), ოსკარ ვალესი (ბილბაო), ხუან სანჩესი (ვალენსია), ხორდი კრუიფი (მანჩესტერი, ინგლისი); **გუსტავო ლოპესი (სარაგოსა), მარკო პანტელიჩი* (ლოზანა, შვეიცარია), მარიო ექტორ ტურდო* (ინდეპენდიენტე, არგენტინა)**; სარაგოსა: გუსტავო ლოპესი (სელტა); **ალბერტო ბელსუე (ალავესი), ცეზარ ლაინესი (ვილიარეალი), პიერი (ტენერიფე), მარტინ ველისკა (სალამანკა)**; ატლეტიკო: ხუან კარლოს კარსედო (ნიცა, საფრანგეთი), ვლადიმირ იუგოვიჩი (ინტერი, იტალია), მიკელე სერენა (პარმა, იტალია), სტეფანო ტორიზი (პარმა, იტალია); **ხუან კაპდევილა (ესპანიოლი), კარლოს გამარა (კორინთიანსი, ბრაზილია), ველიკო პაუნოვიჩი (მალიორკა), ტონი (ესპანიოლი), უგო ლეალი* (ბენფიკა, პორტუგალია)**; ბეტისი: სელსო აიალა (რომა, იტალია); დეპორტივო: მუსტაფა ჰაჯი (ქოვენთრი, ინგლისი)*, არმანდო (მალიორკა), ჟერომ ბონისელი (ბორდო, საფრანგეთი), სტეფან ზიანი (ბორდო, საფრანგეთი); **ხაიმე (რეალი), ხოსე მანუელ კოლმენერო (სპორტინგ ხიხონი), სლავიშა იოკანოვიჩი (ტენერიფე), ივან პერესი (ბორდო, საფრანგეთი), ვიქტორი (რასინგი, სანტანდერი)**; მალიორკა: დანი (ბარსელონა), მარსელინო ელენა (ნიუკასლი, ინგლისი), ველიკო პაუნოვიჩი (ატლეტიკო); **არმანდო (დეპორტივო), ხერმან ბურგოსი (რივერ პლეიტი, არგენტინა), ივან სესარ გაბრიჩი (ესტრემადურა)**; ბილბაო: **ედუ ალონსო (სალამანკა), პაბლო ლესკა (ოსასუნა), ოსკარ ვალესი (სელტა), არტურო სივორი (ალავესი)**; სოსიედადი: იგორ ცვიტანოვიჩი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), დარკო კოვაჩევიჩი (იუვენტუსი, იტალია); ალავესი: ალბერტო ბელსუე (სარაგოსა), მანუელ კანაბალი (რეალი), ლოპეს გერარდი (ვალენსია), არტურო სივორი (ბილბაო); **ალექს დიას ვეგა (ნუმანსია), მორენო ვარელა (ნუმანსია), ოსკარ ტელესი (ვალენსია)***. ვალენსია: ოსკარ ტელესი (ალავესი), **დავიდ ალბელდა (ვილიარეალი), დანიელ ფაჯიანი (ნეველს ოლ ბოისი, არგენტინა), ლოპეს გერარდი (ალავესი), ოსკარ გარსია (ბარსელონა), ხუან სანჩესი (სელტა)**. რასინგი: ფროდ გროდასი (შალკე 04, გერმანია), ვიქტორი (დეპორტივო). მალაგა: **კონტრერასი (რეალი), ედგარი (რეალი), როხასი (რეალი), ფერნანდო სანსი (რეალი)**

## საფრანგეთი

ბორდო: ალი ბენარბია (პსჟ), ივან პერესი (დეპორტივო, ესპანეთი), რომან ფერიე (მონპელიე), კიკი მუსამპა (მალაგა, ესპანეთი), ჯერემი სტინატი (ლორიანი); **ლორან ბარტლო (ტულუზი), ჟერომ ბონისელი (დეპორტივო, ესპანეთი), ჟულენ ესკუდო (კანი), ტედი რიშარი (ტულუზი), ჟან კრისტოფ რუვიე (მონპელიე), სტეფან ზიანი (დეპორტივო, ესპანეთი)**; მარსელი: სერჟ ბლანი (ლიონი), ფაბრიციო რავანელი (ფიორენტინა, იტალია), ლორან ბლანი (ინტერი, იტალია), დანიელ ბრავო (ნიცა), აბუბაქარ „ტიტი“ კამარა (ლივერპული, ინგლისი), ლამი დიატა (რენი), სირილ დომორო (ინტერი, იტალია), ედსონი (რესიფე, ბრაზილია), ჰამადა ჟამბეი (ტულუზი); **იბრაჰიმ ბაკაიოკო (ევერტონი, ინგლისი), პავლო კალანდრია (ურაკანი, არგენტინა), სტეფან დალმა (ლანსი), ერიკ დეკრუა (ნანტი), კაბა დიავარა (არსენალი, ინგლისი), ლილიან მარტინი (მონაკო), სებასტიან პერესი (ბასტია), სტეფან ტრევიზანი (გინგამი)**; მონაკო: ჯიბრილ დიავარა (ტორინო, იტალია), ფრანკ დუმა (ნიუკასლი, ინგლისი), ფრანკ გავა (რენი), ვიქტორ იკპება (დორტმუნდი, გერმანია), ბრუნო აირლესი (რენი), ლილიან მარტინი (მარსელი), რობერტ შპეხარი (ვერონა, იტალია); **მარსელო გალიარდო (რივერ პლეიტი, არგენტინა), როხერი (ბარსელონა, ესპანეთი), მარკო სიმონე (პსჟ)**; პსჟ: ადაილტონი (ვერონა, იტალია), მარკო სიმონე (მონაკო), ალან გომა (ნიუკასლი, ინგლისი), მარკო პანტელიჩი (სელტა, ესპანეთი), კრისტიან ვიორნსი (დორტმუნდი, გერმანია); **ალი ბენარბია (ბორდო), კრისტიანო (ინტერნასიონალი, ბრაზილია), დომინიკ კასაგრანდე (სევილია), სეზარი (პორტუგეზა, ბრაზილია), გოდვინ ოკპარა (სტრასბური), ლორან რობერტი (მონპელიე)**;

## სხვადასხვა

პორტუ (პორტუგალია): იუსუფ ჩიპო (ქოვენთრი), ზლატკო ზაჰოვიჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი); სპორტინგი (პორტუგალია): გაბრიელ ჰაინცე (ვალიადოლიდი, ესპანეთი), სიმაო საბროსა (ბარსელონა, ესპანეთი); **პეტერ შმაიხელი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი)**; ლიერსი (ბელგია): სტენლი მენცო (აიაქსი, ჰოლანდია); რეინჯერსი (შოტლანდია): სტეფან გივარში (ოსერი, საფრანგეთი), ლიონელ შარბონიე (პერუჯა, იტალია)

*შენიშვნა: მუქი შრიფტით შესყიდული ფეხბურთელები. ღია შრიფტით — გასხვისებული; * – უახლესი ტრანსფერი*

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ჩემპიონთა ლიგა. I შესარჩევი ეტაპი. II წრე

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.07 | ქიაფაზი (აზერბაიჯანი) — სლოგა (მაკედონია) | (3,5-1,2) | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | ტირანა (ალბანეთი) — ვესტმანაეიარი (ისლანდია) | (2,5-1,35) | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | ფლორა (ესტონეთი) — პარტიზანი (იუგოსლავია) | (100,0- —) | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | ვალეტა (მალტა) — ბარი თაუნი (უელსი) | (1,4-2,3) | 1,7 | 3,0 | 4,0 |
| | გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) — ლიტექსი (ბულგარეთი) | (15,0-1,01) | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | ჰაკა (ფინეთი) — ჰაფნარი (ფარერები) | (1,02-10,0) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | სკონტო (ლატვია) — ჟენესი (ლუქსემბურგი) | (— -25,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | ზიმბრუ (მოლდოვა) — სტ. პატრიკზი (ირლანდია) | (— -100,0) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | ცემენტი (სომხეთი) — ჟალგირისი (ლატვია) | (3,5-1,2) | 2,1 | 2,9 | 3,2 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. IV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21.07 | აუსტრია — ტიროლი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | ლუსტენაუ — ბრეგენცი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | რიდი — რაპიდი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| | შტურმი —. გრაცერი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. IV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21.07 | არაუ — სტ. გალენი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| | ბაზელი — გრასჰოპერი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | ლოზანა — სერვეტი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | ლუგანო — ლუცერნი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | ქსამაქსი — ივერდონი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ციურიხი — დელემონი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

### პოლონეთის ჩემპიონატი. I ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21.07 | ვიძევი — პოლონია | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### რუსეთის ჩემპიონატი. XVII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21.07 | ჩერნომორეცი — ზენიტი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| | შინიკი — სპარტაკი | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| | ურალანი — ცსკა | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| | ალანია — როტორი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | კრილია — როსტსელმაში | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | დინამო — ტორპედო | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| | ლოკომოტივი — ნ. ნოვგოროდი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ჟემჩუჟინა — სატურნი | 1,9 | 3,0 | 3,3 |

### ნორვეგიის ჩემპიონატი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22.07 | ლილესტრიომი — ბრანი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### უკრაინის ჩემპიონატი. III ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.07 | ვორსკლა — დინამო | 6,5 | 3,5 | 1,4 |
| | ზაპოროჟიე — კრივბასი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | შახტარი — დნიპრო | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | პრიკარპატია — ტავრია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | მარიუპოლი — ზირკა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | ნივა — მეტალურგი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | ცსკა — ჩორნომორეცი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | მეტალისტი — კარპატი | 2,2 | 2,8 | 3,1 |

### ქვეყნის ჩემპიონატები

| გერმანია | |
|---|---|
| ბაიერნი | 1,3 |
| დორტმუნდი | 4,0 |
| ლევერკუზენი | 5,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 6,0 |
| ჰერტა | 8,0 |
| **ინგლისი** | |
| მანჩესტერი | 1,4 |
| არსენალი | 3,5 |
| ჩელსი | 4,0 |
| ლივერპული | 6,0 |
| ლიდსი | 8,0 |
| **საფრანგეთი** | |
| მარსელი | 2,0 |
| ბორდო | 3,0 |
| მონაკო | 3,0 |
| პსჟ | 4,0 |
| ლიონი | 6,0 |
| ნანტი | 8,0 |
| ლანსი | 8,0 |
| **იტალია** | |
| მილანი | 2,5 |
| ინტერი | 2,5 |
| იუვენტუსი | 3,0 |
| ლაციო | 3,0 |
| პარმა | 5,0 |
| ფიორენტინა | 7,0 |
| რომა | 8,0 |
| **ესპანეთი** | |
| ბარსელონა | 1,6 |
| რეალი | 2,3 |
| ვალენსია | 5,0 |
| ატლეტიკო | 7,0 |
| დეპორტივო | 8,0 |
| სელტა | 8,0 |
| ბილბაო | 8,0 |
| მალიორკა | 8,0 |
| სოსიედადი | 8,0 |
| **პორტუგალია** | |
| პორტუ | 1,7 |
| ბენფიკა | 2,5 |
| სპორტინგი | 4,0 |
| ბოავიშტა | 8,0 |
| **ჰოლანდია** | |
| აიაქსი | 2,0 |
| ფეიენოორდი | 2,5 |
| ეინდჰოვენი | 2,5 |
| **ბელგია** | |
| ბრიუგე | 2,2 |
| ანდერლეხტი | 2,2 |
| გენკი | 3,0 |
| სტანდარდი | 8,0 |

| საბერძნეთი | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 2,0 |
| პანათინაიკოსი | 2,0 |
| აეკ | 3,0 |
| პაოკ | 8,0 |
| **ჩეხეთი** | |
| სპარტა | 1,6 |
| სლავია | 2,3 |
| სიგმა | 8,0 |
| ტეპლიტე | 8,0 |
| ბანიკი | 8,0 |
| **პოლონეთი** | |
| ვისლა | 1,5 |
| ლეგია | 2,5 |
| ვიძევი | 4,0 |
| ლეხი | 8,0 |
| პოლონია | 8,0 |
| **უკრაინა** | |
| დინამო კიევი | 1,1 |
| შახტიორი | 6,0 |
| კარპატი | 8,0 |
| ტავრია | 8,0 |
| **თურქეთი** | |
| გალათასარაი | 1,4 |
| ფერენბაჰჩე | 3,0 |
| ბეშიქთაში | 5,0 |
| ტრაბზონი | 7,0 |
| **შოტლანდია** | |
| რეინჯერსი | 1,6 |
| სელტიკი | 2,3 |
| **ავსტრია** | |
| რაპიდი | 1,8 |
| შტურმი | 2,0 |
| ზალცბურგი | 4,0 |
| აუსტრია | 5,0 |
| გრაცერი | 8,0 |
| **შვეიცარია** | |
| გრასჰოპერი | 1,8 |
| სერვეტი | 3,0 |
| ციურიხი | 4,0 |
| ლოზანა | 5,0 |
| **დანია** | |
| ბრონდბიუ | 2,0 |
| კოპენჰაგენი | 3,0 |
| ოლბორგი | 3,0 |
| სილკებორგი | 5,0 |
| აკდემიკსი | 5,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ჩემპიონთა თასი

CHAMPIONS LEAGUE

| რომელი გუნდი გაიმარჯვებს | |
|---|---|
| მანჩესტერი | 2,5 |
| მილანი | 2,5 |
| ბარსელონა | 2,5 |
| ლაციო | 4,0 |
| ფიორენტინა | 5,0 |
| პარმა | 5,0 |
| ბაიერნი | 5,0 |
| რეალი | 6,0 |
| არსენალი | 7,0 |
| ჩელსი | 7,0 |
| დორტმუნდი | 10,0 |
| ლევერკუზენი | 10,0 |
| მარსელი | 10,0 |
| ბორდო | 10,0 |
| ვალენსია | 10,0 |
| მალიორკა | 15,0 |
| ჰერტა | 15,0 |
| ლიონი | 15,0 |
| ფეიენოორდი | 15,0 |
| ეინდჰოვენი | 15,0 |
| პორტუ | 15,0 |
| დინამო (კიევი) | 15,0 |
| სპარტაკი | 25,0 |
| რუსენბორგი | 25,0 |
| კროაცია | 25,0 |
| პარტიზანი | 25,0 |
| გენკი | 25,0 |
| ოლიმპიაკოსი | 50,0 |
| აეკ | 50,0 |
| გალათასარაი | 50,0 |
| ბეშიქთაში | 50,0 |
| ბოავიშტა | 50,0 |
| ცსკა | 50,0 |
| რეინჯერსი | 50,0 |

| რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს | |
|---|---|
| იტალია | 2,0 |
| ესპანეთი | 2,4 |
| ინგლისი | 2,4 |
| გერმანია | 3,0 |
| საფრანგეთი | 5,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 15,0 |
| უკრაინა | 15,0 |
| ნორვეგია | 25,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| ხორვატია | 25,0 |
| ბელგია | 25,0 |
| იუგოსლავია | 25,0 |
| საბერძნეთი | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |

### უეფას თასი

UEFA CUP

| რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს | |
|---|---|
| იტალია | 2,5 |
| ესპანეთი | 3,0 |
| ინგლისი | 3,0 |
| გერმანია | 5,0 |
| საფრანგეთი | 8,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 12,0 |
| ბელგია | 15,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| იუგოსლავია | 25,0 |
| ხორვატია | 25,0 |
| შვედეთი | 25,0 |
| ჩეხეთი | 50,0 |
| ნორვეგია | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შვეიცარია | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |
| საბერძნეთი | 50,0 |
| რუმინეთი | 50,0 |

| რომელი გუნდი გაიმარჯვებს | |
|---|---|
| იუვენტუსი | 3,0 |
| რომა | 5,0 |
| ლიდსი | 7,0 |
| ტოტენჰემი | 7,0 |
| ბოლონია | 7,0 |
| უდინეზე | 7,0 |
| აიაქსი | 7,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 7,0 |
| დეპორტივო | 10,0 |
| სელტა | 10,0 |
| ატლეტიკო | 10,0 |
| ნიუკასლი | 10,0 |
| ვერდერი | 15,0 |
| ვოლფსბურგი | 15,0 |
| ჰამბურგი | 15,0 |
| დუისბურგი | 15,0 |
| ვესტ ჰემი | 15,0 |
| მონაკო | 15,0 |
| ნანტი | 15,0 |
| ლანსი | 15,0 |
| რენი | 25,0 |
| მონპელიე | 25,0 |
| ბენფიკა | 25,0 |
| სპორტინგი | 25,0 |
| ვიტებსკი | 25,0 |
| ლოკომოტივი (მოსკოვი) | 25,0 |
| ჰაიდუკი | 25,0 |
| ცრვენა ზვეზდა | 25,0 |
| ბრიუგე | 25,0 |
| ანდერლეხტი | 25,0 |
| სელტიკი | 25,0 |
| გიოტებორგი | 50,0 |
| პაოკ | 50,0 |
| პანათინაიკოსი | 50,0 |
| როდა | 50,0 |
| სლავია (პრაღა) | 50,0 |
| ზენიტი | 50,0 |
| ფენერბაჰჩე | 50,0 |
| გრასჰოპერი | 50,0 |
| ლიერსი | 50,0 |
| ლოკერენი | 50,0 |
| სტ. ტრუიდენი | 50,0 |
| სტიაუა | 50,0 |
| დინამო (ბუქარესტი) | 50,0 |

*გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ქვეყანაზე ან გუნდის გუნდზე. ქვეყნის და გუნდის გადამრავლება არ შეიძლება.*
*იმ გუნდებზე, რომლებიც სიაში არ არის შეტანილი, ფსონები არ მიიღება.*

კროკოს ბიუროთა მისამართები:
თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.
ბათუმში — აჰმედ მელაშვილის ქუჩა 23. (ყოფილი კამოს ქუჩა)
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა 23
ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**



REUTERS სიდნეი

ტედი შერინგემს (მარჯვნივ) ავსტრალიელმა კოლმიმ დაასწრო

# ავსტრალიიდან ჩინეთში

ინგლისის ჩემპიონმა „მანჩესტერ იუნაიტედმა", რომელიც ავსტრალიას სტუმრობს, კვირას მეორე ამხანაგური შეხვედრაც მოუგო მასპინძელთა ნაკრებს.

ალექს ფერგიუსონის გუნდმა 1:0 იმარჯვა. ერთადერთი, გამარჯვების მომტანი გოლი პრემიერლიგის სამ საუკეთესო ბომბარდირთაგან ერთ-ერთმა, ტრინიდადელმა დუაიტ იორკმა გაიტანა 25-ე წუთზე.

ის, რომ ალბიონელები მწვანეკონტინენტელებს დაამარცხებდნენ, არავის ეეჭვებოდა. ავსტრალიელებს უცხოეთის კლუბებში მობურთალი ბევრი ფეხბურთელი აკლდათ, თან გუნდში რამდენიმე მოთამაშე ოლიმპიური ნაკრებიდან გახლდათ მიწვეული.

მანჩესტერელთა უპირატესობა თვალსაჩინო იყო, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ბევრი საგოლე მომენტი შექმნეს, მხოლოდ ერთი გოლი გაიტანეს — იორკს რაიან გიგზმა შესანიშნავი პასი მიაწოდა და ტრინიდადელ თავდამსხმელსაც არ დაუხანებია.

ავსტრალიელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ სტუმართა დაცვასთან ვერაფერი გააწყვეს. მანჩესტერელთა მცველები, ჰოლანდიელი იაპ სტამის ლიდერობით, შეუვალნი იყვნენ.

ამ შეხვედრით „მანჩესტერ იუნაიტედის" ავსტრალიური ტურნე ამოიწურა. ახლა ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული ჩინეთში შეხვდება მასპინძელთა ნაკრებს. სიდნეის ახალგახსნილ ოლიმპიურ სტადიონზე ავსტრალიელთა და ინგლისელთა პაექრობის საცქერლად, არც მეტი არც ნაკლები, 80 ათასი გულშემატკივარი შეიკრიბა.

# არავითარი სიმულაცია გერმანიაში

ფეხბურთი და სიმულაცია — ორი განუყოფელი ცნება. სანამ იარსებებს პირველი, იქნება მეორეც.

გულშემატკივრებს მრავლად ახსოვთ მატჩები, სადაც სიმულაციისთვის დანიშნულ პენალტსა თუ ჯარიმას თამაშის ბედი გადაუწყვეტია. მსოფლიოს ფეხბურთში არსებობდნენ და არსებობენ სიმულანტები.

გუშულ შაბათს გერმანიის საფეხბურთო ლიგების მსაჯებმა სწორედ სიმულაციის წინაალმდეგ გაილაშქრეს.

გადაწყდა, რომ ის ფეხბურთელი, რომელსაც საჯარიმო მოედანზე სიმულაციას შეამჩნევენ, აუცილებლად ყვითელი ბარათით დაისჯება, და თუ ამ საქციელს იმავე მატჩში კვლავ გაიმეორებს, დაუყოვნებლივ დატოვებს მოედანს.

— გვინდა, გერმანიაში ყველა მატჩი სამართლიანი ანგარიშით დამთავრედს, რისთვისაც ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ — განაცხადა გერმანიის მსაჯთა ასოციაციის თავკაცმა ეგენ სტრიგელმა.

# სამხრეთ ამერიკა ფიფას უჭერს მხარს

სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტმა, ნიკოლას ლეოზმა, მხარი დაუჭირა ფიფას.

— არ მგონია სწორი იყოს, რომ აზიის ქვეყნებს 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ხუთი გუნდის გამოყვანის უფლება მიეცეს. სრულიად ვემხრობი ფიფას გადაწყვეტილებას — განაცხადა ლეოზმა.

შეგახსენებთ, რომ აზიის საფეხბურთო კავშირმა ფიფას კორეა-იაპონიაში ჩასატარებელ მსოფლიოს ჩემპიონატზე აზიური ქვეყნებისთვის ოთხი ადგილის ნაცვლად ხუთი მოთხოვა, რადგან მასპინძელი გუნდები გათამაშებაში ავტომატურად მონაწილეობენ.

ფიფამ აზიელებს შესთავაზა, რომ მეხუთე ადგილისთვის მათ ევროპის მე-15 გუნდთან ორრაუნდიანი მატჩი გაემართათ, თუმცა ისინი არც ამაზე დათანხმდნენ. რამდენიმე დღის წინ ფიფას კონფერენცია აზიელებმა პროტესტის ნიშნად დამთავრებამდე დატოვეს და თან დაიმუქრნენ, ჩვენს მოთხოვნებს თუ არ გაითვალისწინებთ, ბოიკოტს გამოვაცხადებთ და მსოფლიოს ჩემპიონატზე მასპინძელთა გარდა არც ერთი აზიური გუნდი არ იასპარეზებსო.

— ყველაზე უგუნური, რაც შეიძლება აზიელებმა გააკეთონ, ბოიკოტია. არა მგონია, ამ ნაბიჯით მსოფლიოს ჩემპიონატს რაიმე დააკლდეს, უპირველეს ყოვლისა, ისინი თავად იზარალებენ — თქვა სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტმა.

# ერთგული ალან შირერი

ინგლისის ჩემპიონატების ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი ალან შირერი „ნიუკასლ იუნაიტედში" კიდევ ხუთი სეზონის მანძილზე დარჩება. ევროპის 1996 წლის საუკეთესო ბომბარდირმა ჩრდილოინგლისურ კლუბთან გუშინ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ახლა „ჯორდების" შავ-თეთრი მაისურათი 2004 წლამდე ითამაშებს.

შეგახსენებთ, რომ შირერი „ნიუკასლ იუნაიტედში" 1996 წელს გადავიდა „ბლექბერნ როვერსიდან" 23,4 მილიონ დოლარად. მას შემდეგ მან გუნდი ორჯერ გაიყვანა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში.

# ტრავმა სეზონის წინ

გერმანიის ნაკრებისა და ბუნდესლიგის კლუბ დორტმუნდის „ბორუსიას" ნახევარმცველი ანდრეას მიოლერი თვენახევრის მანძილზე ველარ ითამაშებს. სეზონისწინა ამხანაგურ თამაშში მიოლერმა მუხლი მძიმედ დაიშავა.

კლუბის ღირსებას უახლოესი პერიოდის მანძილზე, მიოლერის გარდა ვერც გამოცდილი მცველი იურგენ კოლერი და განელი თავდამსხმელი იბრაჰიმ ტანკო დაიცავენ. ისინიც ტრავმირებულნი არიან.

შეგახსენებთ, რომ კლუბი წლეულს ჩემპიონთა თასზე მონაწილეობს.

# წარსულის შედეგები

CHAMPIONS LEAGUE · Cup Winners' Cup · UEFA CUP

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 376 | AB (კოპენჰაგენი, დანია) | 3 | 10 | 3 | 1 | 6 | 17:19 | 7 |
| 377 | ოცელული (გალატი, რუმინეთი) | 3 | 8 | 3 | 1 | 4 | 9:16 | 7 |
| 378 | პოში (უნგრეთი) | 4 | 12 | 3 | 1 | 8 | 10:18 | 7 |
| 379 | ტატაბანია (ბანიაში, უნგრეთი) | 5 | 10 | 2 | 3 | 5 | 7:17 | 7 |
| 380 | სტიაგული (როშუ ბრაშოვი, რუმინეთი) | 3 | 11 | 3 | 1 | 7 | 14:25 | 7 |
| 381 | ილვესი (ტამპერე, ფინეთი) | 5 | 12 | 3 | 1 | 8 | 17:32 | 7 |
| 382 | სტარტი (კრისტიანსანდი, ნორვეგია) | 6 | 14 | 3 | 1 | 10 | 13:29 | 7 |
| 383 | ზაგლებიე (სოსნოვიეცი, პოლონეთი) | 6 | 13 | 2 | 3 | 8 | 11:28 | 7 |
| 384 | ალთაი (იზმირი, თურქეთი) | 6 | 12 | 2 | 3 | 7 | 14:32 | 7 |
| 385 | ჰაპოელი (ბეერ შევა, ისრაელი) | 3 | 10 | 3 | 1 | 6 | 8:32 | 7 |
| 386 | ჰოუმ ფარმ ევერტონი (ირლანდია) | 6 | 14 | 3 | 1 | 10 | 12:51 | 7 |
| 387 | აეკ (ლარნაკა, კვიპროსი) | 9 | 18 | 1 | 5 | 12 | 15:52 | 7 |
| 388 | პორტდაუნი (ჩრდ. ირლანდია) | 7 | 16 | 2 | 3 | 11 | 9:50 | 7 |
| 389 | ვალეტა (მალტა) | 22 | 44 | 2 | 3 | 39 | 20:162 | 7 |
| 390 | ასკ (როსტოვი, რუსეთი) | 1 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:2 | 6 |
| 391 | ჰერენვენი (ჰოლანდია) | 1 | 4 | 3 | 0 | 1 | 8:6 | 6 |
| 392 | სანდერლენი (ინგლისი) | 1 | 4 | 3 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| 393 | ნორვიჩ სიტი (ინგლისი) | 1 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:4 | 6 |
| 394 | ქოვენთრი (ინგლისი) | 1 | 4 | 3 | 0 | 1 | 9:8 | 6 |
| 395 | ჟილინა (სლოვაკეთი) | 1 | 4 | 3 | 0 | 1 | 7:6 | 6 |
| 396 | რიდი (ავსტრია) | 1 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| 397 | სენტ ჯონსტონი (შოტლანდია) | 1 | 6 | 3 | 0 | 3 | 8:8 | 6 |
| 398 | ბვსც (ბუდაპეშტი, უნგრეთი) | 2 | 6 | 3 | 0 | 3 | 9:9 | 6 |
| 399 | ქოჩაელსფორი (იზმირი, თურქეთი) | 2 | 6 | 2 | 2 | 2 | 4:4 | 6 |
| 400 | პატრიკ თრისთლი (შოტლანდია) | 2 | 6 | 3 | 0 | 3 | 10:11 | 6 |
| 401 | ვილემ I (ტილბურგი, ჰოლანდია) | 2 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:11 | 6 |
| 402 | მარეკ დუპნიცა (ბულგარეთი) | 2 | 6 | 3 | 0 | 3 | 8:10 | 6 |
| 403 | ბეერშო (ბელგია) | 4 | 10 | 2 | 2 | 6 | 13:15 | 6 |
| 404 | ბრედა (ჰოლანდია) | 2 | 6 | 2 | 2 | 2 | 5:8 | 6 |
| 405 | მარიტიმუ (ფუნშალი, პორტუგალია) | 3 | 8 | 2 | 2 | 4 | 5:8 | 6 |
| 406 | პოლონია (ბიტომი, პოლონეთი) | 2 | 6 | 3 | 0 | 3 | 8:12 | 6 |
| 407 | უნივერსიტატია (კლუჟი, რუმინეთი) | 2 | 6 | 3 | 0 | 3 | 8:12 | 6 |
| 408 | ლა შო დე ფონი (შვეიცარია) | 2 | 6 | 2 | 2 | 2 | 11:16 | 6 |
| 409 | ობილიჩი (ბელგრადი, იუგოსლავია) | 2 | 8 | 2 | 2 | 4 | 7:12 | 6 |
| 410 | ტრომსო (ნორვეგია) | 3 | 8 | 2 | 2 | 4 | 12:18 | 6 |
| 411 | სლავია (მოზირი, ბელარუსი) | 2 | 8 | 1 | 4 | 3 | 9:15 | 6 |
| 412 | ბურსასფორი (თურქეთი) | 2 | 8 | 2 | 2 | 4 | 5:12 | 6 |
| 413 | ესლოუნ თაუნი (ირლანდია) | 3 | 8 | 1 | 4 | 3 | 11:19 | 6 |
| 414 | მეტალურგი (ლიეპაია, ლატვია) | 2 | 8 | 2 | 2 | 4 | 7:20 | 6 |
| 415 | ლანტანა (ტალინი, ესტონეთი) | 5 | 12 | 2 | 2 | 8 | 5:25 | 6 |
| 416 | ირაკლისი (სალონიკი, საბერძნეთი) | 6 | 12 | 2 | 2 | 8 | 6:28 | 6 |
| 417 | ბერი თაუნი (უელსი) | 4 | 12 | 2 | 2 | 8 | 11:34 | 6 |
| 418 | დერი სიტი (ირლანდია) | 8 | 17 | 2 | 2 | 13 | 11:41 | 6 |
| 419 | კეფლავიკი (ისლანდია) | 11 | 24 | 2 | 2 | 20 | 17:80 | 6 |
| 420 | უნიონ სპორტივი (ლუქსემბურგი) | 22 | 42 | 2 | 2 | 38 | 14:153 | 6 |
| 421 | უტნიკი (კრაკოვი, პოლონეთი) | 1 | 6 | 2 | 1 | 3 | 15:8 | 5 |
| 422 | სტალი (რზეშოვი, პოლონეთი) | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 9:4 | 5 |
| 423 | ნოვი სადის ნაკრები (იუგოსლავია) | 1 | 6 | 2 | 1 | 3 | 14:9 | 5 |
| 424 | ვეტინგენი (შვეიცარია) | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 5 |
| 425 | კონგსვინგერი (ნორვეგია) | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 5 |
| 426 | ზარია (ლუგანსკი, უკრაინა) | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:1 | 5 |
| 427 | რეით როვერსი (შოტლანდია) | 1 | 6 | 2 | 1 | 3 | 10:8 | 5 |
| 428 | გოტვალდოვი (ჩეხეთი) | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 5 |
| 429 | ზაგლებიე (ვალბრჟიხი, პოლონეთი) | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 5 |
| 430 | ბოხუმი (გერმანია) | 1 | 6 | 2 | 1 | 3 | 14:13 | 5 |
| 431 | უდინეზე (იტალია) | 2 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:5 | 5 |
| 432 | რუენი (საფრანგეთი) | 1 | 6 | 2 | 1 | 3 | 5:5 | 5 |
| 433 | ლესტერი (ინგლისი) | 2 | 6 | 2 | 1 | 3 | 9:9 | 5 |
| 434 | სტად ფრანსე (საფრანგეთი) | 2 | 6 | 1 | 3 | 2 | 3:3 | 5 |
| 435 | სიტარდი (ჰოლანდია) | 1 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:7 | 5 |
| 436 | გრუნვაი (ლაიპციგი, გდრ) | 2 | 6 | 2 | 1 | 3 | 9:10 | 5 |
| 437 | ალოსტი (ბელგია) | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:5 | 5 |
| 438 | უოტფორდი (ინგლისი) | 1 | 6 | 2 | 1 | 3 | 10:12 | 5 |
| 439 | დინამო 93 (მინსკი, ბელარუსი) | 2 | 6 | 1 | 3 | 2 | 7:9 | 5 |
| 440 | ვინტერსლაგი (ბელგია) | 1 | 6 | 2 | 1 | 3 | 5:9 | 5 |
| 441 | შტადჰაუნსვალი (კიოლნი, გერმანია) | 2 | 7 | 2 | 1 | 4 | 9:13 | 5 |
| 442 | რუდა გვეზდა (ბრნო, ჩეხეთი) | 2 | 6 | 1 | 2 | 3 | 6:10 | 5 |
| 443 | ბლექბერნ როვერსი (ინგლისი) | 3 | 10 | 1 | 3 | 6 | 9:14 | 5 |
| 444 | პანახაიკი (პატრა, საბერძნეთი) | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:9 | 5 |
| 445 | დინაბურგი (ლატვია) | 2 | 6 | 2 | 1 | 3 | 5:11 | 5 |
| 446 | შემნიცერი (გერმანია) | 3 | 10 | 2 | 1 | 7 | 11:17 | 5 |
| 447 | ბრინი (ნორვეგია) | 3 | 6 | 2 | 1 | 3 | 5:11 | 5 |
| 448 | ელფსბორგი (ბორესი, შვედეთი) | 4 | 8 | 1 | 3 | 4 | 8:15 | 5 |
| 449 | ზაგლებიე (ლუბინი, პოლონეთი) | 3 | 8 | 2 | 1 | 5 | 4:14 | 5 |
| 450 | კორკ ალბერტსი (ირლანდია) | 4 | 10 | 2 | 1 | 7 | 9:21 | 5 |
| 451 | ფლორა (ტალინი, ესტონეთი) | 5 | 10 | 2 | 1 | 7 | 8:21 | 5 |
| 452 | ორგრიტე (გიოტებორგი, შვედეთი) | 4 | 10 | 1 | 3 | 6 | 12:28 | 5 |
| 453 | კორკ სიტი (ირლანდია) | 5 | 12 | 2 | 1 | 9 | 8:25 | 5 |
| 454 | ფრედრიკსტადი (ნორვეგია) | 7 | 16 | 1 | 3 | 12 | 9:37 | 5 |
| 455 | სტრომსგოდსეტი (დრამენი, ნორვეგია) | 6 | 14 | 2 | 1 | 11 | 9:44 | 5 |
| 456 | კრუზეიდერსი (ჩრდ. ირლანდია) | 9 | 18 | 1 | 3 | 14 | 10:58 | 5 |
| 457 | ჰალადაშ მილოში (უნგრეთი) | 1 | 4 | 1 | 2 | 1 | 9:4 | 4 |
| 458 | ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი) | 1 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 4 |
| 459 | დეგერფორსი (შვედეთი) | 1 | 4 | 2 | 0 | 2 | 7:5 | 4 |
| 460 | ამიცა (ვრონკი, პოლონეთი) | 1 | 4 | 2 | 0 | 2 | 6:4 | 4 |
| 461 | პოლონია (ვარშავა, პოლონეთი) | 1 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:3 | 4 |
| 462 | ჩემლონ უმენი (სლოვაკეთი) | 1 | 4 | 2 | 0 | 2 | 4:3 | 4 |
| 463 | ფრანქფურტის ნაკრები (გერმანია) | 1 | 4 | 2 | 0 | 2 | 10:10 | 4 |
| 464 | უტრეხტის ნაკრები (ჰოლანდია) | 1 | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 4 |
| 465 | კორვინულ უნედოარა (რუმინეთი) | 1 | 4 | 1 | 2 | 1 | 8:9 | 4 |
| 466 | ვიქტორია (ჟიჟკოვი, ჩეხეთი) | 1 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:7 | 4 |
| 467 | ვორსკლა (პოლტავა, უკრაინა) | 1 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | 4 |
| 468 | სტად ლევალი (საფრანგეთი) | 1 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | 4 |
| 469 | ბრანდენბურგი (გერმანია) | 1 | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | 4 |
| 470 | ეშტრელა ამადორა (პორტუგალია) | 1 | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | 4 |
| 471 | როტ ვაისი (ერფურტი, გერმანია) | 1 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:5 | 4 |
| 472 | პერუჯა (იტალია) | 1 | 4 | 1 | 2 | 1 | 2:4 | 4 |
| 473 | სტოკ სიტი (ინგლისი) | 2 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:6 | 4 |
| 474 | აკადემიკი (სოფია, ბულგარეთი) | 2 | 6 | 2 | 0 | 4 | 8:10 | 4 |
| 475 | სერკლ ბრიუგე (ბელგია) | 2 | 4 | 2 | 0 | 2 | 7:10 | 4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა




## ევროპის კადეტთა ჩემპიონატი

16 ივლისი

**A** ჯგუფი: პოლონეთი — ხორვატია 82:74, მაკედონია — ლატვია 95:85, ესპანეთი — საფრანგეთი 66:59

**B** ჯგუფი: სლოვენია — რუსეთი 71:54, საბერძნეთი — თურქეთი 72:65

### იუგოსლავია 91:75 საქართველო

იუგოსლავია: მატოვიჩი (24), კოვაჩი (16), ჯორჯევიჩი (14), ბულატოვიჩი (12), გაიჩი (10), სტეფანოვი (8), ტომოვიჩი (4), პავლოვიჩი (3)

საქართველო: ცქიტიშვილი (19), ტულუში (14), მარკოიშვილი (14), უგრეხელიძე (12), კეიდია (7), ხეცურიანი (4), ბერიშვილი (4), ფაჩულია (1)

17 ივლისი

**A** ჯგუფი: მაკედონია — ხორვატია 105:72, საფრანგეთი — ლატვია 78:67, ესპანეთი — პოლონეთი 70:61

**B** ჯგუფი: საბერძნეთი — რუსეთი 78:59, იუგოსლავია — სლოვენია 68:58

### საქართველო 99:69 თურქეთი

საქართველო: ტულუში (18), ცქიტიშვილი (18), მარკოიშვილი (14), უგრეხელიძე (12), ხეცურიანი (8), ფაჩულია (8), მარხვაშვილი (5), ბერიშვილი (5), ვაშაკიძე (4), ჩავლეიშვილი (4), სულაძე (2), კეიდია (1)

თურქეთი: ვეისელოღლუ (14), პასტალი (14), აქფინარი (13), ოზერი (10), ურალი (9), ილმაზი (5), არსლანი (3), იალმაზი (1)

15 ივლისი

### საქართველო 89:78 რუსეთი

საქართველო: ცქიტიშვილი (26), ფაჩულია (22), ტულუში (16), უგრეხელიძე (9), ხეცურიანი (7), მარკოიშვილი (4), სულაძე (3), ჩავლეიშვილი (2)

რუსეთი: კარმაზინსკი (17), კუტიშჩევი (14), ზოზულინი (9), ნიკოლაევი (8), ონიშჩენკო (8), ფოკინი (6), კშნიაკინი (6), პენკინი (4), ფიოდოროვი (2), სოლდატოვი (2), კოჩენოვი (2)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 3 | 3 | 0 | 225:196 | 6 |
| იუგოსლავია | 3 | 3 | 0 | 217:189 | 6 |
| საქართველო | 3 | 2 | 1 | 263:238 | 5 |
| სლოვენია | 3 | 1 | 2 | 201:194 | 4 |
| რუსეთი | 3 | 0 | 3 | 194:238 | 3 |
| თურქეთი | 3 | 0 | 3 | 190:229 | 3 |




## მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

### A ჯგუფი

16 ივლისი: ბრაზილია — ნიგერია 72:67, ესპანეთი — ლატვია 98:73

17 ივლისი: ესპანეთი — ნიგერია 74:63, ბრაზილია — ლატვია 85:73

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| *ესპანეთი* | *3* | *3* | *0* | *263:219* | *6* |
| *ბრაზილია* | *3* | *2* | *1* | *240:231* | *5* |
| ლატვია | 3 | 1 | 2 | 215:248 | 4 |
| ნიგერია | 3 | 0 | 3 | 195:215 | 3 |

### B ჯგუფი

16 ივლისი: ეგვიპტე — ჩინეთი 82:65, აშშ — საბერძნეთი 92:87

17 ივლისი: აშშ — ეგვიპტე 96:53, საბერძნეთი — ჩინეთი 105:73

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| *აშშ* | *3* | *3* | *0* | *307:199* | *6* |
| *საბერძნეთი* | *3* | *2* | *1* | *296:233* | *5* |
| ეგვიპტე | 3 | 1 | 2 | 201:267 | 4 |
| ჩინეთი | 3 | 0 | 3 | 199:304 | 3 |

### C ჯგუფი

16 ივლისი: ყატარი — პორტუგალია 77:73, ხორვატია — არგენტინა 64:54

17 ივლისი: ხორვატია — პორტუგალია 82:67, არგენტინა — ყატარი 82:53

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| *ხორვატია* | *3* | *3* | *0* | *207:175* | *6* |
| *არგენტინა* | *3* | *2* | *1* | *223:199* | *5* |
| ყატარი | 3 | 1 | 2 | 184:216 | 4 |
| პორტუგალია | 3 | 0 | 3 | 222:246 | 3 |

### D ჯგუფი

16 ივლისი: ვენესუელა — იაპონია 95:59, რუსეთი — ავსტრალია 77:61

17 ივლისი: ავსტრალია — იაპონია 95:64, რუსეთი — ვენესუელა 89:66

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| *რუსეთი* | *3* | *3* | *0* | *184:209* | *6* |
| *ავსტრალია* | *3* | *2* | *1* | *226:193* | *5* |
| ვენესუელა | 3 | 1 | 2 | 213:218 | 4 |
| იაპონია | 3 | 0 | 3 | 205:308 | 3 |

ყველა ჯგუფის პირველ-მეორე ადგილოსანი აგრძელებს ბრძოლას მედლებისთვის. მეორე ეტაპზე შეიქმნა ორი ჯგუფი, რომლებშიც მოხვდნენ:

*I ჯგუფი: ესპანეთი, ხორვატია, საბერძნეთი, ავსტრალია*

*II ჯგუფი: აშშ, რუსეთი, ბრაზილია, არგენტინა*

ჯგუფებში თამაშები გაიმართება წრიული სისტემით. ორ-ორი საუკეთესო გავა ნახევარფინალში.

მეორე ეტაპი გუშინ დაიწყო.

# ევროპული ტრანსფერები

## ხორვატია

### რაჯა დაბრუნდა!

ხორვატიის ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშე, „ბოსტონ სელტიქსის" ყოფილი წევრი დინო რაჯა სამშობლოში დაბრუნდა. მან „ზადართან" ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. რამდენს მიიღებს რაჯა, უცნობია, მაგრამ ათენის „პანათინაიკოსში", სადაც ბოლო სეზონი გაატარა, ხორვატი ცენტრი წელიწადში 2 მილიონ დოლარს იღებდა.

„ზადარმა" დანაკარგიც განიცადა: ევროლიგის მონაწილე „ციბონაში" გადავიდა 20 წლის უკანახაზელი იოსიპ სესარი. მისი კონტრაქტი სამწლიანია, ხოლო „ციბონამ" 600 ათასი დოლარი გადაუხადა „ზადარს". ციბონელებმა ერთი წლით დაიტოვეს გუნდის კაპიტანი, ფორვარდი დავორ მარცელიჩი.

## ისრაელი

### კატაში ნაღდად წავიდა


საერთაშორისო არქივიდან

გაი გუდესი (მარცხნივ) ისრაელიდან ესპანეთში გადავიდა

საბოლოოდ გაირკვა თელ ავივის „მაკაბისა" და ისრაელის ნაკრების გამთამაშებლის, ქვეყნის საუკეთესო კალათბურთელის ოდედ კატაშის ამბავი. მან უკუაგდო „ბარსელონას" და „ტიმსისტემის" წინადადებები და თავის ბედი ერთი წლით დაუკავშირა ათენის „პანათინაიკოსს". ამ ხნის განმავლობაში 24 წლის კალათბურთელი 1,3 მილიონ დოლარს მიიღებს.

კატაში ისრაელის ნაკრების მეორე წევრია, რომელმაც დატოვა „მაკაბი". მანამდე 28 წლის გაი გუდესი ესპანურ „კახა კანტაბრიაში" გადავიდა. „მაკაბისთან" კონტრაქტს აღარ გააგრძელებენ ვიქტორ ალექსანდერი, ამერიკელი დევიდ ბენუა და იუგოსლაველი ზდრავკო რადულოვიჩი.

მათ სანაცვლოდ „მაკაბიმ" სამი ახალი კალათბურთელი აიყვანა: 27 წლის ამერიკელი გამთამაშებელი არიელ მაკდონალდი ლიუბლიანის „ოლიმპიადან", 31 წლის კუბელი ცენტრი ანდრეას გუიბერტი ბერძნული „აპოლონიდან" და 30 წლის უკანახაზელი მარკ ბრისკერი, რომელიც ბოლო ოთხი სეზონი რაანანას „მაკაბის" კაპიტანი იყო. ბრისკერი წარმოშობით ამერიკელია, მაგრამ ისრაელის მოქალაქეობა აქვს მიღებული.

## საბერძნეთი

### საბოლოოდ სკანსი

სალონიკის პაოკ-მა, ახალ სეზონში ახალი მწვრთნელი მინდაო და ჯერ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მიადგა ბრაიან ჰილს, რომელთანაც თავიდან შეთანხმდა, მერე კი მოლაპარაკება ჩაიშალა. შემდეგ ბერძნულმა კლუბმა მოსკოვის ცსკა-ს სტანისლავ ერიომინს შესთავაზა კონტრაქტი. რუსმა ეგრევე მოუჭრა, თქვენთან მუშაობა არ მსურსო. საბოლოოდ, ბოლონიის „ტიმსისტემის" ყოფილ მწვრთნელს, ხორვატ პეტარ სკანსის დაუკავშირდნენ და მიზანსაც მიაღწიეს. სკანსიმ ერთწლიანი კონტრაქტი დადო პაოკ-თან, რომლის თანახმადაც 300 ათას დოლარს მიიღებს. იგი მეუღლითურთ უკვე სალონიკშია და ფინანსურ საკითხებს აგვარებს. პაოკ-ი ევროლიგაში ასპარეზობს, ხოლო ამ ტურნირის „ოთხთა ფინალი" სალონიკში, პაოკ-ის ახალაშენებულ დარბაზშია. სკანსიმ აღნიშნა ეს ფაქტი და არაორაზროვნად მიანიშნა, მაგ დროს პაოკ-ი თავის დარბაზში ითამაშებსო. შეგახსენებთ, რომ ხორვატმა მწვრთნელმა თავის სამშობლოს ნაკრებს ბარსელონას 1992 წლის ოლიმპიადაზე მეორე ადგილი დააკავებინა.

## თურქეთი

### ქუთლუაი ოხრად რჩება

სეზონი დამთავრდა თუ არა, სტამბოლის „ფენერბაჰჩემ" გამოაცხადა — იბრაჰიმ ქუთლუაის ვყიდი და მსურველებმა 3 მილიონი დოლარი გადაიხადეთო. დრო გადიოდა, მყიდველი კი არავინ იყო.

სტამბოლის „ულქერი" კი გამოეხმაურა თანაქალაქელთა წინადადებას, მაგრამ ძვირიაო, პირველი ის თქვა. სტამბოლელებმა ივაჭრეს, ივაჭრეს და ბოლოს თითქოს ამაზე მორიგდნენ: „ულქერი" 2 მილიონ დოლარს და ჰალუკ ილდირიმს მისცემდა „ფენერბაჰჩეს", სანაცვლოდ კი ქუთლუაის მიიღებდა.

და აი, „ულქერმა" მოულოდნელი განცხადება გააკეთა: აღარ მინდა ქუთლუაი, სტამბოლის „ეფესის" უფუკ სარიჯა უფრო მომდის თვალშიო და „ეფესს" 900 ათასი დოლარი შესთავაზა. თურქეთის ნაკრების ფორვარდს, 195-სანტიმეტრიან სარიჯას მთელი კარიერა „ეფესში" გაუტარებია და ბოლო წლებში მისი პროგრესი აშკარაა. „ეფესი" წინდაწინ დათანხმდა მის გაყიდვას.

ასე შერჩა იბრაჰიმ ქუთლუაი ხელში „ფენერბაჰჩეს". თურქეთში შიდა ტრანსფერები უკვე დაიხურა. ნაკლებსავარაუდოა, რომ რომელიმე უცხოურმა გუნდმა ამდენი ფული გადაიხადოს ქუთლუაიში, რომელიც კიდევ ერთი წლით „ფენერბაჰჩეს" საკუთრებად დარჩა. კლუბმა მომავალ სეზონში ერთი მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს კალათბურთელს.


საერთაშორისო არქივიდან

იბრაჰიმ ქუთლუაის მყიდველი არ გამოუჩნდა




## ამერიკის ზონის შესარჩევი ტურნირი

### ამისთანა რა უნდა მოხდეს?

პუერტო რიკოში მიმდინარე სიდნეის 2000 წლის ოლიმპიური თამაშების შესარჩევ ტურნირზე დასრულდა პირველი ეტაპი. გაირკვა ორი გუნდი, რომელიც გამოეთიშა ასპარეზობას. უიღბლონი თითოეული ჯგუფის ბოლოადგილოსნები — კუბა და პანამა აღმოჩნდნენ.

ახლა გათამაშება ერთ, რვაგუნდიან ჯგუფში გაგრძელდება. ყველა გუნდს მიჰყვება პირველ ეტაპზე დაგროვილი ქულები. ოთხი ტურის შემდეგ გამოირკვევა ის ოთხეული, რომელიც ნახევარფინალს გაითამაშებს. ფინალში გასულები მიიღებენ ოლიმპიადის საგზურს, ხოლო გამარჯვებული ტურნირის ჩემპიონი გახდება.

თუმცა, გამარჯვებულის ვინაობა თავიდანვე ცნობილი. რა სასწაული უნდა მოხდეს, რა ქვეყანა უნდა დაიქცეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა მიზანს ვერ მიაღწიოს. ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მოთამაშეებით დაკომპლექტებულ გუნდს ღირსეულ წინააღმდეგობასაც კი ვერავინ უწევს, პარასკევ-შაბათკვირას გამართული მატჩებიც საარაკო ანგარიშებით დასრულა.


AP სან ხუანიდან

აშშ — კუბა. ვინ ბეიკერმა კუბელებს შანსი არ დაუტოვა

### A ჯგუფი

16 ივლისი: არგენტინა — კუბა 81:76, აშშ — კანადა 94:60

აშშ: ჰიუსტონი (6), გარნეტი (15), დანკანი (18), პეიტონი (20), კიდი (4), სმიტი (7), ჰარდევეი (8), გულიოტა, ბეიკერი (10), შჩერბიაკი (4), ბრენდი (2)

17 ივლისი: კანადა — ურუგვაი 80:62, აშშ — არგენტინა 103:72

აშშ: ჰიუსტონი (11), გარნეტი (21), დანკანი (14), პეიტონი (9), კიდი (11), სმიტი, ჰარდევეი (20), ბეიკერი (11), შჩერბიაკი (4), ბრენდი (2)

18 ივლისი: არგენტინა — ურუგვაი 97:81, აშშ — კუბა 88:52

აშშ: ჰიუსტონი (17), გარნეტი (10), დანკანი (6), პეიტონი (11), კიდი (6), სმიტი (7), ჰარდევეი (10), გულიოტა (2), ბეიკერი (12), შჩერბიაკი (5), ჰამილტონი (2)

### B ჯგუფი

16 ივლისი: ვენესუელა — პანამა 76:72, პუერტო რიკო — ბრაზილია 96:88

17 ივლისი: პუერტო რიკო — პანამა 85:71, ვენესუელა — დომინიკელთა რესპუბლიკა 70:66

18 ივლისი: პუერტო რიკო — დომინიკელთა რესპუბლიკა 103:95, ბრაზილია — კანადა 90:73

# ძრწოდეთ, თრიაქის მწევლებო!

ოქტომბრიდან ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში სიახლე დაინერგება: მოთამაშეები ოფიციალურად შემოწმდებიან მარიხუანას წევასა და დოპინგზე. ამით ნბა შეუერთდება ყველა დანარჩენ პროფესიულ ლიგას, სადაც ეს კონტროლი აქამდეც იყო დაწესებული. ამბობენ, ლიგის ხელმძღვანელობას ამ ნაბიჯის გადადგმა საზოგადოებრივმა აზრმა აიძულაო, რადგან სწორედ რომ საზოგადოების აზრით, მოთამაშეთა 70 პროცენტი მარიხუანას ეწევა. ეს ამბავი კლუბების, მოთამაშეებისა და ლიგის კოლექტიურ ხელშეკრულებაშიც აისახა. მარტივად: მოთამაშეს კონტრაქტში უწერია, რომ მან მოთხოვნისთანავე უნდა ჩაიბაროს ტესტი მარიხუანას წევასა და დოპინგზე.

წესის დამრღვევი მოთამაშეებისთვის ლიგა შემდეგი ჯარიმების შემოღებას აპირებს. მარიხუანის წევაზე: პირველი შემთხვევა — გაფრთხილება; მეორე შემთხვევა — 15 ათასი დოლარი ჯარიმა; მესამე შემთხვევა — 5-მატჩიანი დისკვალიფიკაცია.

დოპინგზე: პირველი შემთხვევა — 5-მატჩიანი დისკვალიფიკაცია; მეორე შემთხვევა — 10-მატჩიანი დისკვალიფიკაცია, მესამე შემთხვევა — 25-მატჩიანი დისკვალიფიკაცია.

მოთამაშეები არაერთგვაროვნად შეხვდნენ ამ ამბავს. მოთამაშეთა კავშირის წევრმა, „ატლანტა ჰოქსის" ცენტრმა დიკემბე მუტომბომ თქვა: „ძალიან კარგი, მარიხუანის წევაზე შემოწმებას რომ გავივლით. მე ვიყავი ის კაცი, ვინც ამ წესის შემოღებას მოითხოვდა".

„თუკი ამას ჩვენი კონტრაქტი ითვალისწინებს — უნდა გავაკეთოთ" — ეს ორლანდიელი ნიკ ანდერსონის აზრია.

„არ მსურს ამაზე საუბარი" — ნიუჯერსელი სტივენ მარბერი.

„ახლა სხვა რამით ვარ დაკავებული. ტესტის თაობაზე არ მიფიქრია" — „ნიუ იორკ ნიქსის" ცენტრი პატრიკ იუინგი.

უკანასკნელ წლებში ბევრი მოთამაშე ჩავარდა მარიხუანას წევაზე. მუკი ბლეილოკს, ვერნონ მაქსველს, კლიფ რობინსონს, ალენ აივერსონს და აიზია რაიდერს ცოტა ხნით პოლიციაშიც მოუხდათ ყურყუტი — მათ ან მოწეული ჰქონდათ მარიხუანა, ან თან ჰქონდათ მისი გარკვეული რაოდენობა.

კრის ვებერი კი 1998 წელს სულაც ორჯერ დაიჭირეს. იანვარში პოლიციამ მისი მანქანის საფერფლეში მარიხუანიანი სიგარეტის ნამწვი იპოვა. მაშინ ვებერი „ვაშინგტონ ვიზარდსში" თამაშობდა და პოლიციამ მანქანის გადამეტებული სიჩქარით მართვის გამო გააჩერა. აგვისტოში კი, პუერტო რიკოს დედაქალაქ სან ხუანში მებაჟეებმა 11 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება აღმოუჩინეს.

# ერიდეთ: გოგოლაძის მარცხენა!

ქართველი მოკრივეების, კობა გოგოლაძისა და გიორგი კანდელაკის პროფესიონალებში წარმატებულ გამოსვლაზე დაუხანებლად გაცნობებდით. ახლაც: ბიჭები ორი დღის წინ ლონდონიდან დაბრუნდნენ და, ცხადია, უმალვე შევეხმიანეთ, თუმცა მათთან ინტერვიუს ხვალინდელ „სარბიელში" შემოგთავაზებთ, დღეს კი ინგლისურ გაზეთ „Boxing News"-ში გამოქვეყნებული წერილის ნაწილს გაგაცნობთ, რომელიც კობა გოგოლაძეს და პროფესიულ რინგზე მის მიერ ჩატარებულ პირველ შეხვედრას ეძღვნება.

„...კიდევ ერთი მაღალი კლასის ყოფილი მოყვარული ვიხილეთ პროფესიულ რინგზე. ეს ქართველი კობა გოგოლაძეა, რომელმაც 1996 წლის ოლიმპიადაზე რუმინელ მსოფლიოს ჩემპიონთან დოროფტეისთან მსაჯების „წყალობით" წააგო. გოგოლაძის მუშტის ძალა ნებისმიერი მეტოქისთვის სახიფათოა, განსაკუთრებით კი მისი „უსწრაფესი მარცხენა", რომელიც ფორჩესტერელმა ალან სმიტმა საკუთარ თავზე გამოსცადა.

სმიტი თავიდან მაგრად დადგა, გამარჯვების მოსაპოვებლად მცდელობაც არ დაუკლია, მაგრამ ის ხომ მსოფლიო დონის მოყვარულის წინააღმდეგ იბრძოდა — გოგოლაძე ახლახან გახდა პროფესიონალი. ალბათ, ამიტომაც იყო, იგი ბრძოლის დასაწყისში რომ ღელავდა, მერე კი აიწყვიტა და მისი შეჩერება შეუძლებელი გახდა.

გოგოლაძემ ორჯერ უთავაზა სახეში მუშტი სმიტს და იგიც დაბარბაცდა. მერე ქართველმა მოკრივემ კუთხეში მიიმწყვდია ინგლისელი და ოთხჯერ მძლავრად დაარტყა, მუცელში მოხვედრილმა პირდაპირმა მარცხენამ სმიტი ძირს დასცა. ამ დროს რინგზე ფორჩესტერელი მოკრივის მწვრთნელი გადმოხტა და ბრძოლის შეწყვეტა მოითხოვა. მოკლედ, გოგოლაძემ პროფესიონალებში პირველი გამარჯვება მოიპოვა..."



კობა გოგოლაძე

Another quality former amateur on show was Georgian southpaw Koba Gogaladze (9st 1 3/4lbs), victim of a bad points decision against World champion Leonard Doroftei in the 1996 Olympics after he had beaten a Cuban in the previous round, who punched too hard for Worcester's Ernie Smith (9st 9lbs) with a rocket of a straight left.

The taller Smith should take some credit for a brave effort, but was in against a world-class amateur who had turned pro late.

Gogoladze tended to load up on the left hand but, once he found his range halfway through the opener, there was no stopping him.

BOXING NEWS JULY 9, 1999



# ყოჩები: ლოკომოტივის პირველი გაჩერება

**მეცამეტე ტური**
თბილისი. 18 ივლისი

**ლოკომოტივი 1 11:13 (5:6) ყოჩები**

ლოკომოტივი 1: მაჭუტაძე, ჯაველიძე (კვანტალიანი), აბრამიშვილი (კერესელიძე), ცხომელიძე, ჩადუნელი, სუჯაშვილი (ა. კობახიძე), კახიანი, კაცაძე, სარიშვილი, კვინიხიძე, ბუგიანიშვილი, ანდღულაძე, ალანია (ბერიძე), ძნელაძე, ასათიანი
1 ლ — ჯაველიძე; 2 ს — კვინიხიძე
ყოჩები: ესაკია, ჭავჭავაძე, ახვლედიანი (კიკუაშვილი), სულთანიშვილი, ურუშაძე, ტყეშელაშვილი (სოფრომაძე, ხურცილავა), კ. კობახიძე, ჭელიძე, გიორხელიძე, ტეფნაძე, საკანდელიძე, ხამაშურიძე, პეტრიაშვილი, ხეხელაშვილი, ლიპარტელიანი
1 ლ — საკანდელიძე; 1 გ და 2 ს — კ. კობახიძე
მსაჯი: ნ. რობიტაშვილი
მეთვალყურე: პ. ნარიმანაშვილი

ორი თვის წინ სწორედ „ლოკომოტივმა 1" აგემა პირველი მარცხი „ყოჩებს", რომელთაც მანამდე თითქმის ორი წელი არ წაეგოთ, შაბათს კი ჩემპიონმა შური იძია და წლევანდელ ჩემპიონატში დაუმარცხებელ „ლოკომოტივს" წაგების გემო გაახსენა. ვიდრე თავად მატჩზე ვიტყოდეთ, მის დაწყებამდე და დამთავრების შემდეგ მომხდარზე ვთქვათ.

წესითა და რიგით ეს მატჩი ნოდარ რობიტაშვილს არ უნდა ემსაჯა, მაგრამ მთავარმა მსაჯმა გარკვეული მიზეზების გამო მოედანზე გასვლა იუარა და არბიტრობაც რობიტაშვილს ხვდა წილად, მატჩის ბოლოს რკინიგზელები დამარცხებას მსაჯს აბრალებდნენ. იქნებ მართლებიც იყვნენ. ვინ არის დამნაშავე? ის, ვინც უარი თქვა მსაჯობაზე, ის, ვინც ვერ იმსაჯა კარგად თუ რაგბის კავშირი?

შეხვედრა ჩემპიონის უპირატესობით დაიწყო და კახა კობახიძეს საჯარიმო რომ არ გაეფუჭებინა, „ყოჩები" უკვე მე-3 წუთზე დაწინაურდებოდნენ. თუმცა შვიდ წუთში კობახიძემ გამოასწორა შეცდომა და — 3:0. რკინიგზელები მოედანზე შესუსტებული შემადგენლობით გავიდნენ. ტრავმის გამო ვერ თამაშობდა გუჯა იოვაძე, აჩიკო კობახიძე, იგი თამაშში მხოლოდ მეორე ტაიმში ჩაერთო. მიუხედავად ამისა, საწყისი 15 წუთის შემდეგ რკნიგზელებმა გამოასწორეს თამაშის ხარისხი და თანდათან უპირატესობასაც დაეუფლნენ. რომ არა მატჩის ბოლოს დაშვებული დასანანი შეცდომა, ისინი არც ამ შეხვედრას წააგებდნენ.

ტაიმის შუაწელისთვის მასპინძლებმა თავიანთი უპირატესობა ანგარიშშიც გამოხატეს, როცა მეტოქის ლელოსთან ახლოს მოგებული აუტი ჯაველიძის ლელოთი დასრულდა. ტაიმის ბოლომდე ლოკომოტიველებს კიდევ ჰქონდათ დაწინაურების შანსი, მაგრამ ჯერ ანდღულაძემ, მერე კი ბუგიანიშვილმა ბოლო წამს შესცოდეს. უპირატესობის მიუხედავად, შეხვედრის პირველი ნახევარი „ყოჩებმა" ბოლო წუთზე მოიგეს, როცა კობახიძემ ხამაშურიძის წინააღმდეგ უწესოდ თამაშისთვის დანიშნული საჯარიმო ზუსტად შეასრულა.

მეორე ტაიმის დასაწყისში კვინიხიძეს მიეცა ლელოს გატანის მშვენიერი შესაძლებლობა, მაგრამ იჩქარა, უნდოდა, ხეხელაშვილისთვის ბურთი თავზე გადაეგდო, არ გამოუვიდა, არადა, გვერდზე ორი პარტნიორი იყო თავისუფალი, რომელთაც ხელს ვერავინ შეუშლიდათ. თუმც ერთ წუთში მან ერთგვარად გამოასწორა შეცდომა, როცა თანაგუნდელები სჯარიმოთი დააწინაურა. მატჩის დამთავრებამდე რვა წუთით ადრე მანვე კვლავ ქულები შესძინა თავის გუნდს. მანამდე კი... მანამდე იყო მეტოქეთა შესანიშნავი შეტევები, კახა ალანიას ტრავმა და, რკინიგზელთა თავკაცის თქმით, მსაჯის შეცდომები. „ლოკომოტივის" გამარჯვება თითქმის არავის ეეჭვებოდა, მაგრამ შეხვედრის დასრულებამდე მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. ალანიას ტრავმის გამო ლოკომოტიველთა მწვრთნელმა თემურ ბენდიაშვილმა გარკვეული ტაქტიკური ცვლილებები განახორციელა. დაშავებულის ნაცვლად შემოსული ბერიძე მწვრთნელმა გარემარბად გაამწესა, ხოლო ამ პოზიციაზე მობურთალმა ძნელაძემ ცენტრში გადაინაცვლა.

მატჩის დასასრულამდე ხუთი წუთი რჩებოდა, როცა მსაჯმა ერთ-ერთი რკინიგზელის მიერ ბურთით წინ თამაში დააფიქსირა და ყოჩთა სასარგებლოდ შერკინება დანიშნა, რასაც კატეგორიულად არ დაეთანხმა თემურ ბენდიაშვილი. მისი თქმით, ბურთს რკინიგზელი კი არა, ყოჩი შეეხო, თუმცა მსაჯთან რას გააწყობდა. სწორედ ამ შეტევას მოჰყვა ჩემპიონთა ლელო, რომელიც საკანდელიძის ანგარიშზეა. „სვერლომ", როგორც მას უწოდებენ, ისარგებლა რკნიგზელთა შეცდომით. ჯერ ცენტრისკენ შეწეულ ძნელაძეს დაუსხლტა, მერე კი ასათიანს. კობახიძემაც თანაგუნდელი არ დაალალატა, ზუსტად გარდასახა და გუნდს გამარჯვების მომტანი ორი ქულა შესძინა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ დამარცხებულნი უკმაყოფილებას ვერ მალავდნენ მსაჯის ნამოქმედარის გამო, თუმცაღა ამის გამოხატვა უფრო ცივილურად მართებდათ. თემურ ბენდიაშვილმა კი „სარბიელს" განუცხადა: „მატჩის განმავლობაში მრავლად იყო შეჩერებები, ამიტომაც მსაჯს დრო უნდა დაემატებინა, რაც მან არ გააკეთა. გარდა ამისა, მსაჯობა არაკვალიფიციური და არაობიექტური იყო, ბევრჯერ უსამართლოდ დაგვაჯარიმა. და კიდევ, ასეთი მნიშვნელოვანი მატჩისთვის კარგა ხნით ადრე ინიშნება მსაჯთა ბრიგადა, ჩვენ კი მხოლოდ შეხვედრის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე გავიგეთ, რომ არბიტრი შეიცვალა. თურმე იგი არ ყოფილა მზად ამ შეხვედრისთვის. ჰოდა, მსაჯობაც სხვას მოუწია. მე აუცილებლად დავწერ პროტესტს და მოვითხოვ, ეს საკითხი სპორტულ-ტექნიკური კომიტეტის სხდომაზე განიხილონ."

მწვრთნელმა სიტყვა შეასრულა და გუშინ მატჩის შედეგი გააპროტესტა. ახლა ჯერი სპორტულ-ტექნიკურ კომიტეტზეა.



ლოკომოტიველი ბობა კვინიხიძე ყოჩი ბადრი ხეხელაშვილის გაჩერებას ცდილობს

**მეცამეტე ტური**
ბათუმი. 18 ივლისი

**აია 7:43 დათვები**

აია: 1ლ და 1გ — აშვეთია
დათვები: 7ლ — რეხვიაშვილი (2), მაჩიტიძე (2), ხონელიძე (2), ძოწენიძე; 4გ — მაჩიტიძე

**მეცამეტე ტური**
თბილისი. 18 ივლისი

**ლოკომოტივი 2 7:48 (7:10) ასკ**

ლოკომოტივი 2: ჯილაური, ჯიბლაძე, კერესელიძე, მამაიშვილი (გიორგაძე), მაღალთაძე, ჯოხია, ჟღენტი (გოსიშვილი), ცხომელიძე (შუბითიძე), კოტრიკაძე, გუგავა, აფაქიძე, ხვიჩია, სუთიაშვილი, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი
1ლ — გუგავა, 1გ — გუგავა
ასკ: შენგელია, ლიქოკელი, მაისურაძე (ექიზაშვილი), უჩავა, მათიაშვილი (ჯარმელაშვილი), სვანიძე, მინაშვილი, ქავთარაძე (ჭელიძე), აბუსერიძე, კიკნაძე, ზაქარიაძე, მაღრაძე, კაპანაძე, კოდუა (ქათამაძე), ურჯუკაშვილი
8ლ — მაღრაძე, მაისურაძე (2), ურჯუკაშვილი (2), აბუსერიძე, კაპანაძე, შენგელია; 4გ — ურჯუკაშვილი
მსაჯი: დ. კილასონია
მეთვალყურე: გ. აბაშიძე

„ასკ" და „ზორდა" რომ მეოთხე ადგილისთვის იბრძვიან, ეს რაგბის გულშემატკივარს კარგად მოეხსენება. ჰოდა, სანამ ერთმანეთს დაუპირისპირდება, ორივე გუნდი ცდილობს, ქულათა მინიმალური დანაკარგით მივიდეს ამ დღემდე.

მატჩის პირველი ტაიმი ლოკომოტივის უპირატესობით დაიწყო. თუმც მალე არმიელებმა შეძლეს ვითარების გამოსწორება. მათი შეტევების შეჩერება რკინიგზელებს თანდათან უძნელდებოდათ. მშვენივრად თამაშობდა „ლოკომოტივის" შერკინება. რომ არა მათი გარჯა, „ასკ" ტაიმს სოლიდური სხვაობით მოიგებდა. ერთ ეპიზოდში არმიელმა ბურთი მოწინააღმდეგის ნახევარში ჩაჰკიდა. იგი რკინიგზელთა ორმა მცველმა ვერ გაიყო, რითაც ისარგებლა მაღრაძემ და თავისი გუნდი დააწინაურა. ამის შემდეგ ნახევარი ტაიმი არმიელთა შეტევებში მიილია, მაგრამ სახეირო აქედან არაფერი გამოვიდა, პირიქით კი მოხდა. რკინიგზელებმა კონტრშეტევაზე დაიჭირეს მეტოქე გუგავამ რამდენიმე არმიელი სისწრაფეში დაჯაბნა და წონასწორობა აღადგინა, ხოლო როდესაც ზუსტად გარდასახა, „ლოკომოტივი 2" სულაც დააწინაურა კიდეც. არმიელები გაბრაზდნენ, თუ გუნდის სახელს გაუფრთხილდნენ, არ ვიცი, მაგრამ ისეთი შტურმი მოუწყვეს მეტოქეს, რკინიგზელები ბურთის შორს გამოტანას ვეღარ ახერხებდნენ. ლელო მწიფდებოდა და გავიდა კიდეც. მაისურაძემ ძალისმიერ ბრძოლაში მოწინააღმდეგის მცველს აჯობა და ლელოც გაიტანა. ურჯუკაშვილმა ვერ გარდასახა და ტაიმი „ლოკომოტივი 2"-მა უმნიშვნელო სხვაობით დათმო.

მატჩის მეორე ნახევარი მთლიანად არმიელებისა იყო. საერთოდ მოიშალა რკინიგზელთა შერკინება, იგრძნობოდა მცველთა შეუთანხმებელი მოქმედება, რითაც კარგად სარგებლობდა მოწინააღმდეგე და თანდათანობით ზრდიდა უპირატესობას. ურჯუკაშვილმა პრემიალური ქულის მომტანი ლელო გაიტანა, მაგრამ ამაზე გაჩერებას ნამდვილად არ აპირებდა, პირდაპირ აიკლო რკინიგზელთა ფრთა. მას არც თანაგუნდელები ჩამორჩნენ და შედეგიც — 7:48.

**მეცამეტე ტური**
თბილისი. 18 ივლისი

**ზორდა 38:19 (19:5) უნივერსიტეტი**

ზორდა: ბერიაშვილი (მაგრაქველიძე), ჭელიძე (რ. ჯაფარაშვილი), თეზელაშვილი, ჩაკვეტაძე, ზედგენიძე, ობოლაძე, დიდებულიძე (ბურდული), ვართანიანი (ხაბეიშვილი), ჯანელიძე, გამყრელიძე, ალანია, მაისურაძე, აბაშიძე, სორდია, პარასკებაშვილი
6ლ — სორდია (3ლ), ჯანელიძე, ბერიაშვილი, ვართანიანი
4გ — აბაშიძე (4გ)
უნივერსიტეტი: წიკლაური (სანაძე), ჯანუკაშვილი (ბეჟიტაშვილი), რატიანიძე, ალიბეგაშვილი (ჯაში), კობიაშვილი, ავსაჯანიშვილი, კოკაია (მჟავანაძე), მჭედლიშვილი, ჭუმბურიძე, კიზირია, კუთარაშვილი, სვანიძე, ქირიკაშვილი, თჟვაძე, ჯავრიშვილი
3ლ — ჭუმბურიძე, რატიანიძე, ქირიკაშვილი 2გ — ჯავრიშვილი
მსაჯი: გ. აბაშიძე
მეთვალყურე: პ. ნარიმანაშვილი

ეს თამაში „ლოკომოტივი 2" — „ასკ"-ს შეხვედრის შემდეგ დაიწყო. „ზორდას" აუცილებლად უნდა მოეგო, თანაც ოთხეულში მოსახვედრად პრემიალური ქულა სჭირდებოდა. სტუდენტები რომ არავის უფრთხიან, უკვე დაამტკიცეს. „უნივერსიტეტი" უბრძოლველად არც ამ მატჩის დათმობას აპირებდა და მოედანზე ისეთი პაექრობა გაჩაღდა, კაცს ეგონებოდა, მეტოქეები ჩემპიონობას ეცილებიან ერთმანეთსო.

პირველი ტაიმის საწყის წუთებში ორივე გუნდი უპირატესობის მოპოვებას ცდილობდა. „ზორდა" უკეთესად გაისარჯა და სორდიამ ლელოც გაიტანა. მერე სტუდენტთა დაცვა მოიშალა, ისინი აუტებშიც ვერ თამაშობდნენ შედეგიანად. „ზორდამ" ამით ისარგებლა, კიდევ ორი ლელო და დაგეგმილი პრემიალური ქულაც მიითვალა. სტუდენტთა მწვრთნელმა გურამ მოდებაძემ შეცვლით სცადა მდგომარეობის გამოსწორება და მოედანზე ახალშესულმა ჯაშმა გაუმართლა კიდეც — სწორედ მან დაუდო სათავე შედეგიანად გათამაშებულ კომბინაციას. უნივერსიტეტელმა თავის ნახევარზე ორი მეტოქე მოატყუა, ბურთი გუნდის კაპიტანს, ქირიკაშვილს გადააწოდა, რომლის პასითაც ჭუმბურიძემ ლელო გაიტანა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ზორდელმა ვართანიანმა კიდევ უფრო გაზარდა ანგარიშში სხვაობა. „უნივერსიტეტი" მარცხს არ ეგუებოდა და თავდაუზოგავად იბრძოდა. განსაკუთრებით აქტიურობდა მჭედლიშვილი, რომელიც საუკეთესო იყო სტუდენტთა შორის. მონდომებამ შედეგი გამოიღო: რატიანიძემ მეტოქის გამარჯვება საეჭვო გახადა 12:24. სტუდენტები კვლავ უტევდნენ, თითქოს მონაგარიც უნდა გაეზარდათ, მაგრამ ერთ-ერთ ეპიზოდში სორდიამ ბურთი ჩაჭრა, სწრაფად გადაკვეთა მეტოქის მოედანი და ლელოც გაიტანა. მან რამდენიმე წუთში კვლავ იმარჯვა და თავისიანები სოლიდური სხვაობით დააწინაურა. მატჩის მიწურულს ქირიკაშვილის ლელოს წყალობით „უნივერსიტეტმა" პრემიალური ქულაღა მიითვალა.

**პაატა თოთაძე**
**ბაჩო სვანიძე**

Tri Nations
**სამი ერის პირველობა**
**ავსტრალია — სამხრეთ აფრიკა**
**32:6**

DAVIS CUP by NEC

მეოთხედფინალები

# ჯოჯოხეთში დოლით თავზე


REUTERS ბრუკლინიდან

პატრიკ რაფტერი

## აშშ 1:4 ავსტრალია

**პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) — ჯიმ კურიე (აშშ) 7:6 (7:5), 6:4, 6:4; ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) — ტოდ მარტინი (აშშ) 6:4, 6:7 (1:7), 6:3, 6:0.**

**წყვილები: პიტ სამპრასი და ალექს ობრაიენი (აშშ) — სენდონ სტოლი და მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) 6:4, 6:3, 3:6, 4:6, 6:3.**

**რაფტერი — მარტინი 4:6, 5:7, 6:3, 6:2, 6:4; ჰიუიტი — ობრაიენი 7:5, 6:4.**

არეულობა და უთანხმოება ავსტრალიასა და აშშ-ის მეოთხედფინალს არც გასულ უქმეებზე დაკლებია.

დავა, ერთხელაც შეგახსენებთ, ჯერ კიდევ სამი თვის წინ მატჩის მასპინძლობაზე დაიწყო (ავსტრალიას ერგებოდა, მაგრამ დევისის თასის საუკუნოვანი იუბილის გამო ამერიკელებს გადაულოცეს), მერე სათამაშო საფარის შესახებ გაგრძელდა (იანკებს თიხნარი სურდათ, ოზებს — ჰარდი), ბოლოს კი მსოფლიოს პირველი ჩოგნის — პიტ სამპრასის მონაწილეობა-არმონაწილეობით დაგვირგვინდა.

„პისტოლ პიტი" ბოსტონის ისტორიულ „ლონგვუდ-კლაბში" მხოლოდ წყვილებში სასპარეზოდ ჩაეწერა, მაგრამ პარასკევის შემდეგ, როდესაც მასპინძლები წაგების პირას აღმოჩნდნენ, კაპიტანმა ტომ გალიქსონმა მის საიდუმლო იარაღად გამოყენება გადაწყვიტა.

დევისი თასის გათამაშების წესებით, მოთამაშის შეცვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ტრავმას მიიღებს, ან თამაშისთვის მზად არ არის ჰოდა, გალიქსონმაც გადაწყვიტა, გადაღლილი ტოდ მარტინის ნაცვლად მეტოქეთა პირველი ჩოგნის — პატრიკ რაფტერისთვის სამპრასი დაეპირისპირებინა.

თუ ამერიკელებს დავუჯერებთ, მარტინი კვირას დილით წავარჯიშების დროს თავს ძალიან სუსტად გრძნობდა და კაპიტანს უთხრა, თამაშს ვერ შევძლებო. თავისიანებს გუნდის ექიმი, დევიდ ოლჩიკი, ბუნებრივია, დაეთანხმა და რაკი ამ შემთხვევაში დასკვნისთვის „ნეიტრალური" მედიკოსის გადაწყვეტილებაა საჭირო, მთავარ მსაჯ სტეფან ფრენსონს სთხოვა, ვინმე გამოეყო.

ექიმმა, რიჩ პოლმა, კოლეგას თითქოს დაუჯერა, მაგრამ მარტინის გამოკვლევის შემდეგ ფრენსონს სულ სხვა მოახსენა — ჩოგბურთელი ჯანზეა და თამაშსაც შესძლებსო.

სამპრასის გამოყენების გეგმამ ჩაილურის წყალი დალია. მარტინი კი სათამაშოდ ფერმკრთალი, ვენაში ჰემოდეზშეშხაპუნებული და განერვიულებული გამოცხადდა: „ემოციების გაკონტროლება ძალიან გამიჭირდა, სიტუაცია ფსიქოლოგიურად მეტად უსიამოვნო იყო. აქ დედაჩემიც მქომაგობდა და არა მგონია, ჩემი მდგომარეობა მოსწონებოდა".

ზემოთქმულის საწინააღმდეგოდ ორმეტრიანმა ამერიკელმა მატჩი ზედიზედ ოთხი გეიმის მოგებით დაიწყო, მერე კი მეორე სეტშიც იმარჯვა. მაგრამ რაფტერი დანებებას არ აპირებდა: 53 (!) გრადუსიან სიცხეში, რომელშიც თამაში კი არა, სუნთქვაც ჭირდა (რამდენიმე გულშემოყრილი გულშემატკივარი პარასკევსაც და კვირასაც გაასვენეს კორტიდან), ამერიკის ორგზის ჩემპიონმა გარჯა არ დაიზარა და ანგარიში გაათანაბრა.

გადამწყვეტ ხელში მარტინი 3:0 დაწინაურდა, მაგრამ რაფტერი ამდენი ნაჯაფის წყალში ჩამყრელი ნამდვილად არ იყო. მსოფლიოს მეორე ჩოგანმა ამერიკელს მატჩის ბოლომდე ერთხელაც აღარ დაანება მოწოდების შენარჩუნება, ბადესთან უშეცდომოდ იფარიკავა და სამ საათსა და 15 წუთში თავისიანებს ნახევარფინალის საგზური გაუფორმა.

„ცოტა უსიამოვნო გახლდათ, რომ მეტოქის ვინაობა ბოლო წამსლა შევიტყვე, მაგრამ ტოდზე პატიოსან სპორტსმენს ძნელად თუ იპოვი, ამიტომ დარწმუნებული ვარ, თაღლითობა არაფერ შუაში იყო — განაცხადა მოგვიანებით რაფტერმა — ისე, ეს ერთ-ერთი ყველაზე საოცარი მატჩი იყო ჩემს კარიერაში. ასე კარგად თავი არასოდეს მიგრძვნია, ალბათ, არც აშშ-ის ღია პირველობის შემდეგ".

ავსტრალიელთა კაპიტანმა ჯონ ნიუკომბმა მაშინვე განაცხადა, წლეულს დევისის თასის მოგების მთავარი ფავორიტები გავხდითო, ქება კი რაფტერთან ერთად მატჩის კიდევ ერთ გმირს, 18 წლის თასის დებიუტანტ ლეიტონ ჰიუიტს ერგო, რომელმაც ორივე პირადი შეხვედრა მოიგო.

„მას უყვარს მნიშვნელოვანი, დაძაბული მომენტები, რომელთა დროს არასოდეს ნერვიულობს. ლეიტონი მუცელში ცეცხლითაა დაბადებული (ე.ი. ჯიგრიანიაო) და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, გამარჯვებების არ ეშინია".

## ბელგია 3:2 შვეიცარია

**ქსავიე მალისი (ბელგია) — ლორენცო მანტა (შვეიცარია) 6:4, 6:0, 7:6 (7:1); კრისტოფ ვან გარსი (ბელგია) — როჯერ ფედერერი (შვეიცარია) 7:6 (7:4), 3:6, 1:6, 7:5, 6:1.**

**წყვილები: მარკ როსე და მანტა — მალისი და ფილიპ დევულფი 2:6, 6:1, 7:6 (9:7), 7:5**

**მალისი — ფედერერი 4:6, 6:3, 7:5, 7:6 (7:5); გეორგ ბასტლი — ვან გარსი 7:6 (7:4), 1:0 — ტრავმა.**

გასულ უქმეებზე მომავალ დიდ მეტოქეობაში პირველი ფურცელი გადაიშალა — 17 წლის როჯერ ფედერერმა და 18 წლის ქსავიე მალისმა, ვარსკვლავებად გამზადებულმა გუშინდელმა იუნიორებმა, პირველად გადააჭდვეს ჩოგნები.

ამ მცირე ასაკში თავიანთი გუნდების ლიდერებად ქცეულ თინეიჯერთა თვალსასიერო ორთაბრძოლამ გადაწყვიტა კიდეც მთლიანად მეოთხედფინალის ბედი, თუმცა თავად მატჩში მთავარი საჩოგბურთო ოსტატობა კი არა, გამძლეობა და ფიზიკური მომზადება გამოდგა.

სამსაათნახევრიან მატჩში დაღლილობისგან დაკრუნჩხული კუნთების საწამლოდ ექიმს პირველმა ფედერერმა უხმო, მერე კორტის პირას მასაჟისთვის მალისიც გაკოტრიალდა და შეხვედრა ნებისყოფათა შეჯიბრებად იქცა: მეტოქეებს სირბილი კი არა, მოძრაობაც უჭირდათ.

ფედერერმა საბედისწერო შეცდომა მეოთხე სეტის ტაი-ბრეიკზე დაუშვა, როლესაც 5:5-ზე სმეში ოდნავ ააცილა და სასოწარკვეთისგან მიწაზე გაწვა. მალისს კი მატჩ-პოინტზე აულებელი მოწოდებისთვის მაინც შემორჩენოდა ძალა.

„სამწუხაროა, რომ ასეთ შეხვედრაში ვინმეს უნდა წაეგო. კიდევ კარგი, მაყურებლების მხარდაჭერა დამეხმარა, მეხუთე სეტს ნამდვილად ველარ გავუძლებდი" — აღნიშნა ბელგიელმა, რომელსაც საინტერვიუოდ საუბარიც კი აღარ შეეძლო.

## საფრანგეთი 3:2 ბრაზილია

**გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) — სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) 6:2, 6:7 (4:7), 7:6 (7:5), 6:7 (5:7), 9:7; სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 6:3, 6:3, 6:3**

**წყვილები: ოლივიე დელეტრი და ფაბრის სანტორო — კუერტენი და ხაიმე ონსინსი 7:6 (7:5), 6:4, 6:4**

**პიოლინი — კუერტენი 6:3, 6:4, 6:4; მელიგენი — გროსჟანი 6:7 (4:7), 6:4, 6:2**

გასულ უქმეებს დაძაბული ხუთსეტიანი შეხვედრები ნამდვილად არ აკლდა, მაგრამ დრამატიზმითა და ხანგრძლივობით „გუგა" კუერტენისა და სებასტიან გროსჟანის მატჩს ვერც ერთი გაეჯიბრებოდა. ბრაზილიის პირველმა და საფრანგეთის მეორე ჩოგნებმა ოთხი და 42 (!) წუთის მანძილზე იომეს.

„გუგა" ისე დაიქანცა და ისე შეაწუხა ფეხის ტკივილმა, რომ ბოლო ხელში გეიმებს შორის შესვენებებზე საერთოდ აღარ ჯდებოდა, ვაითუ, ველარ წამოვდგეო.

შეხვედრა კუერტენმა კი მოიგო, მაგრამ დანარჩენი მატჩებისთვის ძალა სავსებით აღარ შემორჩა და მის იმედად მყოფი სარიოეთიც კიდევ ერთხელ გამწარდა ფრანგებისგან.

## რუსეთი 3:2 სლოვაკეთი

**მარატ საფინი (რუსეთი) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 2:6, 6:4, 6:2, 6:4; ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) — დომინიკ ხრბატი (სლოვაკეთი) 2:6, 6:2, 6:7 (3:7), 6:1, 7:5.**

**წყვილები: ხრბატი და კუჩერა — კაფელნიკოვი და ანდრეი ოლხოვსკი 6:2, 6:2, 6:2**

**კუჩერა — კაფელნიკოვი 6:1, 6:3, 6:4; საფინი — ხრბატი 6:3, 4:6, 7:5 6:7 (3:7), 6:4.**

ევგენი კაფელნიკოვს თანამემამულეთა გულის მოგება ეტყობა, არასოდეს უწერია. 25 წლის სოჭელი რუსეთის ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელია, დევისის თასზე ქვეყნის ღირსების დაცვაზე უარს არასოდეს ამბობს, მაგრამ დიდი ხანია, შინ ჟურნალისტებიცა და ქომაგებიც ამრეზით უყურებენ.

თუ რუსების კერპი აქამდე გმირობამინიჭებული ანდრეი ჩესნოკოვი გახლდათ, ამიერიდან ჟენიას ალტერნატივა 19 წლის მარატ საფინი იქნება. თუ კაფელნიკოვი კვირას ტრიბუნებმა სტვენით გააცილეს, მისი უმცროსი კოლეგა ხელში ატატებული გაიყვანეს.

ისე, მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ამჯერად თავი ბევრით ვერაფრით გამოიჩინა — პარასკევს უხერხულ მეტოქე დომინიკ ხრბატის დიდი გაჭირვებით აჯობა, მაგრამ მერე ზედიზედ ორი მატჩი სეტის მოუგებლად წააგო და სლოვაკებს ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა მისცა.

„საკუთარ თამაშზე კომენტარის გაკეთებაც კი არ ღირს... (ხანგრძლივი პაუზის შემდეგ) ხვალ ჩემი სახელი გაზეთებში თუ მოხვდება, ჩოგბურთისთვის დიდი უსამართლობა იქნება".

მთლად დალუპვისგან კი ჟენიაცა და თავისი გუნდიც საფინმა იხსნა, რომელსაც მანამდე ექვსი კვირის მანძილზე იდაყვის ტრავმის გამო ჩოგანიც კი არ აელო ხელში. ზორბა რუსმა უკანა ხაზიდან მძლავრი დარტყმებით კუჩერაც წალეკა და ხრბატიც და თავის გუნდს ნახევარფინალის საგზური გაუფორმა.

ბოლოს კი პარასკევს მომხდარ ერთ ინციდენტზეც მოგითხრობთ. დომინიკ ხრბატის მოსკოვში უმცროსი ძმა — რუსული წყაროებით, სახელად იური, უცხოურით — გეორგე ჩამოჰყოლოდა, რომელსაც პარასკევს დიდი დოლი ჰქონდა მომარჯვებული და რამდენიმე ათასი რუსის ხმას ლამის მარტო ფარავდა.

მავან რუს, ალბათ შექეიფებულ ქომაგს დამხვდურის ყოჩაღობა მაინცდამაინც არ ეამა, ჯერ თურმე შორიდან შემოთვალა, ხმა გაკმინდეთო, მერე კი პირადადაც ეახლა იური-გეორგეს და დოლი კინალამ თავზე დაახურა.

ქომაგი პოლიციამ ტრიბუნიდან მიაბრძანა, მაგრამ სლოვაკთა დელეგაცია ძალიან აღშფოთდა, დაცვა რას მიკეთებდა უსაქმოდო, და ITF-ში ჩივილითაც დაიქანდა.

*ნახევარფინალებში სექტემბერში ავსტრალია უმასპინძლებს რუსეთს, საფრანგეთი კი ბელგიას.*

**ავთანდილ სვანიძე**


REUTERS ბრუკლინიდან

აშშ-ის დევისის თასის გუნდის კაპიტანი ტომ გალიქსონი (მარჯვნივ) უიღბლო ტოდ მარტინს იწყნარებს


ეროვნული ბიბლიოთეკა

ანა კურნიკოვა

# რუსთა ლხინი და ვარამი

პალერმო. იტალია. საერთაშორისო პირველობა. თიხნარი. საპრიზო 142 ათასი $

**ნახევარფინალი: ანასტასია მისკინა (რუსეთი) — ელენა დემენტიევა (რუსეთი) 4:6, 6:2, 6:2; მარია ანხელეს მონტოლიო (ესპანეთი) — კატარეინა სრებოტნიკი (სლოვენია) 6:2, 4:6, 6:2**

**ფინალი: მისკინა — მონტოლიო 3:6, 7:6 (7:4), 6:2**

ბათუმის ტურნირის შარშანდელმა ფინალისტმა და შარაშანწინდელმა გამარჯვებულმა, 18 წლის ანასტასია მისკინამ WTA ტურზეც წარმატებით გადაინაცვლა და თავისი პირველი ტიტული, მასთან კი თითქმის მთელი ჩვენი საპრიზო ფონდისხელა 22 ათასი დოლარი მიითვალა.

თბილისელთა კიდევ ერთმა ნაცნობმა, ელენა დემენტიევამ კი მისკინასთან ნახევარფინალში წაგების მიუხედავად, პირველად კარიერაში საუკეთესოთა ასეულში დაიმკვიდრა ადგილი.

სოპოტი, პოლონეთის ღია პირველობა. თიხნარი საპრიზო 180 ათასი $

**ნახევარფინალი: კონჩიტა მარტინესი (3, ესპანეთი) — სანდრინ ტესტიუ (2, საფრანგეთი) 6:3, 6:3; კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი) — სილვია ტალაია (ხორვატია) 6:3, 6:1.**

**ფინალი: მარტინესი — ჰაბსუდოვა 6:1, 6:1**

ნიუ-ჯერსი. აშშ. „A&M ტენის კლასიკი" საჩვენებელი ტურნირი. ჰარდი.

წლევანდელ „ტენის კლასიკს" ვარსკვლავების მხრივ სასტიკად არ გაუმართლა: იანა ნოვოტნამ ასპარეზობაზე უარი მოურჩენელი კოჭის ტრავმის გამო შემოთვალა, ხუთშაბათს შტეფი გრაფს ბრონქიტისა და წამალზე ალერგიული რეაქციის შედეგად თამაშის გაგრძელებაზე უარის თქმა მოუხდა, პარასკევს კი მსხვერპლთა სიას ანა კურნიკოვაც შეემატა.

უსაშველოდ დახუთულ და ცხელ საღამოს 18 წლის რუსმა ამანდა კუტცერთან 4:6, 4:6 წააგო, მერე კი კორტიდან გასასვენებელი შეიქმნა. კურნიკოვას, მარტინის არ იყოს, ვენაში გადასხმა დასჭირდა, უამრავი აბი ყლაპა, ცივი კომპრესები გაუკეთეს და გავლაც მხოლოდ მასაჟის შემდეგ შეძლო.

„ანას სახუმაროდ ნამდვილად არა აქვს საქმე. გავგიჟდები: ჩვენი ჩოგბურთელებიდან ერთმა აღებინა, მეორეს — კრუნჩხვა დაემართა და მესამემ კოჭი გადაიტრიალა" — ეს უიღბლო ტურნირის თავკაცის ჯონ კორფის სიტყვებია.

საჩვენებელი პირველობა კი, კარიერაში უკვე მესამედ აღმასვლის გზას მდგარმა ყოფილმა ვუნდერკინდმა ჯენიფერ კაპრიატიმ მოიგო, რომელმაც ფინალში თანამემამულე ჩანდა რუბინი დაამარცხა 6:1, 3:6, 6:2.

„ჯერ საკუთარი შესაძლებლობების 70-80 პროცენტით თუ ვთამაშობ, მაგრამ საუკეთესო ფორმას თანდათან ვუახლოვდები და მწამს, წინ ბევრი წარმატება მელის" — განაცხადა გახარებულმა ჯენიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა

# შეგვიბრალეთ!

უმცროსი ასაკის მოჭიდავეთა სამსოფლიოჩემპიონატო სამზადისზე ამასწინათაც ვწერდით. დღეს ისევ ვუბრუნდებით ამ საკითხს, რადგან უკვე ბევრი რამ გაირკვა. გეტყვით — ძირითადად ცუდი.

გაირკვა ის, რომ ჭაბუკთა ნაკრებების დაფინანსებაზე განათლების სამინისტრომ უსახსრობის გამო უარი თქვა (შეგახსენებთ — მას სპორტის დეპარტამენტმა სთხოვა ამ გუნდების დაფინანსება, რაკი მისი წევრები მოწაფეები არიან). სასიკეთო არც დეპარტამენტისგან ჩანს რაიმე. ეგ კი არა, მის ისედაც კუდმოჭრილ ბიუჯეტს კიდევ 40 პროცენტით ამცირებენ. თუ მართლაც ასე მოხდა, მაშინ ამ გუნდების დაფინანსებაზე ზედმეტია ლაპარაკი. დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანს ქვეყნის პრეზიდენტისთვის სააჯო არზა-უსტარი უახლებია, შეგვიბრალეთ და ნუ გაგვწირავთო. უამისოდაც წყალწაღებული ფედერაციები (მათ შორის, ჭიდაობისაც) ახლა ამ ხავსს ეჭიდებიან.

თუმცა ჭიდაობის ფედერაციამ თადარიგი მაინც დაიჭირა. ჭაბუკ „ბერძენ-რომაელთა" ჩემპიონატი 26 აგვისტოს იწყება დანიაში. იქ აჭარის სპორტდეპარტამენტი რამაზ დევაძეს (მძიმე), ელიზბარ მაჭუტაძეს (85) და ნაკრების მწვრთნელ ვაჟა კრავეიშვილს აგზავნის, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი ზაზა სიორიძე კი ოზურგეთელ — ლაშა ლომაძეს (58). სხვათა დამფინანსებელი ჯერჯერობით არ ჩანს. ჭაბუკ თავისუფალთა ნაკრებს ასეთი დამხმარეც არავინ გამოუჩნდა და მისი მწვრთნელი თემურ ბენდიანიშვილი ახლაც დამფინანსებლებს ეძებს. შეკრება ჯერ არც ერთ ნაკრებს არ გაუვლია.

ბოლო ცნობით, მათ სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივი" მსოფლიოზე ამ პირველობის შარშანდელ მესამე პრიზიორ მიხეილ ბაგაურისა და მოსკოვის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორ შოთა ბოლოლაშვილის გაგზავნას ჰპირდება მწვრთნელითურთ.

რაც შეეხებათ ახალგაზრდებს, თავისუფლები არც შეკრებაზე გაუგზავნია ვინმეს და, ეტყობა, არც იმ შორეულ ავსტრალიაში (სადაც მსოფლიოს პირველობა ტარდება) გაუშვებს. თუმცა დაპირება ევროპის წლევანდელი პირველობის სამი პრიზიორის გაგზავნის თაობაზე კვლავაც ძალაშია. ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ვლადიმერ იაშვილმა ფედერაცია და მწვრთნელთა საბჭო დავით კლდიაშვილის გალატაკებულ აზნაურებს შეადარა, მათსავით კარდაკარ დავდივართ ფულის საშოვნელადო.

ახალგაზრდა „ბერძენ-რომაელები" კი ერთი კვირაა, გლდანის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის ბაზაზე იმყოფებიან შეკრებაზე. ისინი ქალაქის სპორტის სამმართველომ დააფინანსა. აქვეა ჭაბუკ „ბერძენ-რომაელთა" ნაკრების რამდენიმე წევრიც. ეს შეკრება ახალგაზრდებისთვის იყო გათვალისწინებული, მაგრამ კრავეიშვილის თხოვნით, მისი ნაკრების წევრებიც დაუშვეს შეკრებაზე. რა თქმა უნდა, თბილისის სპორტის სამმართველოს ხარჯზე.

ახალგაზრდების მსოფლიოს ჩემპიონატი აგვისტოში ბუქარესტში ჩატარდება. ალბათ, ამ გუნდსაც ნაკლულად გაუშვებენ რუმინეთში. ყოველ შემთხვევაში, ასე ეუბნებიან.

**მირანდა ზედელაშვილი**

მოტორბოლა



ვალენტინო როსი

# როსი ტიტულისკენ მიიწევს

ისე აგიხდეთ ყველა პროგნოზი და სურვილი, როგორც „სარბიელს" აუხდა მოტომრბოლთა მსოფლიოს ჩემპიონატთან დაკავშირებით.

პროგნოზები საერთოდ უმადური საქმეა, მაგრამ როცა ეს საქმე იტალიელთა კერპს, ოცი წლის ვალენტინო როსის ეხება, თურმე თამამად შეიძლება დიდი ფსონების ჩამოსვლაცა და ფანტასტიკური პროგნოზების გამოთქმაც.

ორი თვის წინ საფრანგეთის დიდი პრიზის გათამაშების ბოლო წრეზე როსის მანქანას ძრავამ უმტყუნა. მოტოციკლი ბოქსში მიაგორეს, ტიფოზები გულდათუთქული დაიშალნენ, იაპონელმა ტორუ უკავამ კი ნაჩუქარ დიდ პრიზთან ერთად ყველაზე საშიშ მეტოქესთან ვალენტინო როსისთან 40 ქულიანი უპირატესობა გაინაღდა. სწორედ ამ სიტუაციაში ივარაუდა „სარბიელმა" როსის მსოფლიოს ჩემპიონობა.

მართალია, წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ გერმანიის დიდ პრიზზე მორიგი გამარჯვებით იტალიელმა ანცმა ბიჭმა თავის უშუალო კონკურენტს 18 ქულით გადაასწრო და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის ოფიციალურ გაფორმებასაც ბევრი არაფერი — ცოტა მოთმინება და დროღა ესაჭიროება.

ფინიშთან მეორე მივიდა კლას 250-ის შარშანდელი ჩემპიონი ლორის კაპიროსი, მესამე — იაპონელი შინუია ნაკანო. ორივე პრიზიორი საერთო ჩათვლაში 40 ქულით ჩამორჩება ლიდერს.

ხუთასიანების კლასში გაიმარჯვა ამერიკელმა კენი რობერტსმა. ჩემპიონატის ლიდერი ესპანელი ალექს კრივილე ამჯერად მეორე ადგილით დაკმაყოფილდა, თუმცა იმდენად დიდია მისი უპირატესობა მდევრებთან კენი რობერტსთან და იაპონელ ჰიდეიუკი ოკადასთან, რომ არც მისი ჩემპიონობა იწვევს ეჭვს.

კლას 125-ში მსოფლიოს ჩემპიონატს ორი ლიდერი ჰყავს იაპონელი აზუმა (157 ქულა) და ესპანელი ალზამორა (147). გერმანიის დიდი პრიზი კი კიდევ ერთმა ამომავალმა ვარსკვლავმა, იტალიელმა მარკო მელანდრიმ მოიგო.

**ირაკლი ბერიაშვილი**

მძლეოსნობა



მარკ ლუის ფრენსისი



ჩეროტ ჩერონი

# ვარსკვლავები იქნებიან!

BYDGOSZCZ POLAND '99

ამ უქმეებზე პოლონეთის ქალაქ ბიდგოშჩში დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი მძლეოსნობაში ჭაბუკთა შორის.

თვრამეტწლამდე სპორტსმენთა შორის არ დამყარებულა არცერთი მსოფლიოს რეკორდი, მაგრამ ჩრდილოპოლონურ ქალაქში მიმდინარე შეჯიბრებაში ეს სულაც არ იყო მთავარი. 141 ქვეყნიდან ჩამოსულმა 1112-მა სპორტსმენმა მშვენიერი სანახაობა უჩვენა მაყურებელს.

ეჭვი არავის გასჩენია: ახალ ათასწლეულში იქნებიან მძლეოსნობის ახალი ვარსკვლავები.

გრძელ მანძილზე რბენაში ლიდერობა კენიელებს ეპყრათ. მათ ხუთი ოქრო მოიპოვეს. კენიელთაგან ყველაზე შთამბეჭდავი ჩეროტ ჩერონის გამარჯვება იყო. ორიათას მეტრზე, დაბრკოლებებიანი ბილიკი კი მან ხუთ წუთში და 31,89 წამში გაირბინა. ამ ასაკის სპორტსმენთათვის ეს მეორე შედეგია დისტანციის ისტორიაში.

ახალ ათასწლეულში თავის სპრინტერთა იმედი უნდა ჰქონდეს ბრიტანეთსაც. 100 და 200 მეტრზე გარბენი შესაბამისად მარკ ლუის-ფრენსისმა და ტიმ ბენჯამინმა მოიგეს.

ყმაწვილთა მსოფლიოს ჩემპიონატი დიდი ხმაურით ჩატარდა. მძლეოსანთა მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტ პრიმო ნებიოლოს, უხილავს რა ყმაწვილთა თამაშებისადმი სახალხო ინტერესი, განსაკუთრებით კი ფეხბურთში, გადაუწყვეტია, ასეთი რამ მძლეოსანთა შორისაც უნდა გავმართოთო. თუმცა, პრეზიდენტს გვარიანი წინააღმდეგობაც შეხვედრია და ჯერჯერობით არავინ იცის, კვლავ ჩატარდება თუ არა ასეთი შეჯიბრება. რამდენიმე ევროპული ფედერაცია ამტყდარა, ყმაწვილებს სწავლაში ხელი ეშლებათო.

# გურუჯის ჯავრმა შეგჭამოს, ნოა?!

ამ უქმეებზე მძლეოსნები საფრანგეთის ზღვისპირა კურორტ ნიცაში შეიკრიბნენ გრან პრის პირველი კატეგორიის ტურნირზე საასპარეზოდ. ეტყობა, კენიელ ნოა ნგენის დღემდე ვერ მოუნელებია რომის „ოქროს ლიგის" ტურნირზე მაროკოელ ჰიშამ ელ გურუჯისთან დამარცხება, შეგახსენებთ, რომ იტალიის დედაქალაქში მაროკოელმა ერთ მილ დისტანციაზე მსოფლიოს რეკორდი დაამყარა, არადა, ფინიშამდე წინ ნგენი იყო და მხოლოდ ბოლო მეტრებზეღა გადაასწრო გურუჯიმ.

ნიცაში ნგენიმ 1000 მეტრზე იასპარეზა და 1981 წელს სებასტიან კოეს მიერ დამყარებულ რეკორდს 2.12,18 წუთს შეუტია, მაგრამ ნოას ამ საქმიდანაც არაფერი გამოუვიდა, თუმცა 2.12,66 წუთით იმარჯვა.

კიდევ ერთმა მძლეოსანმა მოინდომა რეკორდის დამხობა. რუსმა სვეტლანა მასტერკოვამაც 1000 მეტრიან ბილიკს შეუტია, თუმცა ნგენისგან განსხვავებით, საკუთარი რეკორდის გაუმჯობესებას ცდილობდა. სვეტლანამ მოზამბიკელი მარია მუტოლა და თვისტომი ნატალია ციგანოვა კი მოიტოვა უკან, მაგრამ არც მას ეწერა იმ დღეს რეკორდის დამყარება.

სხვათაგან კი, თუ ვინმეს გამორჩევა შეიძლება, უპირველესად ნამიბიელი ფრენკი ფრედერიქსისა, რომელმაც 200 მეტრზე იმარჯვა, ფრანგი სპრინტერის, მომხიბვლელი კრისტინ არონისა და ჭოკით მხტომელი რუსი მაქსიმ ტარასოვი, მაქსიმი 5,90 მეტრზე გადებულ თამასას იოლად გადაევლო, მერე 6.06 მეტრსაც შეუტია, თუმცა უშედეგოდ.

**კახა ხურციძე**

ხუთჭიდი

# ქალები და ჩვენები



ვახტანგ იაგორაშვილი

ბუდაპეშტში ახლახან დასრულებულ ხუთჭიდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე 42 ქვეყნის 200-ზე მეტმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. ეს ჩემპიონატი წინა პირველობებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ ბუდაპეშტში პირველად იასპარეზეს ერთად კაცმა და ქალმა ხუთჭიდელებმა. უნგრული შეჯიბრი ჩვენთვისაც იყო საინტერესო — მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველებმაც სცადეს ძალა, დავით ჭულუხაძე და ნოდარ ბარავი თუ სამშობლოს ღირსებას იცავდნენ, ვახტანგ იაგორაშვილი კარგა ხანია უკვე ამერიკის სახელით გამოდის.

ცხადია, უპირველესად ჩვენებურებზე ვთქვათ. დავით ჭულუხაძემ ინდივიდუალურ შეჯიბრში იასპარეზა და თუ მისი მომზადების პირობებს გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, კარგი შედეგიც აჩვენა — დავითმა ხუთი დისციპლინის (სროლა, ფარიკაობა, ცხენოსნობა, ცურვა, კროსი) ჯამში 5223 ქულა დააგროვა და მეთხუთმეტე ადგილზე გავიდა. გაამერიკელებული იაგორაშვილი კი 5300 ქულით მეათე იყო. ჩემპიონის ოქროს მედალი უნგრელმა გაბორ ბალოშმა (5568) მოიპოვა. ვერცხლი და ბრინჯაო შესაბამისად ჩეხ ლიბორ კაპალინის (5510) და რუს დმიტრი სვატკოვსკის (5432) ერგოთ.

კაცთა გუნდურ შეჯიბრში კი საპრიზო სამეული ასე განაწილდა — 1 უნგრეთი 16020 ქ; 2 ლიტვა 15590; 3 ბელარუსი 15466; უნგრელებმა ესტაფეტაშიც არ დაუთმეს არავის პირველობა (5297), მეორე ადგილზე რუსები (5109) გავიდნენ, მესამეზე კი ვახტანგ იაგორაშვილი და მისი თანაგუნდელები ელარ ილივი და სკოტ ხაისტადი.

უნგრელ კაცებს მხარი თვისტომმა ქალებმაც აუბეს. ინდივიდუალურ შეჯიბრში ოქრო ჟუჟა ვოროშმა მოიპოვა. მართალია ოთხი დისციპლინის მერე ჟუჟა პირველ ხუთეულშიც ვერ მოხვდა, მაგრამ მერე ცურვაში ძალიან იყოჩაღა, ჯამში 5319 ქულა მოაგროვა და ოქროსთან ერთად სიდნეის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიასაც გამოჰკრა ხელი. ვერცხლით რუსმა ელიზავეტა სუვოროვამ (5256) დაიმშვენა მკერდი, ბრინჯაო კი გერმანელ კიმ რაისერს (5210) ერგო.



დავით ჭულუხაძე

ქალთა გუნდურ შეჯიბრში რუსმა ქალებმა ელიზავეტა სუვოროვამ, მარინა კოლონინამ და ტატიანა მურატოვამ გამოიჩინეს თავი (15404) და ინგლისელი და იტალიელი დიაცები ვერცხლს და ბრინჯაოს დააჯერეს.

**მირანდა ზედელაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრები, მარცხნიდან: ნიკო ელჩიევი, დავით სებისკვერიძე, ზეზვა ებელაშვილი, მინდია ბოდაველი, ზვიად ხანჯალიაშვილი, გიორგი თოთლაძე, ჯაბა გოგიშვილი და სოსო მეზვრიშვილი. ამათგან მხოლოდ ელჩიევი დარჩა უმედლოდ



ასე ჰიდაობდა ჩვენი ჩემპიონი ზეზვა ებელაშვილი

# ესბერგი, ფანიო და «იქაური» ჩვენებურები

ესბერგში გამართულ ევროპის ახალგაზრდულ V ოლიმპიურ დღეებზე საქართველოს დელეგაცია ამ თამაშების ისტორიაში ყველაზე მცირერიცხოვანი გუნდით გამოვიდა, მაგრამ ისე კარგად იასპარეზა, როგორც არასდროს. მან ოთხ სახეობაში საერთო ჯამში 14 სპორტსმენით სცადა ძალა და შვიდი მედალი, მათ შორის ერთი ოქროს, სამ-სამი ვერცხლისა და ბრინჯაოს ჯილდო დაიმსახურა. ეს 1995 წელს ინგლისის ქალაქ ბათში მოპოვებულ ჩვენთვის სარეკორდო ნადავლზე ორი მედლით მეტია.

საბოლოოდ, არაოფიციალურ კომპლექსურ ჩათვლაში საქართველოს წარმომადგენლები, ძიუდოისტთა წყალობით, XVII ადგილზე გავიდნენ, მედლების რაოდენობით კი XI-XIV ადგილები გაიყვეს.

ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა შვიდივე მედალი, როგორც ვიუწყებოდით, ახლაც ძიუდოისტებმა დაიმსახურეს. მათ რვიდან ოთხ ფინალში იჭიდავეს, რაც ვერც ერთი ქვეყნის ვაჟებმა ვერ შეძლეს. ვაჟ ძიუდოსიტთა საერთო გუნდურ პირველობაში მედლების რაოდენობით ისინი, როგორც ბათში, ახლაც პირველ ადგილზე გავიდნენ. მათ წარმატება იქვე დაუფასეს — სეოკ-ის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა ყველა მედალოსანს პრიზები გადასცა (I, II, III ადგილებისთვის შესაბამისად 300, 200, 100 ამერიკული დოლარი).

ორ-ორი ოქროსა და ბრინჯაოს მედლით მეორე იყო რუსეთის გუნდი, ხოლო მესამეზე საფრანგეთი გავიდა, რომელსაც ორი ჩემპიონი ჰყავს.

ახლა, წარმოიდგინეთ, რა ეშველებოდა საქართველოს დელეგაციას, ესბერგში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეების პროგრამიდან ძიუდო რომ ამოეღოთ. არადა, ასეთი საშიშროება არსებობდა, რადგან მასპინძლებს ამის დიდი სურვილი ჰქონდათ, რასაც ევროპის ოლიმპიური კომიტეტთა კავშირი ჩვეულებრივ ანგარიშს უწევს. ამიტომაც იყო ოლიმპიური დღეების პროგრამაში დანიელთა, როგორც მასპინძელთა, სურვილით ბადმინტონი რომ შეიტანეს. საბედნიეროდ, ძიუდო, რომელიც ყველა განვლილი თამაშების პროგრამაში იყო, მრავალი ქვეყნის პროტესტის წყალობით ესბერგშიც ვიხილეთ. პროგრამიდან მისი ამოღებით კი დანია 42 ქვეყანას უპირისპირდებოდა, რადგან იქ სწორედ ამდენი სახელმწიფოს ძიუდოისტებმა იასპარეზეს.

ჩვენმა მკითხველმა ისიც იცის, რომ საქართველოს, როგორც ლისაბონის ოლიმპიური დღეების ჩემპიონს ფეხბურთში, ამ სახეობაშიც სურდა გამოსვლა, მაგრამ უარი მიიღო, სანაცვლოდ ჩვენებს... ბალახის ჰოკეიში ასპარეზობა შესთავაზეს.

ისიც უცნაური იყო, რომ ახალგაზრდა სპორტსმენები მასპინძლებმა სამ სხვადასხვა ადგილზე, ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებით მოწყობილ ოლიმპიურ სოფლებში დაასახლეს მაშინ, როცა ოლიმპიური თამაშების მსგავსად, ახალგაზრდული ოლიმპიური დღეების ერთ-ერთი უმთავრესი მისია სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლთა დაახლოება-დამეგობრება და ხუთი რგოლით გადაჯაჭვაა, დანიელებმა კი ეს რგოლები ერთმანეთს დააშორეს. მათ დელეგაციათა ერთი ნაწილი სულაც კუნძულ ფანიოზე დაასახლეს, მათ შორის საქართველოს წარგზავნილებიც, მაგრამ იქ გადასახლებულნი ერთ რგოლში მაინც ვერ მოხვდნენ — ზოგი კოტეჯებში ცხოვრობდა, ზოგი სასტუმროში, ზოგიც რაღაც საერთო საცხოვრებლის მსგავს ნაგებობაში.

ცხადია, არც ცხოვრების პირობები იყო ერთნაირი. სამაგიეროდ, კუნძულელები კვების მხრივ ერთ ტაფაში იყვნენ გადაჯაჭვულნი, იმ ტაფაზე და საქართველოს დელეგაციის წევრთა ცხოვრების პირობებზე კი თავის დროზე გიამბეთ.

ახლა იმ ნაამბობს და სხვასაც ფოტოსურათებით თვალნათლივ გიჩვენებთ, მანამდე კი ორიოდე სიტყვით ესბერგზე მოგახსენებთ, რაკილა იქიდან გამოგზავნილი წერილების სერიალში მხოლოდ კუნძული გაგაცანით.

ესბერგი დანიის დასავლეთის ჭიშკარია. ეს ქალაქი ამ ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი და ახალგაზრდა ქალაქია. მისი პორტი გასულ საუკუნეში იუტლანდის სანაპიროზე აშენდა და ქალაქის განაშენიანებაც მაშინ დაიწყო.

ესბერგში ახლა 83 ათასი კაცი ცხოვრობს და მათი რაოდენობა სწრაფი ტემპით იზრდება. ესბერგი რაიბის საგრაფოს 225 ათას მოქალაქისთვისაც საკვანძო ქალაქია. აქვეა კუნძულ ფანიოს ტურიზმის ცენტრიც. ტრანსპორტი და ნაოსნობა ქალაქის ეკონომიკის წამყვანი დარგებია. ამასთან ესბერგი სიცოცხლისუნარიანი სავაჭრო ცენტრიცაა.

ახლა კი ფოტოთვალით დანახული ესბერგი, ფანიო და „იქაური“ ჩვენებურები...

ავთანდილ გურასაშვილი
ესბერგი–თბილისი
ავტორის ფოტოები

| ქვეყნები | ადგილები I | II | III | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 19 | 12 | 4 | 35 |
| 2. საფრანგეთი | 9 | 6 | 6 | 21 |
| 3. დიდი ბრიტანეთი | 7 | 9 | 5 | 21 |
| 4. უნგრეთი | 6 | 3 | 2 | 11 |
| 5. გერმანია | 4 | 4 | 10 | 18 |
| 6. პოლონეთი | 3 | 4 | 8 | 15 |
| 7. უკრაინა | 3 | 4 | 5 | 12 |
| 8. დანია | 3 | 3 | 1 | 7 |
| 9. ხორვატია | 3 | 2 | 2 | 7 |
| 10. შვეიცარია | 3 | 1 | 6 | 10 |
| 11. ისრაელი | 3 | 0 | 3 | 6 |
| 12. იტალია | 2 | 6 | 6 | 14 |
| 13. სლოვენია | 2 | 4 | 4 | 10 |
| 14. ნიდერლანდები | 2 | 1 | 8 | 11 |
| 15. ესპანეთი | 2 | 1 | 3 | 6 |
| 16. ლუქსემბურგი | 2 | 0 | 0 | 2 |
| 17. საქართველო | 1 | 3 | 3 | 7 |
| 18. ჩეხეთი | 1 | 2 | 1 | 4 |
| 19. იუგოსლავია | 1 | 2 | 0 | 3 |
| 20. ბელგია | 1 | 1 | 2 | 4 |
| 21. ნორვეგია | 1 | 1 | 1 | 3 |
| 22. შვედეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| 23. თურქეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| 24. პორტუგალია | 1 | 1 | 0 | 2 |
| 25. ავსტრია | 1 | 1 | 0 | 2 |
| 26. ლიტვა | 1 | 0 | 5 | 6 |
| 27. სომხეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 28. რუმინეთი | 0 | 4 | 2 | 6 |
| 29. ფინეთი | 0 | 4 | 1 | 5 |
| 30. ბელარუსი | 0 | 2 | 2 | 4 |
| 31. ესტონეთი | 0 | 2 | 1 | 3 |
| 32. საბერძნეთი | 0 | 2 | 0 | 2 |
| 33. მოლდოვა | 0 | 1 | 1 | 2 |
| 34. აზერბაიჯანი | 0 | 0 | 4 | 4 |
| 35. კვიპროსი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 36. ლატვია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 37. სლოვაკეთი | 0 | 0 | 1 | 1 |

*დანარჩენი 11 ქვეყნის დელეგაცია უმედლოდ დარჩა.*




საქართველოს 14-კაციანმა დელეგაციამ 31 ქვეყანას აჯობა



კუნძულ ფანიოს ნავმისადგომი



ესბერგის მერმა ჯონი სოტრეპმა (მარცხნიდან), სოკ-ის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა და ევროპის ეოკ-თა პრეზიდენტმა ჟაკ როგმა თამაშების გახსნის ცერემონიალზე ერთმანეთს მხარი დაუმშვენეს



კუნძულზე ჩვენი დელეგაცია ამ კოხტა კოტეჯებში ცხოვრობდა და...



ესბერგის ოლიმპიური დღეების საზეიმო გახსნის ცერემონიალი



...მის „საქათმეში“ ძილის წინ ასე იტანჯებოდა ძიუდოისტთა მსაჯი, ექიმი და მწვრთნელი ზურაბ კახაბრიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

99 LE TOUR DE FRANCE

# წყალი, წყალი!

**იტალიის** ჩემპიონმა სალვატორე კომესომ ალბიში თავის თანამემამულე მარკო სერპელინის ორი წამით აჯობა და „ტურ დე ფრანსის" რიგით მეცამეტე ეტაპიც მოიგო. პელოტონი კი კარგა მოგვიანებით, 22 წუთის შემდეგ მიადგა ფინიშის ხაზს, იმ სიცხეში თითქმის ყველამ აუჩქარებლად რბოლა არჩია.

თითოეულ ველოსიპედისტს 5-6 ლიტრი ცივი წყალი დასჭირდა, ჰაერის ტემპერატურამ ლამის ორმოც გრადუსს უწია, ასფალტის გასაგრილებლად ალბის მუნიციპალიტეტმა რამდენიმე ტონა წყალი დახარჯა... საუნად ქცეულ ქალაქში სპორტსმენები პაპანაქება სიცხეზე უფრო საუბრობდნენ, ვიდრე იმდღევანდელი რბოლის პერიპეტიებზე. „ტურის" ცხოვრებაში კი ბევრი არც არაფერი შეცვლილა, შეჯიბრს კლავინდებურად ამერიკელი ლანს არმსტრონგი ლიდერობს და ძნელი წარმოსადგენია, რომ „პოსტალის" წევრმა ყვითელი მაისურა ვინმეს დაუთმოს.

სენ-ფლუსა და ალბის შორის მზისგან გახურებულ კანტალის, ავეირონისა და ტარნის გზებზე პელოტონმა ერთი ჩვეულებრივი დღე გაატარა, ისეთი, როგორიც „დასასვენებელ ეტაპებზეა" ხოლმე. „დასასვენებელი" კი ის ეტაპია, რომელიც მთებს შორისაა ჩასმული და ლიდერთაგან აზრადაც არავის მოუვა, მთავარ ჯგუფს მოსწყდეს, რამდენიმე წუთის მოგებას დიდძალი ენერგია დაახარჯოს, შემდეგ კი მთებში (ამ შემთხვევაში პირინეებში) დასვენებული მთავარი მოწინააღმდეგეების რიტმს ვერ გაუძლოს და შესაბამისად მინიმუმ ორჯერ მეტი დრო წააგოს.

ჰოდა, ამ დასასვენებელ ეტაპზე, რომელიც წლევანდელ ტურზე ყველაზე გრძელი იყო, მესამე კილომეტრზე დაახლოებით თხუთმეტკაციანმა ჯგუფმა შეუტია და როგორც მერე გაირკვა, მომავალი გამარჯვებულიც მათ რიგებში ყოფილა. 96-ე კილომეტრზე ლტოლვილების უპირატესობამ თორმეტ წუთს უწია, 172-ეზე ისინი უკვე ცხრამეტ წუთს უგებდნენ პელოტონს, რომელსაც მათი დაწევის არანაირი სურვილი არ გამოუმჟღავნებია. ამ პირობებში წყლის ბიდონებზე ფიქრი უფრო უპრიანი იყო, ვიდრე წინწასულებზე, მით უფრო, რომ მათგან ყველაზე უფრო „სახიფათო" იტალიელი პაოლო ლაფრანჩი საერთო ჩათვლაში არმსტრონგთან ნახევარ საათზე მეტს აგებდა, პელოტონს კი სწორედ ლიდერის თანაგუნდელები აკონტროლებდნენ.

ყველაზე დაძაბული დღე კი, ალბათ, „ტურის" მთავარმა ექიმმა ჟერარ პორტმა გაატარა. „ძალიან ძლიერი სიცხე იყო. სპორტსმენებს ტკბილი წვენების სმა ვურჩიე, მაგრამ „ამის" გაკეთება მხოლოდ სტარტამდეა მოსახერხებელი. ამიტომ რბოლისას ძალიან ბევრი წყალი უნდა დალიონ, ათი-თორმეტი ბიდონი მაინც. თანაც თავზეც უნდა გადაივლონ. ამ დროს მეტისმეტი სიფრთხილეა საჭირო, რადგან ორგანიზმი ძალიან იტვირთება — დოქტორ პორტს მრბოლთა ჯანმრთელობა ადარდებდა. თუმცა, მისივე თქმით, იმ დღეს ნაკლებად მოსალოდნელი იყო, ვინმე ცუდად გამხდარიყო, რადგან ეს გვალვის მხოლოდ პირველი დღე გახლდათ, ადამიანის ორგანიზმი კი ასეთი ეტაპების განმეორების შემდეგ იფიტება, რადგან ენერგიის აღდგენა ძალიან უჭირს.

სალვატორე კომესიო კი ძალ-ღონის ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდიდა. თანაგუნდელებისგან „ტოტოდ" მონათლულმა იტალიის ჩემპიონმა თავის ქვეყანას მეექვსე გამარჯვება მოუტანა მარიო ჩიპოლინისა და ჯუზეპე გერინის შემდეგ. ნეაპოლელი კომესო მარკო სერპელინისთან ერთად გამოუდგა გაქცეულ ვისენტე გარსია აკოსტას, ვინაც შეტევა ფინიშამდე 40 კილომეტრით ადრე წამოიწყო. იტალიურმა დუეტმა ესპანელი მალე ჩამოიტოვა უკან და გზაც წყვილად გააგრძელა. სპრინტში პატარა კომესომ (1,65მ) დიდ სერპელინის (1,87მ) აჯობა, ვინც რამდენჯერმე სცადა კომპანიონის მიტოვება, მაგრამ „ტოტო" მას ტკიპასავით მიეწება და დაწინაურების საშუალება არ მისცა.

მეთოთხმეტე ეტაპი რუსმა დიმიტრი კონიშევმა მოიგო. იგი რუსული ველოსპორტის ისტორიაში მეტად გამორჩეული პიროვნებაა — იგი პირველი რუსია, რომელმაც „დიდი მარყუჟის" („ჯირო", „ტური", „ვუელტა") ეტაპი მოიგო.

ლორაგე, კუზერანი, კომინჟი — კვირას „ტურის" ქარავანმა საფრანგეთის კიდევ სამ მხარეში გაიარა და იქაურებიც ძლიერ გაახარა. მისი ერთ-ერთი მიზანიც ხომ ველოსპორტის მოყვარულთათვის სიხარულის მინიჭება და მსოფლიოსთვის საფრანგეთის პატარ-პატარა მხარეების გაცნობაა.

კასტრსა და სენ-გოდენს შორის, სანამ პირინეის მიადგებოდნენ, რბოლა იგივე სცენარით წარიმართა, როგორც წინა დღეებში, ალპური ეტაპების შემდეგ. ძალიან სწრაფი სტარტი, წარმატებული შეტევა, ლანს არმსტრონგის გუნდის მიერ კონტროლირებადი პელოტონი... „პოსტალი" სიჩქარის გაზრდას არ აპირებდა, რადგან გაქცეულთა შორის მისი ლიდერისთვის სახიფათო არავინ იყო.

წინწასულებიდან არმსტრონგს ყველაზე ნაკლებად ვლადიმირ ბელი ჩამორჩებოდა. იტალიელი საერთო ჩათვლაში 31-ე ადგილზე იყო და ყვითელი მაისურის მფლობელთან 26 წუთზე მეტს აგებდა. პოსტალელებიც ზედმეტი ძალების ხარჯვის გარეშე მას დისტანციაზე აკონტროლებდნენ. ბელის ჯგუფში ჟაკი დიურანი, კონიშევი, შტეფან ვესემანი, მასიმილიანო ლელი და ჯანი ფარეზინი იყვნენ.

დიურანს საფრანგეთისთვის პირველი ეტაპის მოგება სურდა, მაგრამ... ისე, შარშან სწორედ მან „გადაარჩინა" თავისი ქვეყნის ღირსება, როცა მონტობანში იმარჯვა. გამარჯვებისთვის ფრანგს კომპანიონების ფინიშამდე ჩამოტოვება სჭირდებოდა, რადგან სპრინტში ვესემანთან (რომელსაც „მშვიდობის ველორბოლის" მრავალი ეტაპი მოუგია გაპროფესიონალებამდე) და კონიშევთან ბრძოლაში წარმატების თითქმის არანაირი შანსი არ ჰქონდა.

ფინიშამდე ექვს კილომეტრზე ნაკლები რჩებოდა, როცა ფარეზინმა გადამწყვეტი იერიში წამოიწყო. მას მყისვე მიჰყვა კონიშევი, ლელიმ კი გვიან გამოიფხიზლა. ლიდერთა დუეტმა დანარჩენები საკმაოდ ჩამოიტოვა და ეტაპის უძლიერესი საფინიშო სპრინტში გაირკვა. სპრინტი რუსმა მოიგო.

კონიშევს წინა ეტაპებზეც შეეძლო გამარჯვება, მაგრამ ბედი არ სწყალობდა. „მერკატონე უნოში" მარკო პანტანის ერთგული გრეგარი აღმოსავლეთევროპელი მრბოლებიდან ერთ-ერთი საუკეთესოა. „ტურზე" მისი პირველი წარმატება, როგორც უკვე ვთქვით, ცხრა წლის წინანდელია. 1990 წელს იგი პოში იყო საუკეთესო, სწორედ ამ ქალაქშია ოთხშაბათს მოწყობილი მეთექვსმეტე ეტაპის ფინიში. მანამდე კი სპორტსმენები გუშინდელი დასვენების შემდეგ დღეს სენ-გოდენი — პიო-ანგალოს გზაზე შეეჯიბრებიან ერთმანეთს. მათ ხუთი მთის დაძლევა მოუწევთ და რბოლაც აღმართში აქვთ დასამთავრებელი. ასე რომ, დღეს ბევრი რამ გაირკვევა. შეძლებს კი არმსტრონგი ცულეს და სხვათა შეტევების მოგერიებას?

**გაიოზ თალაკვაძე**

### მეცამეტე ეტაპი
სენ-ფლუ — ალბი, 236,5 კმ

1. სალვატორე კომესო (იტალია, საეკო) — 5სთ 52წთ 45წმ
2. მარკო სერპელინი (იტალია, ლამპრე) — +02წმ
3. მარიანო პიკოლი (იტალია, ლამპრე) — +2წთ 07წმ
4. პაოლო ლანფრანჩი (იტალია, მაპეი) — +2წთ 07წმ
5. როლანდ მეიერი (შვეიცარია, კოფიდისი) — +2წთ 07წმ
6. კრისტოფ მანჟენი (საფრანგეთი, ფრანსეზ დე ჟო) — +2წთ 07წმ
7. მიგელ პენა (ესპანეთი, ბანესტო) — +2წთ 07წმ
8. ხავიერ როდრიგესი (ესპანეთი, კელმე) — +2წთ 07წმ
9. ლილიან ლებრეტონი (საფრანგეთი, ბიგ მატი) — +2წთ 12წმ
10. ფრანსისკო სერეზო (ესპანეთი, ვიტალიციო) — +2წთ 12წმ

### მეთოთხმეტე ეტაპი
კასტრი — სენ-გოდენი

1. დიმიტრი კონიშევი (რუსეთი, მერკატონე უნო) — 4სთ 37წთ 59წმ
2. ჯანი ფარეზინი (იტალია, მაპეი) — +00წმ
3. მასიმილიანო ლელი (იტალია, კოფიდისი) — +04წმ
4. შტეფან ვესემანი (გერმანია, ტელეკომი) — +51წმ
5. ჟაკი დიურანი (საფრანგეთი, ლოტო) — +51წმ
6. ვლადიმირ ბელი (იტალია, ფესტინა) — +51წმ
7. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი) — +13წთ 27წმ
8. სტიუარტ ოგრედი (ავსტრალია, კრედი აგრიკოლი) — +13წთ 27წმ
9. რობი მაკიუენი (ავსტრალია, რაბობანკი) — +13წთ 27წმ
10. კრისტოფ კაპელი (საფრანგეთი, ბიგ მატი) — +13წთ 27წმ

### საერთო ჩათვლა

1. ლანს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) — 67სთ 23წთ 28წმ
2. აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) — +7წთ 44წმ
3. ალექს ცულე (შვეიცარია, ბანესტო) — +7წთ 47წმ
4. ლორან დიუფო (შვეიცარია, საეკო) — +8წთ 07წმ
5. ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი, კელმე) — +8წთ 53წმ
6. სტეფან ჰეინ (საფრანგეთი, ფრანსეზ დე ჟო) — +9წთ 10წმ
7. რიშარ ვირანკი (საფრანგეთი, პოლტი) — +10წთ 03წმ
8. პაველ ტონკოვი (რუსეთი, მაპეი) — +10წთ 18წმ
9. დანიელე ნარდელო (იტალია, მაპეი) — +10წთ 58წმ
10. ჯუზეპე გერინი (იტალია, ტელეკომი) — +11წთ 07წმ



აღმართ, აღმართ: პელოტონი მიდიოდა ნელ-ნელა




## ცოტაოდენი გეოგრაფია და ისტორია



**ალბი.** საფრანგეთი ლამაზი ქვეყანაა და მისი ქალაქებიც ნამდვილად გამოირჩევა სხვათაგან. ჰოდა, ალბი საფრანგეთშიც კი ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქადაა აღიარებული. მისი მოსახლეობა 50 000 კაცს შეადგენს, რომლებიც ძირითადად მომსახურებისა და კულტურის სფეროში არიან დასაქმებულნი. აგურით ნაშენები ალბის საკათედრო ტაძარი ლათინური მშვენიერების მბრწყინვალე განსახიერებაა. შუა საუკუნეებში აქ დაირწა რომის პაპის იმპერიის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციის აკვანი: რამდენიმე საუკუნის შემდეგ კი ამ ქალაქმა მისცა ფრანგულ და საერთოდ მსოფლიოს მხატვრობას ისეთი დიდებული მხატვარი, როგორიც ტულუზ-ლოტრეკია.



**კასტრი** სხვადასხვა წვრილი ვაჭრობისა და ხელოსნების ქალაქი იყო გასულ საუკუნეებში და დღესაც ერთგვარად ინარჩუნებს ამ ტრადიციას. იგი განთქმულია თავისი მატყლით და მშვენიერი შენობებით, რომელთაგან ერთ-ერთი განსაკუთრებით აღსანიშნავია. ულამაზეს საეპისკოპოსო სასახლეში არანაკლები სილამაზის მხატვრული ტილოების ნახვით ტკბობა შეგიძლიათ — აქ ფრანსისკო გოიას მუზეუმია.



**სენ-გოდენი** კომინჟის (დიდი კულტურის და ისტორიის მქონე რეგიონი) მთავარი ქალაქია. მისი „ოქროს ხანა" შუა საუკუნეებს ემთხვევა, როცა იგი თავისუფალი იყო. 1607 წლიდან საფრანგეთის შემადგენლობაშია. 1950 წელს „ტურის" ლიდერ ჯინო ბარტალი შეჯიბრს სწორედ აქ გამოეთიშა და ყვითელი მაისურაც კერდი კუბლერმა იგდო ხელთ (საბოლოო გამარჯვებულიც ის გახდა).

## ტურის ლეგენდები

### 1952 წელი

### გამარჯვებული ფაუსტო კოპი




50-იან წლებში იტალიელი ფაუსტო კოპი ველოსპორტში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურა იყო. მას უამრავი მთის ეტაპი და ტურნირი მოუგია ისე, რომ მეტოქეთათვის წარმატების მცირედი შანსიც კი არ დაუტოვებია. 1949 წელს „ტურიც" მოიგო და მას შემდეგაც უპირველეს ფავორიტად მიიჩნევდნენ, განსაკუთრებით 1951 წელს, მაგრამ ერთ-ერთი რბოლისას მისი ძმის ტრაგიკულმა დაღუპვამ მის სპორტულ შედეგებს თავისი დაღი დაასვა...

1952 წელს პირველი ფინიში აღმართში მეათე ეტაპზე იყო მოწყობილი და ფაუსტოსაც იგი თავისი რეაბილიტაციისთვის უნდა გამოეყენებინა (ბევრი ამბობდა, კოპის დრო წავიდაო). თუმცა მას უკვე მოეგო ნამურისა და ნანსის ეტაპები, მაგრამ მაინც შეიძლებოდა, ყვითელ მაისურას ვინმე შესცილებოდა. ამიტომ მთაში დიდი უპირატესობით გამარჯვება საშური საქმე გახლდათ. ალპებიც „კამპიონისიმოს" ელოდნენ...

ლოზანიდან ალპებისკენ მიმავალ გზაზე საშინელი სიცხე იყო და პელოტონიც ზანტად მოძრაობდა. პირველი სერიოზული შეტევა რობიკმა განახორციელა ჟემინიანის თანხლებით. კოპიმ კი, ვისაც მშვენივრად შეესწავლა დისტანცია, ცოტა აცალა მეტოქეებს და იერიში მოულოდნელად წამოიწყო. ამის შემსწრე ერთ-ერთმა მრბოლმა მოგვიანებით თქვა; რომ ტექნიკისა და ძალის ასეთი შერწყმა არასოდეს ენახა. დიდი ფაუსტო დაბრუნებულიყო — საეჭვო აღარაფერი იყო. ის მალე დაეწია რობიკს და მწვერვალამდე 6 კილომეტრით ადრე ჩამოიტოვა კიდეც. მათ შორის სხვაობამ მალე 50 წამს მიაღწია და კარგა ხანი აღარც შეცვლილა.

მაყურებლები აღფრთოვანებული იყვნენ და მთელი სულით და გულით ქომაგობდნენ კოპის. მანაც, „მათი ხათრით", ბოლო სამ კილომეტრზე სიჩქარე კიდევ უფრო გაზარდა და რობიკს დამატებითი ნახევარი წუთიც მოუგო. პრემიალური წამების ხარჯზე მან უკვე საკმაო უპირატესობა მოიპოვა საერთო ჩათვლაში.

ფაუსტომ ყვითელი მაისურა შეჯიბრის ბოლომდე აღარავის დაუთმო და „ტურის" ისტორიაში შევიდა, როგორც ერთ-ერთი უძლიერესი მრბოლი, ვისაც მთებში ბადალი არ ჰყავდა.

**გაგი გურული**



REUTERS ალპიდან



# ტიტვლები და ძროხები

„ტურ დე ფრანსი" გრძელდება და სიცხითა და შეჯიბრით გათანგულ ველომრბოლებს ხან ტიტველი მაყურებლები შემოეყრებიან გზაზე, ხანაც ძროხები. ასეთია ტურის გზისპირი. მაგრამ მრბოლმა თუ გზისპირისკენ გაიხედა, ველარაფერს მიაღწევს. ეს კარგად სცოდნია იტალიელ სალვატორე კომესოს (შუაში) რომელმაც პირველმა დაფარა სენ ფლოსა და ალბის შორის გაჭრილი 236 კილომეტრიანი გზა და ტურის მეცამეტე ეტაპი მოიგო.

## კასპაროვი — მსოფლიო ნაკრების წინააღმდეგ



1. e2-e4 c7-c5; 2. მg1-f3 d7-d6; 3. კf1-b5+ კc8-d7; 4. კb5:d7+ ლd8:d7; 5. c2-c4 მb8-c6; 6. მb1-c3 მg8-f6; 7. 0-0 g7-g6; 8. d2-d4 c5:d4; 9. მf3-d4 კg7; 10. მd4-e2 ლd7-e6; 11. მc3-d5 ლe6:e4. 12. მd5-c7+ მფe8-d7 13. მc7:a8 ლc4 14. მb6+ a7:b6 15. მc3



## შვედეთი

მე-14 ტური. აიკ 2:0 ნორჩიოპინგი; ფრიოლუნდა 4:4 ელფსბორგი

REUTERS ჰელსინკიდან





# მიკათა საქმეები

REUTERS მალიორკიდან



ფორმულა 1-ის ორომტრიალში უცაბედად მოხვედრილი მიკა სალო მომავალ გრან-პრიმდე საოჯახო საქმეებს აგვარებს. ცოლის შერთვას ჩქარობს და თავის იაპონელ მიჯნურ ნორიკო ენდოსთან ერთად ამიტომაც მისულა ჰელსინკის ეკლესიაში. დაქორწინდა და მერე „ფერარის" საჭესაც მიუჯდება. ხუმრობა ხომ არ არის? მიკა თვით დაშავებულ მიხაელ შუმახერს ცვლის იტალიურ გუნდში.

წლევანდელი ფორმულას ლიდერი მეორე მიკა, ჰაკინენი კი ესპანურ მალიორკაში მისცემია გართობას. მასა და დევიდ კულჰარდს ესესაა პლიაჟის ფრენბურთი უთამაშიათ მალიორკას განთქმულ კალა პლაჟზე და „მაკლარენ-მერსედესის" მიერ დაფინანსებული ამ ბურთაობით დამსვენებლები გაუხალისებიათ.

## კვლავ ქალთა სიდიადე

REUTERS მალიორკიდან

გრძელდება მსოფლიოს ჩემპიონ ამერიკელ ფეხბურთელ ქალთა მედია-ტური სამშობლოს ქალაქებში. ფინალურ მატჩში გადამწყვეტი პენალტის გამტანი ბრენდი ჩესტეინი ნიუ იორკის „იანკთა" მინდორზე გასულა და პირველი პიჩის გასაშხუილებლად ემზადება. „იანკი სთედიუმზე" იქაურები „ატლანტა ბრეივზს" ხვდებოდნენ და ბრენდიც საქმეში გარიეს, ბეისბოლის მოედანზე ხომ ყველას არ შეუშვებ, განთქმული უნდა იყო...

REUTERS ნიუ-იორკიდან



## ხრისტო, პრეზიდენტი და ასპარუხოვის ხიდი

REUTERS სოფიიდან



ბულგარელები ამაყობენ თავიანთი მობერებული ფეხბურთის ვარსკვლავებით. ჰოდა, დამსხდარან და გადაუწყვეტიათ: ერთმანეთს უნდა შევახვედროთ დღევანდელი ეროვნული ნაკრები და ის გუნდი, რომელმაც 1994 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები მოიგოო. ხრისტოს გარეშე აბა რა გამოვიდოდა. დიად სტოიჩკოვს საგანგებოდ ამ დღისთვის ხელმოწერილი ბურთი უჩუქნია ქვეყნის პრეზიდენტ პეტარ სტოიანოვისთვის, თანაც უთქვამს, ხომ გახსოვს, მთავარი მე ვიყავიო. განა ეს შეეძლებოდა პლოვდიველ მანძუკს?

მაგრამ განა მხოლოდ ფეხბურთითა ერთითა ცხოვრობს ბულგარეთი? რაღაც ბალკანურ თამაშთა პროგრამით, ზღვისპირა ქალაქ ვარნას ასპარუხოვის ხიდიდან შოუ ამბავში გადმომხტარა ცხრამეტი წლის ტატიანა ილიევა. ასე თუ გააგრძელა, სახელითა და დიდებით ხრისტოსაც გადაახტება.

REUTERS ვარნიდან




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli